ყოველთვიური ბეჭდური, „ვერსიის“ ერთი

ვერსია

№34 (790) 27 - 28 მარტი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

20 გვერდი 40 თეთრი

„ცოტა ხანში გამოვა სააკაშვილი და იტყვის, რომ სამცხე-ჯავახეთის დედაქალაქი ახალქალაქი იყოს!“

არცერთი მეზობელი ქვეყნის სპეცსამსახურს იმდენი პრობლემა არ შეუქმნია ჯავახეთში, რამდენიც ნაციონალურმა მოძრაობამ შექმნა(!). დიახ, ქვეყანამ უნდა იცოდეს, რომ ნაციონალები დღედაღამ მუშაობდნენ იმაზე, რომ როგორმე აეგორებინათ ჯავახეთის პრობლემა. მუშაობდნენ ავტონომიის საკითხზე და ხელმოწერებიც კი შეაგროვეს.

გვ. 5

როგორ აშანტაჟებდა შევარდნაძეს, ვისი ხელით აწყობდა პროვოკაციებს სამცხე-ჯავახეთში და რატომ სდებს ბრალს სააკაშვილის გუნდს სამშობლოს ღალატში გიგა ბარამიძე

„სახელმწიფო, რომელშიც დღეს ვცხოვრობთ, 31 მარტის რეფერენდუმის საფუძველზე, 9 აპრილს იშვა!“

როგორ აფასებს საქართველოს დღევანდელ დამოუკიდებლობას და ითხოვს თუ არა ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრას **კონსტანტინე გამსახურდია**

გვ. 3

„არც ერთი ქვეყანა მსოფლიოში, ისე უზნეოდ არ მოქცევია ომის ვეტერანებს, როგორც საქართველოს სახელმწიფო!“

რა შედეგი მოჰყვა „ვერსიის“ პუბლიკაციას თავდაცვის სამინისტროსგან და რას სთავაზობენ პარლამენტსა და პრემიერ-მინისტრს ომის ვეტერანები

გვ. 9

„გვიშველეთ რამე, ციხის უფროსი ცირეკიძე და რეჟიმის უფროსი, პატიმრებს გვაწამებენ!“

ქუთაისის ციხეში პატიმრები წამების ფაქტებზე საუბრობენ და შველას ითხოვენ

გვ. 8

რა ხდება აგრარული უნივერსიტეტისა და ყოფილი ზოოვეტის ბაზებზე?!

გვ. 7



რატომ უნდა შეიქმნას სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი და რატომ ალარ ირჩევენ სტუდენტები ვეტექიმისა და აგრონომის სპეციალობებს?

მანდატურებს პირველად მედიცინასა და ფსიქოლოგიას ერთ დღეში ასწავლიან?!

რატომ უფართოვდებათ ფუნქციები „სკოლის პოლიციელებს“ და ვის მოემსახურება მანდატურის სამსახურის ბაზაზე შექმნილი ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრი

გვ. 14



ირაკლი ღარიბაშვილი ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს შეხვდა

სტრასბურგში, ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ევროპის საბჭოს გენერალურ მდივან ტორბიორნ იაგლანდს შეხვდა.

ორმხრივი შეხვედრა გენერალური მდივნის ოფისში ხელმოწერის ცერემონიით დაიწყო. ხელი მოეწერა მნიშვნელოვან დოკუმენტებს: ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღების, კონფისკაციისა და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ კონვენციას; კორუფციის შესახებ სისხლის სამართლის კონვენციის დამატებით ოქმს; სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების ევროპული კონვენციის მეორე დამატებით ოქმს.

შეხვედრის დასრულების შემდეგ, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მოადგილე გაბრიელა ბატაინი დრაგონმა, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის თანდასწრებით, ხელი მოაწერა ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს გაერთიანებულ პროგრამას ჯანდაცვის კუთხით საქართველოს ციხეებში არსებულ მდგომარეობაზე.

შინაგან საქმეთა მინისტრი ასევე შეხვდა საქართველოს მეგობარი ქვეყნების ელჩებს. საუბარი შეეხო ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, მიმდინარე რეფორმებსა და თანამშრომლობას ევროპის საბჭოსთან. გარდა ამისა, გაიმართა შეხვედრა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა დირექტორატის გენერალურ დირექტორ ფილიპ ბოიასთან.

ვიზიტის ფარგლებში, დაგეგმილია შეხვედრა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მდივან ვოიჩეკ სავიცკისთან.

„ვერსიანიუსი“

ნაძალადევში ნაცმოძრაობის კანდიდატი ექსმინისტრი პაპუნა დავითაია იქნება

27 მარტს ბიძინა ივანიშვილი, „ქართული ოცნების“ სათავო ოფისში შუალედური საპარლამენტო არჩევნების მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს წარადგენს. 27 აპრილის შუალედურ არჩევნებზე ნაძალადევში თამარ კორძაია იყრის კენჭს, ბაღდათის ოლქში — ადვოკატი პაატა კიკნაველიძე, ხოლო სამტრედიაში — უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, პროფესიით ასევე იურისტი გიორგი კახიანი.

27 მარტსვე, სამივე ოლქში, დეპუტატობის კანდიდატებს წარადგენს ერთიანი ნაციონალური მოძრაობა — ნაძალადევის მაჟორიტარობის კანდიდატი დიასპორის საკითხებში ყოფილი სახელმწიფო მინისტრი პაპუნა დავითაია იქნება. „ვერსიის“ ინფორმაციით, მისი კანდიდატურა უკვე დამტკიცებულია და, სავარაუდოდ, პარტიული „ბოსების“ დაზღვეულიც — კულუარული ინფორმაციით, პაპუნა დავითაიას არჩევნებში დამარცხების შემთხვევაში, კომპენსაციის მიზნით, ნაძალადევის რაიონის გამგებლის პოსტს შესთავაზებენ. რაც შეეხება ბაღდათსა და სამტრედიას, ორივე საარჩევნო ოლქში ნაციონალური მოძრაობის დეპუტატობის კანდიდატები ამ რაიონების საკრებულოს თავმჯდომარეების მოადგილეები იქნებიან, რაც მიხეილ მაჭავარიანმაც დაადასტურა.

„ვერსიანიუსი“

„ყოველ დილით, გლდანის საპყრობილესთან მისვლითა და ტანზე თაფლის წასმით, სინდისის დაწყნარებასა და უმადურობის განცდის გაქარვებასაც ვცდილობ!“

ვინ არის ონისე გერგედავა და რატომ უცხადებს სოლიდარობას ბაჩო ახალაიას

რუსუდან შელია
557-100-768

21-ე საუკუნის ცოტნე დადიანი — მოქალაქე ონისე გერგედავამ გლდანის მერვე საპყრობილესთან, ტანზე თაფლი წაისვა და ამ ფორმით, თავდაცვის ყოფილ მინისტრ ბაჩო ახალაიას სოლიდარობა გამოუცხადა. მისი განცხადებით, ყოფილი მაღალჩინოსანი მხოლოდ ჭორების მსხვერპლია, რადგან კონკრეტული ბრალდება მის წინააღმდეგ არ არსებობს. „ვერსია“ ონისე გერგედავას ესაუბრა.

— ბაჩო ახალაიასადმი სოლიდარობის გამოსახატად ტრადიციული ფორმა შევარჩიე, რადგან არ მინდოდა, ორიგინალური ვყოფილიყავი. ცოტნე დადიანს კი იმიტომ მივბაძე, რომ დღეს, რეალურად, ასეთი განწყობა მაქვს. მეტიც, მიმაჩნია, რომ დანარჩენმა ქართველებმაც უნდა მომბაძონ.

— რატომ ფიქრობთ, რომ ბაჩო ახალაია გმირია?

— ბაჩო ახალაია ღირსეული ქართველი მამულიშვილია, რომელიც, უბრალოდ, ჭორის მსხვერპლი აღმოჩნდა ისევე, როგორც, თავის დროზე, დათა თუთაშხია, რომელსაც კიკუს გაუპატიურებაში დასდეს ბრალი. ბაჩო ახალაია ქართულ სახელმწიფოს აშენებდა, გავრცელებული ჭორები კი, თითქოს ის მონსტრია და ეზოში ადამიანების თავის ქალები ჰქონდა დამარხული, უბრალოდ, ამაზრზენია. ფაქტია, ხელისუფლება საზოგადოების ემოციებით მიზანმიმართულად მანიპულირებს. ქართველ ხალხს მივმართავ: ნუ გაბოროტდებით, უფალი სიყვარულია და მხოლოდ სიყვარულით შეიძლება საქართველოს აშენება. ბოღმა და ბალღამი ქვეყანას ღუპავს.

— ბაჩო ახალაია ციხის სკანდალურ კადრებთან ასოცირდება, ჯერ სასამართლო განაჩენი არ დამდგარა, რატომ ხართ ასე დარწმუნებული, რომ თავდაცვის ყოფილი მინისტრი მხოლოდ პოლიტიკური დევნილია?

— სამწუხაროა, რომ ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესს საზოგადოება არ დაესწრო. პირადად მე, იქ გახლდით და როცა ბრალდება წაუკითხეს, ემოციები ვერ დავმალე. არც ერთი პატიმარი ბაჩო ახალაიას წამებაში ხელს არ ადებს. მას მხოლოდ სამსახურეობრივი მოვალეობის გადამეტებაში ედება ბრალი. ერთი ოფიცერი ამბობს, ბაჩომ რაღაც საგანი ჩამარტყაო, მეორე — ძალით მავარჯიშებდაო და მარბენინებდაო. გეკითხებით, ეს სასაცილო ბრალდებები არ არის? ჭორების გავრცელება და ამ გზით საზოგადოებაში ბოღმის გაღვივება, სუკ-ის იმპერიალისტური მეთოდებია. ქართველებს ხომ მარტივად შეუძლიათ, ზვიად გამსახურდია ერთი „მერსედესისა“ და ლამაზი პიჯაკისთვის შეიძულონ? ეს კარგად იციან რუსებმაც და ახლა, საზოგადოებას აბრიყვებენ. დიახ, ბაჩო ახალაია პოლიტიკური დევნილია, რომელიც წინა მთავრობის წარმატებული კადრი იყო და დღეს არავის აწყობს, ამიტომაც იგი სოლიდარობას ნამდვილად იმსახურებს! ყოველ დილით, გლდანის საპყრობილესთან მისვლითა და ტანზე თაფლის წასმით, სინდისის დაწყნარებასა და უმადურობის განცდის გაქარვებასაც ვცდილობ.

— რატომ, თავდაცვის ყოფილ მინისტრთან პირადი ვალდებულება გაკავშირებთ? ისე, ითქვა, რომ ბაჩო ახალაიას ნათესავი ხარ და ნაციონალური მოძრაობის მითითებებს ასრულებთ.

— „დიდგორი“, „ლაზიკა“ და დაძონძილი ქართული ჯარის ფეხზე წამოყენება და მისი მსოფლიო სტანდარტებთან გათანაბრება, სწორედ ბაჩო ახალაიას დამსახურებაა. ეს საკმარისი არ არის იმისთვის, რომ მის მიმართ მადლიერების გრძნობა მქონდეს? ადამიანმა, რომელიც ჩემზე ერთი წლით უმცროსია, საქართველოსთვის ამდენი კეთილი საქმის გაკეთება შეძლო, ამიტომ ვალდებულად მივიჩნევ თავს, მისი და მისი ოჯახის მიმართ სოლიდარობა გამოვხატო.

რაც შეეხება ნათესაურ კავშირს, ბაჩო ახალაიას საერთოდ არ ვიცნობ. 11 წელია, სტრასბურგში ვცხოვრობ და საქართველოში მხოლოდ სამი კვირის წინ ჩამოვედი. არც წინა მთავრობასა და არც ოპოზიციასთან ურთიერთობა არასოდეს მქონია, არც სურვილი მაქვს და არც ვაპირებ, მომავალში რომელიმე პარტიას მივეკედლო. უბრალოდ, დღეს ბაჩო ახალაია ჩემთვის გმირია და ამის ხმამაღლა განცხადების არ მრცხვენია. სოლიდარობის აქციას კი 29 მარტამდე გავაგრძელებ.

ვერსიანიუსი

„ლევან კალაძის გამტაცებლებს ირაკლი ოქრუაშვილი მფარველობდა“

შს სამინისტროს ყოფილი გამომძიებლის, პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული ბათუ საღინაძის განცხადებით, „ვარდების რევოლუციის" შემდეგ ადამიანების, მათ შორის კახი კალაძის ძმის გატაცების ორგანიზატორებს, იმჟამინდელი გენპროკურორი ირაკლი ოქრუაშვილი მფარველობდა.

„კრიმინალები, რომლებიც მსგავს საქმეებზე მუშაობენ, ახლო კავშირში არიან მაღალჩინოსნებთან. 2004 წელს, შალვა რამიშვილის ტელეეთერში მივმართე ირაკლი ოქრუაშვილს და ვთქვი, რომ თუ ის გააგრძელებდა, რასაც მაშინ აკეთებდა, საკუთარ თავსაც ავნებდა, პრეზიდენტსაც და საქართველოსაც. ჩემს პრაქტიკაში არ ყოფილა შემთხვევა, რომელიმე თანამდებობისა თუ კერძო პირთან კონტაქტში ვერ შევსულიყავი. ერთადერთი, ირაკლი ოქრუაშვილი აღმოჩნდა და შემდეგ რაც გაკეთდა ამ საქმის, ჩემსა და ასევე სხვა საქმეების ირგვლივ, ის ხელმძღვანელობდა ყველაფერს. შემდეგ მან ჭკუით აჯობა პრეზიდენტს, ფაქტობრივად, დააშანტაჟა, ძალიან დატვირთული წავიდა აქედან, შემდეგ მობრუნდა და სასაცილო ბრალდებები წაუყენეს. კოტე კუბლაშვილთან ნათელმირონობა აქვს და მისი მოსამართლეები მას მაინც გაათავისუფლებდნენ. გატაცებების მფარველობის შემდეგ, პირადად ჩემს წინააღმდეგ დაგეგმილი ღონისძიებები მის მიერ იყო ორგანიზებული. რამდენჯერმე სცადეს დამნაშავეებთან ჩემი სასიკვდილო კონფლიქტის პროვოცირება. ეს მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული. 2004 წელს კიდევ თავი შევიკავე და ახლა პირდაპირ ვეუბნები ოქრუაშვილს: თქვენი დონის დამნაშავე საქართველოს მმართველ ელიტაში ჯერ არ არის, თქვენ პირველი ხართ!“ – განაცხადა ბათუ საღინაძემ.

„ობიექტივი“

კალაძემ გორში მუშახელის დამატება მოითხოვა!

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, ასევე ენერგეტიკის მინისტრებმა – დავით ნარმანიამ და კახი კალაძემ გორში სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს. მინისტრებს გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა, დავით გორგიშელმა განუცხადა, რომ პროცესში, ძირითადად, ადგილობრივი სამშენებლო კომპანიებია ჩართული.

„სამუშაოებით კმაყოფილი ვარ, ერთადერთი, რაც მინდა, ვთხოვო ადგილობრივ ხელისუფლებას, დაამატონ მუშახელი“, – განაცხადა კალაძემ და ყურადღება მთავრობის მიერ უხარისხოდ გაკეთებულ სამუშაოებზე გაამახვილა. ადმინისტრაციულ შენობასთან კალაძეს ქალაქის ცენტრში მცხოვრებლებს ესაუბრა. სტალინის გამზირზე მინისტრებს მეგზურობას შპს „გორმშენის“ დირექტორი ჯემალ ილურიძე უწევდა, რომლის კომპანიაც დემონტაჟის სამუშაოებს ახორციელებს.

24 მარტს, გორის სოფლებში ქარის შედეგად დაზიანებულია 110 ნაგებობა, ხოლო ქალაქ გორში 35 კორპუსი დაზიანდა. ამ დროისთვის, ქალაქის აღწერა დამთავრებულია. 23 000 კვადრატულ მეტრზე დაზიანებულია სახლის სახურავები.

„შიდა ქართლი“

„სახელმწიფო, რომელშიც დღეს ვცხოვრობთ, 31 მარტის რეფერენდუმის საფუძველზე, 9 აპრილს იშვა!“

როგორ აფასებს საქართველოს დღევანდელ დამოუკიდებლობას და ითხოვს თუ არა ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრას **კონსტანტინე გამსახურდია**

ეროსუდან შელია
557-100-768

1991 წლის 31 მარტს ჩატარებულ რეფერენდუმში (საერთო-სახალხო კენჭისყრა) საქართველოს მოსახლეობის რეკორდულად დიდმა რაოდენობამ საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობაზე უარი განაცხადა და ქვეყნის დამოუკიდებლობას მისცა ხმა. რეფერენდუმში მოსახლეობის 90%-მა მიიღო მონაწილეობა, რომელთაგან 88%-მა კითხვაზე: „თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრიობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?“ — დადებითად უპასუხა. სახალხო კენჭისყრა, რომლის საფუძველზეც საქართველოს უზენაესმა საბჭომ 9 აპრილს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ აქტი მიიღო, ქვეყნის პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეს სიმბოლურად დაემთხვა. 22 წლის წინ განვითარებულ მოვლენებს კონსტანტინე გამსახურდია იხსენებს.

— 1991 წლის 31 მარტს, ჩატარდა რეფერენდუმი, რომლის უმთავრეს კითხვას, უჭერთ თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობას მხარს, საზოგადოების აბსოლუტურმა უმრავლესობამ დადებითი პასუხი გასცა. რეფერენდუმზე და შემდეგ უკვე, 9 აპრილსაც, როცა უზენაესმა საბჭომ დამოუკიდებლობის შესახებ ახალი დეკლარაცია მიიღო, მეორე, დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკა იშვა. მანამდე, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა არსებობდა. სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ არც 31 მარტსა და არც 9 აპრილს, შემდგომი ხელისუფლებები ჯეროვნად არ აფასებდნენ. დამოუკიდებლობის დღედ მხოლოდ 26 მაისი აღინიშნებოდა.

— თქვენც ეთანხმებით მოსაზრებას, რომ დამოუკიდებლობის დღედ 9 აპრილი უნდა გამოცხადდეს ან საერთოდ, დღეს საქართველო რამდენად დამოუკიდებელია?

— დამოუკიდებლობის დაბადების დღე 26 მაისსაც აღინიშნებოდეს, მაგრამ სახელმწიფო, რომელშიც დღეს ჩვენ ვცხოვრობთ, 9 აპრილს იშვა. გასაგებია, აღნიშნულ თარიღებს შევარდნაძის ხელისუფლება უხერხულობის გამო არიდებდა თავს, მაგრამ ნაციონალური მოძრაობის შემთხვევაში, ნამდვილად არ მესმის, 31 მარტის რეფერენდუმი და 9 აპრილის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილება ჯეროვნად რატომ არ ფასდებოდა. ალბათ, ამ შემთხვევაში არაკომპეტენტურობასთან გვაქვს საქმე, ამ ადამიანებმა, უბრალოდ, საქართველოს ისტორია არ იციან ისე, როგორც საჭიროა. რაც შეეხება საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს, რა თქმა უნდა, დღეს იმაზე ბევრად დამოუკიდებლები ვართ, ვიდრე 1990 წლის ოქტომბრის არჩევნებამდე ვიყავით, თუმცა სრული დამოუკიდებლობა არ გვაქვს, რადგან ზოგადად, მსგავსი ცნება მსოფლიოში არ არსებობს. დღეს ყველა სახელმწიფო ერთმანეთზე დამოკიდებულია, რასაც „ინთერ დიფენდენს“ ეწოდება. მაგალითად, რუსეთი აშშ-ზეა დამოკიდებული, რადგან რუსული კაპიტალის, დაახლოებით, 500 მილიარდი ამერიკული ფედერალ რეზერვის სისტემაშია კონცენტრირებული. საქართველო კი, როგორც ამერიკასა და ევროკავშირზე, ასევე რუსეთზე დამოკიდებულია, რომელსაც ჩვენ წინააღმდეგ ორი მძლავრი ბერკეტი უჭირავს ხელში — აფხაზეთი და ცხინვალი.

— ქართველებთან ერთად, საქართველოს დამოუკიდებლობას მხარი აფხაზებმა და ოსებმა დაუჭირეს. დღევანდელი გადასახედიდან, რა გახდა მათი განწყობის შეცვლის რეალური მიზეზი?

— როგორც ჩანს, ისინი 1991 წელს არსებული კონიუნქტურის შესაბამისად მოქმედებდნენ, რაც 1991 წლის აგვისტოს გადატრიალების შემდეგ რადიკალურად შეიცვალა. საქართველოში ოპოზიციის აქტივაციაც სწორედ ამ პროცესს მოყვა. იმ პირობებში, როცა საბჭოთა კავშირი აღარ არსებობდა და რუსეთის სათავეში ელცინი მოვიდა, ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გარკვეული პრიორიტეტების გადანაცვლებაც მოხდა. ეს გახდა ცხინვალში სეპარატისტების გათამამების საფუძველი, თუმცა აღსანიშნავია, რომ აფხაზეთში ამ პერიოდში სრულიად სიმშვიდე იყო. პარადოქსია, მაგრამ აფხაზეთში 1990-91 წლებში კონფლიქტური მოქმედებები არ შეინიშნებოდა.

— საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ ცხინვალში სეპარატისტების გააქტიურების პროვოცირება, ზვიად გამსახურდიას გადაწყვეტილებით, ცხინვალის რაიონისთვის ავტონომიის გაუქმებამ მოახდინა, თქვენ ასე არ ფიქრობთ?

— ცხინვალის ავტონომია 1990 წელს გაუქმდა, რასაც არეულობა მოჰყვა კიდეც, თუმცა ელცინისა და ზვიად გამსახურდიას შორის დადებული ხელშეკრულების შემდეგ, რომლის მიხედვითაც, რუსეთის პრეზიდენტმა საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული გადაწყვეტილების მართლზომიერება აბსოლუტურად აღიარა, ვითარება ჩაწყნარდა. პირიქით, მაშინ ოსების იმ ნაწილთან დიალოგი დაიწყო, რომლებიც საქართველოში დარჩენას ფიქრობდნენ. ვგულისხმობ გაზაევის ფრთასა და თბილისში არსებულ სამართლიანი ოსების საზოგადოებას. ფაქტია, ისინი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საკმაოდ ხშირად ხვდებოდნენ, შესაბამისად, ვინც აცხადებს, რომ მაშინდელი ხელისუფლება ოსების გენოციდს ახორციელებდა, ან რეალობის შესახებ წარმოდგენა არ აქვს ან დეზინფორმაციას შეგნებულად ავრცელებს. როგორც ჩანს, ზოგიერთი დღესაც ცდილობს, გარკვეული გრანტის სანაცვლოდ, რუსეთს თავი მოუქონოს.

— იმ პირობებში, როცა რუსეთმა და მასთან ერთად, რამდენიმე სახელმწიფომ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა, კონფლიქტის დარეგულირება როგორ წარმოგიდგენიათ, რა უნდა დათმოს ქართულმა მხარემ?

— მართალია, გარკვეული ნაბიჯები ჩვენც უნდა გადავდგათ, თუმცა ეს საკითხი საქართველოში ვერ გადაწყდება. აუცილებელია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის საერთაშორისო საზოგადოებასთან, ევროკავშირთან, ამერიკასა და რუსეთთან ერთად განხილვა. თუ ამ დონეზე გარკვეული გეგმა იარსებებს, საქართველოს ზუსტად ეცოდინება, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად, რა კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადადგას. ჯერჯერობით, საერთოდ გაურკვეველია, რა მიმართულებით განვითარდება მოვლენები.

— ფიქრობთ, დე ფაქტო რესპუბლიკებისთვის გაფართოებული უფლებების ან კონფედერაციის სტატუსის შეთავაზებაც არ იქნება ამ მიმართულებით წინგადადგმული ნაბიჯი?

— 1991 წლის შემოდგომაზე, საქართველოს ხელისუფლებამ აფხაზეთს აბსოლუტურად გაფართოებული უფლებები შესთავაზა, რომლის მიხედვითაც, აფხაზეთი სრულ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა ერთადერთი პუნქტის გამოკლებით — თბილისში, პრეზიდენტს უფლება ჰქონდა, აფხაზეთის თბილისისგან გამოყოფის მოთხოვნისთვის ვეტო დაედო. სხვა მხრივ, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება, აფხაზებთან მიმართებაში, აბსოლუტურად ყველა სახის კომპრომისზე წავიდა და ორი მხარე თამაშის ახალ წესებზე შეთანხმდა, რაც კანონში გაიწერა კიდეც. კერძოდ, განისაზღვრა, რამდენი აფხაზი და ქართველი დეპუტატი უნდა ყოფილიყო საბჭოში, ამასთან, რა ეროვნების უნდა ყოფილიყო პრემიერ-მინისტრი, პრეზიდენტი და ა.შ. აღნიშნულ კანონს აპარიტეტულს უწოდებდნენ, თუმცა ჩემი აზრით, ეს საკმაოდ პრაქტიკული კანონმდებლობა იყო, რომელიც სრულად ითვალისწინებდა მაშინდელ რეალობას და რომელმაც ეფექტურად იმუშავა კიდეც. რეალობა მაშინ ეთნიკურ მომენტებს გულისხმობდა, რადგან აფხაზური მხარე ყოველთვის შემდეგნაირად აყენებდა საკითხს — საქართველოში ცხოვრობენ ქართველები და აფხაზები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ აფხაზეთში არსებული დემოგრაფიული ვითარება ამის საშუალებასაც იძლეოდა, რადგან მოსახლეობის 44%-ს ქართველები, ხოლო 18%-ს აფხაზები წარმოადგენდნენ. შესაბამისად, აფხაზებთან ასეთ კომპრომისზე წასვლა მისაღები იყო, რითაც მაშინდელი პარტია მოვიგეთ. სამწუხაროდ, სახელმწიფო გადატრიალება აბსოლუტურად უსარგებლო, რკინიგზის დაცვის საბაბით დაიწყო, რასაც აფხაზეთში სამხედრო ძალის შეყვანა მოყვა.

— რაც შეეხება ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ქვეყანაში 200-ზე მეტმა მსჯავრდებულმა პოლიტპატიმრის სტატუსი მიიღო. თქვენ, როგორც საბჭოთა უშიშროების მიერ, დისიდენტობისთვის ორჯერ დაპატიმრებული ზვიად გამსახურდიას შვილი, ფიქრობთ, დღეს აღნიშნულ სტატუსს ამდენი ადამიანი რეალურად იმსახურებს?

— წინა ხელისუფლების პირობებში პოლიტპატიმრების არსებობა უდავოა, თუმცა არაპოლიტპატიმრებისთვის გამოტანილი ყველა განაჩენი სამართლიანი არ ყოფილა. საბჭოთა კავშირის მასშტაბით, რეიგანის პოლიტპატიმართა სიაში მხოლოდ რამდენიმე პოლიტპატიმარი ჩაიწერა. საერთოდ, პოლიტპატიმრის სტატუსს იმსახურებს ის ადამიანი, რომელიც საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების გამო, ხელისუფლებისგან იდევნებოდა და რომლის საქმიანობაც ფართო მასებისთვისაც ცნობილია. ვფიქრობ, ასეთი სტატუსის მქონე ადამიანების საქმე კომპეტენტურმა ორგანიზაციამ, ინდივიდუალურად უნდა განიხილოს. კონკრეტულად, სამართლიანად მიენიჭა თუ არა 200-ზე მეტ ადამიანს აღნიშნული სტატუსი, ვერ ვიტყვი, რადგან საკითხში ბოლომდე გარკვეული არ ვარ.

— ამასობაში, ვრცელდება ხმები, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციასთან კონსულტაციებს აქტიურად მართავთ. მას შემდეგ, რაც ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირსა და მეტეოროლოგიის მსოფლიო ორგანიზაციაში საქართველოს ელჩი აღარ ხართ, პოლიტიკაში დაბრუნებას არ გეგმავთ?

— ჯერჯერობით, ქართველ დიპლომატად ვითვლები, თუმცა ნამდვილად ვერ მოგახსენებთ, მომავალში, რა მიმართულებით წავალ. რაც შეეხება კონსულტაციებს, პირადად მე, ამის შესახებ არაფერი გამიგია და ვერც დავადასტურებ. როგორც გითხარით, მომავალ გეგმებთან დაკავშირებით, ბევრი რამ, ჩემთვისაც გაურკვეველია, თუმცა ვფიქრობ, საზოგადოებისთვის საინტერესო ფიგურად, ყოველთვის დავრჩები.

— „ვერსიის“ ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრას ითხოვთ...

— ვერ დაგიდასტურებთ, თუმცა გეტყვით, რომ ბიძინა ივანიშვილს გამარჯვება 3 ოქტომბერს, სოციალურ ქსელში მივულოცე. ამ ეტაპზე, მხოლოდ იმით შემოვიფარგლები, რომ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს დიდი ინტერესით ვადევნებ თვალს.

ვერსიანიუსი

ბიძინა ივანიშვილი: „უნდა გავაკეთოთ სწორად, ტექნოლოგიები უნდა დავიცვათ, სპეციალისტებმა იანგარიშონ და არა ერთმა კაცმა!“

გორში სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის მოსანახულებლად საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი მთავრობის წევრებსა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად იმყოფებოდა. როგორც ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებთან საუბრის დროს განაცხადა, ზარალის ზუსტი აღრიცხვა მიმდინარეობს და სახელმწიფო მას სრულად დაფარავს. გორში აღდგენითი სამუშაოები უკვე მიმდინარეობს. პრემიერ-მინისტრი ადგილობრივ მაცხოვრებლებსაც გაესაუბრა, რომლებმაც მას სოციალური პრობლემებით მიმართეს. პრემიერ-მინისტრმა მოსახლეობას მხარდაჭერა აღუთქვა.

„ძლიერი ქარის შემთხვევაში, კარგად იცით, ბუნება როგორ ზიანდება. არც ერთი ხე არ არის მოგლეჯილი. აქ ყველაფერი გასაგებია. არ გააკეთეს სწორად და შედეგიც მივიღეთ. უნდა გავაკეთოთ სწორად, ტექნოლოგიები უნდა დავიცვათ, სპეციალისტებმა იანგარიშონ და არა ერთმა კაცმა. ყველაფერი უნდა გააკეთოს სპეციალისტმა და აღარ მივიღებთ ასეთ შედეგს. აბა, ვნახოთ, თუ მოვახერხებთ განსხვავებულად ავაშენოთ საქართველო“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა. ფინანსთა მინისტრისა და გორის საკრებულოს თავმჯდომარის განცხადებით, ადგილობრივ ბიუჯეტში ცვლილებები მოხდება. ინფრასტრუქტურისა და ფინანსთა სამინისტროების დახმარებით, დაზარალებული არც ერთი ოჯახი ყურადღებისმიღმა არ დარჩება.

„ვერსიანიუსი“

„პუტინი მე შევქმენი და მევე გავანადგურებ!“

ეკა სეხნიაშვილი

ბორის ბერეზოვსკის საიდუმლო გარიგება პრეზიდენტ საკაშვილთან და გამოძიების რამდენიმე ვერსია

დიდი ბრიტანეთის პოლიციამ ბიზნესმენ ბორის ბერეზოვსკის გარდაცვალების მიზეზად, ჩამოხრჩობა დაასახელა. ტემზის პოლიციის განყოფილების ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, ამ დასკვნამდე ექსპერტები ცხედრის გაკვეთის შედეგად მივიდნენ. პათანატომების ინფორმაციით, ცხედარს ძალადობის კვალი არ ეტყობა. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა დასრულებული არ არის და მას, სავარაუდოდ, რამდენიმე დღე დასჭირდება. ამავე პერიოდში გახდება ცნობილი ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზის შედეგებიც, რომელიც საბოლოოდ მოჰფენს ნათელს, რა გახდა 67 წლის ბორის ბერეზოვსკის გარდაცვალების მიზეზი, რომლის ცხედარიც 23 მარტს, დიდ ბრიტანეთში, სურეის საგრაფოში, ქალაქ ასკოტთან მდებარე მის სასახლეში, სააბაზანოში აღმოაჩინეს.

გარდაიცვალა თუ მოკლეს?! თავი მოიკლა თუ მოწამლეს?! – კითხვები და ვერსიები ცნობილი რუსი ბიზნესმენისა და ლონდონში გადახვეწილი ოლიგარქის, ბორის ბერეზოვსკის საეჭვო სიკვდილის შესახებ. ბორის ბერეზოვსკი იმითიცაა საინტერესო, რომ ბოლო წლების განმავლობაში, იგი ქართული პოლიტიკის ხაზთან მუდმივად გადაჯაჭვული იყო: პატარკაციშვილის ფაქტორი, 2008 წლის ბადრი პატარკაციშვილის ხელშეწყობით ორგანიზებული საპროტესტო აქციები და მიხეილ სააკაშვილთან კონსპირაციული შეხვედრები.



ბორის ბერეზოვსკისა და ქართული პოლიტიკური ლიდერების კავშირებზე საუბრები ბოლო დროს გააქტიურდა, თუმცა დასავლურმა პრესამ უკვე დაუკავშირა ბერეზოვსკის საეჭვო ვითარებაში გარდაცვალება კრემლს. რუსულ ჟურნალისტიკაში დღემდე აქტიურია მისი ცნობილი გამონათქვამი: „პუტინი მე შევქმენი და მევე გავანადგურებ!“ დგას თუ არა ბერეზოვსკის გარდაცვალების უკან პოლიტიკური მოტივი, ამას დრო აჩვენებს, თუმცა, როგორც წესი, ასეთი საქმეები ბოლომდე ბურუსით მოცული რჩება.

67 წლის ბორის ბერეზოვსკის ცხედარი დიდ ბრიტანეთში, სურეის საგრაფოში, ქალაქ ასკოტთან მდებარე მის სასახლეში, ორი დღის წინ აღმოაჩინეს. ცხედარი სააბაზანოში იპოვეს. ბორის ბერეზოვსკი დიდ ბრიტანეთში 2001 წლიდან ცხოვრობდა, სადაც 2003 წელს პოლიტიკური დევნილის სტატუსი მიიღო.

მივყვეთ ოფიციალურ ინფორმაციას: იმ ადგილას, სადაც ბიზნესმენ ბორის ბერეზოვსკის ცხედარი იპოვეს, სპეციალისტებმა ვერც ბირთვული იარაღისა და რადიოაქტიური დაბინძურების და ვერც უცხო პირის არსებობის კვალს მიაგნეს მიუხედავად იმისა, რომ ბერეზოვსკის ქვრივი შემთხვევის ადგილას რაღაც საეჭვო შარფის არსებობაზე საუბრობს. მედიაში კი ბერეზოვსკის გარდაცვალების რამდენიმე ვერსია ვრცელდება.

ადვოკატმა ალექსანდრ დობროვინსკიმ „ფეისბუქში“ დაწერა, რომ ბიზნესმენმა თავი მოიკლა. მისივე განცხადებით, ბერეზოვსკი ბოლო დროს მძიმე მდგომარეობაში იყო. ფაქტობრივად, გაკოტრებული ბიზნესმენი იძულებული გახდა, თავისი კოლექციიდან სურათები გაეყიდა.

„ჩვენი საერთო ნაცნობებისგან ვიცი, რომ ბერეზოვსკიმ მათ რამდენიმე ათასი დოლარი სთხოვა, ბილეთი რომ აეღო და სადღაც გაფრენილიყო“, — აცხადებს ადვოკატი. რუსული მედია იმასაც იუწყება, რომ ბოლო დროს, ბერეზოვსკის გულის შეტევა რამდენჯერმე დაემართა და, შესაძლოა, მისი სიკვდილის მიზეზი სწორედ ინფარქტი იყოს. ზოგიერთი დასავლელი ჟურნალისტი კი არ გამორიცხავს, რომ ბერეზოვსკი მოკლეს.

არსებული ინფორმაციით, ბიზნესმენის გარდაცვალების გარემოებებზე გამოძიებას სკოტლანდ იარდი დაიწყებს. ბერეზოვსკიმ რუსეთი 2000 წელს, მას შემდეგ მალევე დატოვა, რაც ე.წ. აეროფლოტის საქმეში მისთვის ბრალდების წაყენების შესახებ გახდა ცნობილი. თავად ოლიგარქი სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მიზეზად პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან კონფლიქტს ასახელებს. 2003 წელს მან დიდ ბრიტანეთში პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო და ლონდონში ცხოვრობდა. 2008 წელს „ფორბსმა“ მისი ქონება 1,3 მლრდ დოლარად შეაფასა.



ოფიციალური გამოძიება ოლიგარქის გარდაცვალების ორ ვერსიას განიხილავს და ორივე თვითმკვლელობამდე მიყვანას უკავშირდება, ერთი — მის უკიდურესად გაზრდილ ვალებსა და გაკოტრებას, მეორე — პუტინის პოლიტიკას. ერთხანს, ინტენსიურად ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ბერეზოვსკი „ფერადი რევოლუციის“ წახალისებასა და ხელშეწყობას რუსეთშიც აპირებდა. რუსი დემოკრატების ნაწილი უკვე ალაპარაკდა, რომ ბერეზოვსკი, რომელიც პუტინს ლონდონში გაექცა, ვერ გაექცა მის შურისძიებას. სიკვდილის წინ, ცნობილმა რუსმა ბიზნესმენმა ბორის ბერეზოვსკიმ რუსეთის პრეზიდენტს, ვლადიმერ პუტინს წერილობით მიმართა, რომელშიც პრეზიდენტს მიტევება და სამშობლოში დაბრუნების უფლება სთხოვა. რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივნის, დიმიტრი პესკოვის ინფორმაციით, **„რამოდენიმე ხნის წინ, ბერეზოვსკიმ ვლადიმერ პუტინს, მის მიერ პირადად დაწერილი წერილი გამოუგზავნა, რომელშიც გამოტყდა, რომ დაუშვა უამრავი შეცდომა და რუსეთის პრეზიდენტს შეწყალება და სამშობლოში დაბრუნების უფლება სთხოვა. ჩემთვის უცნობია, რა რეაქცია ჰქონდა პრეზიდენტს ბერეზოვსკის სიკვდილთან დაკავშირებით, თუმცა ნებისმიერი ადამიანის სიკვდილი საწყენია, მნიშვნელობა არ აქვს, როგორი იყო ის სიცოცხლეში, ცუდი თუ კარგი“,** — ციტირებს რუსული მედია პესკოვის სიტყვებს და ვარაუდობს, რომ ბერეზოვსკიმ პუტინისგან უარი მიიღო. ბორის ბერეზოვსკი ამ და კიდევ სხვა მიზეზების გამო, უკანასკნელ პერიოდში, საკმაოდ მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში იყო, დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა ბადრი პატარკაციშვილის ოჯახთან და ამის შესახებ „ფორბსში“ გამოქვეყნებულ უკანასკნელ ინტერვიუშიც საუბრობს, რომელიც „ვერსიამ“ წინა ნომერში შემოგთავაზათ. თუმცა საქართველოსთან, ბადრის ოჯახის გარდა, სხვაც ბევრი აკავშირებდა. ჯერ კიდევ 2010 წელს, ბევრს საუბრობდნენ მიხეილ სააკაშვილისა და ბორის ბერეზოვსკის საეჭვო გარიგებასა და იმაზეც, რომ საქართველოს პრეზიდენტი ბიზნესმენს ბათუმში მალულად შეხვდა. ეს ინფორმაცია მოძრაობა „თეთრების“ ლიდერმა, თემურ შაშიაშვილმაც დაადასტურა და დააკონკრეტა, რომ გასაიდუმლოებულ შეხვედრას ორგანიზება ზუგდიდელმა ბიზნესმენმა, ვინმე ქარჩავამ გაუწია. **„საქართველოს პრეზიდენტის ისტერია რუსეთის პრემიერის მიმართ იმდენად გამძაფრდა, რომ მის მოწინააღმდეგე ძალებს უკავშირდება და მათში დასაყრდენს ეძებს. მიხეილ სააკაშვილი ბათუმში ბორის ბერეზოვსკის შეხვდა. ცნობილი გახდა, რომ ტელეარხი „პირველი კავკასიური“ სწორედ ბერეზოვსკის წყალობით მაუწყებლობს“,** — აცხადებდა მაშინ შაშიაშვილი. იგივეს ადასტურებდნენ „ლეიბორისტებიც“, ხოლო გოგა ხაინდრავა იმასაც ამბობდა, რომ „ბერეზოვსკი „პირველი კავკასიურის“ შექმნის დროს, საქართველოში კონფიდენციალურად ჩამოვიდა, შეხვდა სააკაშვილს და, სავარაუდოდ, ვანო მერაბიშვილსაც. ვფიქრობ, ლაპარაკი იყო სწორედ ამ ტელევიზიის დაფინანსებაზე, რომელიც მათთვის ერთნაირად საინტერესოა. სინამდვილეში კი, ეს ტელევიზია კრემლის ინტერესებზე დაასხამს წყალს, რათა პუტინმა და მედვედევმა გაუთავებლად ილაპარაკონ, საქართველოში ტერორისტები არიან და ჩრდილოეთ კავკასიაში ვითარება სწორედ საქართველოდან ირევაო“.

ბიძინა ივანიშვილის გამოჩენისთანავე, ბერეზოვსკიმ „ტაბულასთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ იგი პუტინთან შეთანხმებული პროექტია და „რუსეთის ხელისუფლების წესებით თამაშობს“, რაც იმით ახსნა, რომ „ქართული ოცნების“ ლიდერს რუსეთში პრობლემები არ აქვს.

„არ მინდა, ვულგარულად გამოვჩნდე, თითქოს კონსპიროლოგიით ვარ დაკავებული, მაგრამ მიმაჩნია, რომ ივანიშვილი საქართველოს განვითარების დამოუკიდებელ ვექტორს ვერ შეინარჩუნებს. ამასთან, არ ვამბობ, რომ იგი დღეს რუსეთის ხელისუფლებასთან შეკრულია, მაგრამ ამ ვარიანტსაც ვერ გამოვრიცხავ“, — აღნიშნა რუსმა ოლიგარქმა, რომელსაც ბიძინა ივანიშვილმა მწარედ უპასუხა: **„ბადრი პატარკაციშვილი ბორის ბერეზოვსკის უახლოესი მეგობარი იყო. „იმედს“, რომლის მეპატრონეც გახლდათ ბადრი პატარკაციშვილი, დღეს სააკაშვილი აკონტროლებს. პატარკაციშვილი, უახლოესი მეგობარი ბერეზოვსკის, რომელიც მთელი თავისი ცხოვრება ებრძოდა სააკაშვილს, ეს არის მისი დემოკრატია? ამას ეძახის ბერეზოვსკი დემოკრატიას? რა უფლებით აქვს დღეს სააკაშვილს „იმედი“ და რა უფლებით აკონტროლებს. მე მგონი, ბერეზოვსკი ძალიან შორსაა დღეს მორალისგან და ის პარტნიორი გახდა სააკაშვილის იმ დარგში, რომ მისი უახლოესი მეგობრის ქონებას ინაწილებენ და ბერეზოვსკიც აქტიურად ცდილობს ბადრის ქონების დაპატრონებას. აი, ეს არის, მგონი, ყველაფრის პასუხი“.**

25 მარტს, გავრცელდა ინფორმაცია, რომ აშშ-ში, გამოძიების ფედერალურმა ბიურომ, ფულის გათეთრებისა და ფინანსურ მაქინაციებში მონაწილეობის ბრალდებით, რომან აბრამოვიჩი დააკავა, რაც არავის გაკვირვებია. მეტიც, ვარაუდობდნენ, რომ ეს ბრალდება, შესაძლებელია, ბორის ბერეზოვსკის მკვლელობის დაკვეთად გადაკვალიფიცირდესო, რადგან ბორის ბერეზოვსკის უკანასკნელი სკანდალი სწორედ პუტინსა და მის „ბიზნესპატრნიორსა“ თუ „კასირს“ უკავშირდებოდა. რამდენიმე თვის წინ, გახმაურებულ სასამართლო პროცესზე, აბრამოვიჩმა ბერეზოვსკის მიერ ფულის გათეთრების სქემა და პატარკაციშვილთან საუბრის ჩანაწერებიც გამოაქვეყნა. ბიზნესწრეებში ვარაუდობდნენ, რომ ბერეზოვსკის სიკვდილით, შესაძლებელია, სწორედ აბრამოვიჩი ანუ პუტინის კლანი ყოფილიყო დაინტერესებული, თუმცა 25 მარტსვე, რუსულ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია უარყო აბრამოვიჩის წარმომადგენელმა და ისიც განაცხადა, რომ რუსი მილიარდერი არავის დაუკავებია და სასამართლოში ჩივილს აპირებს, რადგან ცრუ ინფორმაციის გავრცელებამ მისი აქციების ვარდნა გამოიწვია და მის ბიზნესს ზიანი მიაყენა. უკავშირდება თუ არა აბრამოვიჩის სკანდალი ბორის ბერეზოვსკის იდუმალ გარდაცვალებას, ამას, ალბათ, გამოძიება და ექსპერტიზის საბოლოო დასკვნა დაადგენს, სავარაუდოდ, იმასაც აეხდება ფარდა, რატომ ჰგავს პატარკაციშვილისა და ბერეზოვსკის იდუმალი გარდაცვალება ლონდონში, ასე, წვეთი წყალივით, ერთმანეთს.

„ცოტა ხანში გამოვა სააკაშვილი და იტყვის, რომ სამცხე-ჯავახეთის დედაქალაქი ახალქალაქი იყოს!“

დავით დევიძე
593-219-042

სომხური და აზერბაიჯანული ენების რეგიონულ ენებად გამოცხადების საკითხმა, გასულ კვირაში, საკმაო ვნებათაღელვა გამოიწვია. ექსპერტების ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ეს ინიციატივა ქვეყანას გარკვეულ საფრთხეებს უქადის, ნაწილის აზრით კი, საშიშროებაზე საუბარი გადაჭარბებულია. ვინ არის მართალი, დრო გვიჩვენებს, მაგრამ ფაქტია, სამცხე-ჯავახეთში, სადაც საჯარო სკოლებში ქართული და სომხური ენები თითქმის თანაბრად ისწავლება, სომხური ენის დისკრედიტაციაზე ალაპარაკდნენ, უკმაყოფილება უკვე გამოითქვა. გადაიქცევა უკმაყოფილების პატარა ნაპერწკალი კოცონად, თუ მალევე ჩაქრება, ეს უკვე ბევრ ფაქტორზე იქნება დამოკიდებული. შექმნილ ვითარებას კი ობიექტური ანალიზი სჭირდება. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, საიდან მოდის ჯავახეთში „სომხური ენის ჩაგვრის“ საკითხი, რომელიც, გაგიკვირდებათ და, სეპარატისტული დაჯგუფებების შემოგდებული თემა სულაც არ ყოფილა. საქმეს ღალატის სუნი უდის და სწორედ ამ საკითხზე „ვერსიას“ ესაუბრება არმენოლოგი, საქართველოს პირველი ელჩი სომხეთში და სამცხე-ჯავახეთის ექსგუბერნატორი გიგლა ბარამიძე.

როგორ აშანტაჟებდა შევარდნაძეს, ვისი ხელით აწყობდა პროვოკაციებს სამცხე-ჯავახეთში და რატომ სდებს ბრალს სააკაშვილის გუნდს სამშობლოს ღალატში გიგლა ბარამიძე

— ისეთ სუსტ სახელმწიფოში, როგორიც საქართველოა, ანტისახელმწიფოებრივი ძალები ცდილობენ, სუსტი ადგილები გამოძებნონ და იქ დაარტყან. როგორც აფთარი ცდილობს, მსხვერპლში ყველაზე სუსტი გამოარჩიოს და მანამდე მიჰყვეს, სანამ სასიკვდილო დარტყმას არ მიაყენებს, ასევე ეს კლანები, კრიმინალური ელემენტები და რეაქტიული პოლიტიკური ძალები ცდილობენ, გამოიყენონ ეროვნული უმცირესობის საკითხი და ამ წერტილიდან დაარტყან ქვეყნის ინტერესებს, თავიანთი ინტერესების სასარგებლოდ. ეს მხოლოდ საქართველოს პრობლემა არ გახლავთ, ჩვენზე განვითარებულ ქვეყნებშიც ყოველთვის აქვთ ეროვნულ უმცირესობებს განცდა და შინაგანი კომპლექსი, რომ რაღაცას აკლებენ. შესაბამისად, ყველა თავის წარუმატებლობას, სიღარიბეს, სოციალურ სიდუხჭირეს სახელმწიფოს აბრალებს. თუ სახელმწიფო სუსტია, იწყება მიტინგები, სეპარატისტული გამოსვლები ავტონომიის, საერთოდ გამოყოფისა თუ შეიარაღებული ფორმირებების შექმნის მოთხოვნით. საქართველოს შემთხვევაში, ხსენებული ძალები ამ კარტს ყოველთვის ათამაშებდნენ და გაათამაშებენ, თუკი ქვეყანა არასწორად წარმართავს სტრატეგიას, რითაც ასეთი საფრთხეების თავიდან არიდება იქნება შესაძლებელი.

— ეს ანტისახელმწიფოებრივი ძალები თქვენ აფთარს შეადარეთ. მოდით, კონკრეტულად ვისაუბროთ, ჩვენ შემთხვევაში, ვინ არის ეს აფთარი?

— ეს აფთრები იყვნენ და არიან სხვადასხვა სტრუქტურებში მოკალათებული ჩინოვნიკები და გაყიდული პოლიტიკოსები, რომლებსაც ვიწრო ინტერესები აქვთ და ცდილობენ, ეროვნული უმცირესობების პრობლემა პოლიტიკური ქულების დასაგროვებლად გამოიყენონ. კონკრეტულად, ეს იყო მოქალაქეთა კავშირის ერთი ფრთა, რომელიც შემდეგ ნაციონალურ მოძრაობაში გადაბარგდა, სააკაშვილის ფრთას ვგულისხმობ და პირადად, ჟვანიასაც, რადგან სწორედ ჟვანია იყო მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარე, როცა იქ ჩამოყალიბდა ჯგუფი ადამიანებისა, რომელთა უმთავრესი მიზანი იყო, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის პრობლემატიკა სათავისოდ გამოეყენებინა, მერე კი ევაჭრათ და დაეშანტაჟებინათ სახელმწიფო. 7 წლის განმავლობაში, რაც იქ ვიყავი, ამას ყოველთვის ხმამაღლა ვამბობდი და აქტიურად ვებრძოდი კიდეც.

— კონკრეტულად, ვის ეუბნებოდით?

— ვეუბნებოდი შევარდნაძეს, რომელიც ბევრ რამეში მხარს მიჭერდა, მაგრამ მაინც მოქალაქეთა კავშირის იმ ყველაზე ძლიერ ფრთას ეყრდნობოდა, რომელიც ამ ყველაფერში თავად იყო დამნაშავე.

არადა, არც ერთი მეზობელი ქვეყნის სპეცსამსახურებს იმდენი პრობლემა არ შეუქმნიათ ჯავახეთში, რამდენიც ნაციონალურმა მოძრაობამ შექმნა (!). დიახ, ქვეყანამ უნდა იცოდეს, რომ ნაციონალები დღედაღამ მუშაობდნენ იმაზე, რომ როგორმე აეგორებინათ ჯავახეთის პრობლემა. მუშაობდნენ ავტონომიის საკითხზე და ხელმოწერებიც კი შეაგროვეს. ამას შეფარვით აკეთებდნენ, ჩანდა მხოლოდ არაქართული გვარის რამდენიმე ადამიანი, რომლებსაც აფინანსებდნენ და ეხმარებოდნენ.

მაშინ წინააღმდეგობა გავუწიეთ და ჩავშალეთ ეს საქმე. შემდეგ მოინდომეს შეიარაღებული ფორმირებები, ეს საქმეც მოვუმთავრეთ. მერე მიდგომები შეცვალეს: იყო ერთი ტვინგადატრიალებული ადამიანების პოლიტიკური პარტია „ჯავახკი“, მაგრამ არ იკადრეს უკადრებელი და სააკაშვილის მოთხოვნებს ყური არ უგდეს.

— ბატონო გიგლა, თქვენ, ფაქტობრივად, სააკაშვილის გუნდს სამშობლოს ღალატში ადანაშაულებთ.

— როდესაც ძებნაში ვიყავი, ჯერ კიდევ 5 თვის წინ, „ვერსიასთან“ ინტერვიუში ვთქვი, რომ სააკაშვილი ეროვნული უმცირესობით დასახლებულ რეგიონებში პროვოკაციებს ამზადებდა. ხომ მოხდა ეს? სად იყო მაშინ ჩახალიანი? საერთოდ, არ ვიცოდით მისი არსებობა და უცებ ამოატივტივეს. მეტიც, სააკაშვილი ბევრს მუშაობს, მივიწყებული და დასრულებული თემები გააცოცხლოს, ახალი პრობლემები მოგვახვიოს და არ გაჩერდება, სანამ ამას არ გააკეთებს.

— გასაგებია, რომ ადრე შევარდნაძეს აშანტაჟებდა ამ საკითხით, დღეს რაღა მოგება აქვს? — ამას იმიტომ გეკითხებით, რომ ერთი ვერსიით, სააკაშვილმა უცხოეთიდან მიიღო დავალება ეროვნული უმცირესობებისთვის ავტონომიის მინიჭების თაობაზე და ცდილობს, ეს დავალება პოსტიდან წასვლამდე შეასრულოს.

— ასეთი დავალება სახელმწიფო დონეზე არ შეიძლება არსებობდეს, მაგრამ არიან ფინანსურად ძლიერი, აგრესიული ჯგუფები, რომლებიც მზად არიან, ყველანაირი თანხა გადაიხადონ და თავიანთი სურვილები აისრულონ. საუბარი არ არის მხოლოდ სომხურ ლობიზე, თურქ-მესხებთან დაკავშირებითაც მუშაობდა ასეთი ლობი და ქვემო ქართლის საკითხებზეც. სააკაშვილი კი, ოღონდ ვინმემ ფული დაანახოს და, საკუთარ დედასაც გაყიდის.

ჯერ კიდევ არჩევნებამდე ნათელი იყო, რომ სააკაშვილი ამ კარტს აამოქმედებდა, საჯარო განცხადებაც გავაკეთე, მაგრამ ზომები არ მივიღეთ. შედეგი კი სახეზეა: აღარ გაჩერდა, უცბად გაახსენდა ეროვნული უმცირესობები და ჩახალიანი. ანეკდოტია, ტელევიზიით გამოვიდა და დაგვამუნათა: ჩახალიანი რომ გამოვუშვით, ახლა დაიწყებაო და ჩამოთვალა ქვეყნის ამოვარდნა, დაშლა და გაუბედურება. თვითონ რაც აქვს გულში, იმას აბრალებს ჩახალიანს. სააკაშვილი დღეს ყველაფერზეა წამსვლელი. რა კოჰაბიტაციაზეა საუბარი, მისი ჯგუფი მეხუთე კოლონაა და მათთან თანაცხოვრება შეიძლება?

— თქვენ კარგად იცნობთ სომხურ პოლიტიკურ წრეებს. იქ რა დამოკიდებულება აქვთ ჯავახეთის მიმართ?

— პირადი ურთიერთობები მქონდა და მაქვს ტერ-პეტროსიანთან, ქოჩარიანთან, ნორმალური ურთიერთობა მაქვს სერჟ სარქისიანთან, გარეგინ მეორესთან, მის ძმასთან — ეზრასა და ბევრ სხვა პოლიტიკურ მოღვაწესთან, ამიტომაც კარგად ვიცი, ოფიციალურ სომხეთში არ დგას ეს საკითხი. არც თავში უდევთ და არც გულში. მათ არ უნდათ ჯავახეთში დესტაბილიზაცია, არაფერში სჭირდებათ. წმინდა პრაგმატულადაც რომ ვიმსჯელოთ, შეუძლია სახელმწიფოს, რომელსაც პრობლემები აქვს ისლამურ სამყაროსთან, მეორე ფრონტი სხვაგან გახსნას? ეს ხომ გამორიცხულია. პირადადაც უთქვამთ: ჩვენს ინტერესებში ასეთი რამ არ შედისო და გულწრფელად იყვნენ დაინტერესებულნი, ჯავახეთში წესრიგი ყოფილიყო. გარედან ასეთი მხარდაჭერით, ქვეყნის შიგნით კიდევ ჩვენი ინტერესებიდან გამომდინარე, ეს წესრიგი ჩვენ დავამყარეთ და გამზადებული მხარე ჩავაბარეთ სააკაშვილს. ჯერ გასუსული იყო და ახლა გაახსენდა რაღაც პრობლემები. არადა, ეგ რომ სტრასბურგის მაღაზიებში დადიოდა, ჩვენ ჯავახეთში ვმუშაობდით და ვაწყნარებდით სიტუაციას.

— მერაბიშვილის ფაქტორი რამდენად მოქმედებს ჯავახეთში სიტუაციის დაძაბვაში?

— მერაბიშვილსა და მამამისს აქვთ მხოლოდ ორი-სამი ოჯახის მხარდაჭერა ახალციხეში. ჯავახეთში, რეალურად, დღემდე არ იციან, ვინ არის მერაბიშვილი. არანაირი ავტორიტეტი მას არ აქვს. შეიძლება, ვინმეს ემუქრებოდა, იჭერდა და ამიტომ ქართველსაც ეშინოდა და სომეხსაც, მაგრამ ლიდერი არასოდეს ყოფილა. მეორე საკითხია: თუ მშიერ ადამიანებს დიდ ფულს მისცემ, შეიძლება, ყველაფერი მოხდეს, თუმცა ვიმეორებ, მაგათ რომ სერიოზულად ააგორონ ჯავახეთში რამე, გამორიცხულია, ამის არც რესურსი აქვთ და არც განწყობაა ჯავახეთში.

დასასრული მე-6 გვერდზე

თბილისში, ოლიმპიური სოფლის უკან ჩინელებით დასახლებული ავტონომიური წარმონაქმნი იმალება?

ნელი თორდია
593-61-07-72

ვაზისუბნის მოსახლეობა ჩინური სამშენებლო კომპანიის მიერ დაწყებული სამშენებლო სამუშაოების სასწრაფოდ შეჩერებას მოითხოვს, რადგან ოლიმპიური სოფლის მშენებლობის საფარქვეშ, ჩინური კომპანია ათწლეულების მანძილზე მათ საკუთრებაში მყოფი ნაკვეთების მისაკუთრებასა და ჩინური დასახლების აშენებას აპირებს. ვაზისუბნის მოსახლეობას თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე ზაზა გაბუნია შეხვდა და განუმარტა, რომ საქართველოს აღებული აქვს ოლიმპიური თამაშებისთვის ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ვალდებულება, რაც აუცილებლად უნდა შესრულდეს, თუმცა დაუშვებელია, ამ პროცესებმა ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები დააზარალოს.

რატომ მოითხოვს ვაზისუბნის მოსახლეობა მშენებლობის შეჩერებას

„ვერსიასთან" საუბარში ზაზა გაბუნია აცხადებს, რომ აქცია მასთან შეთანხმებით გაიმართა და ის ოლიმპიური სოფლის, როგორც მნიშვნელოვანი პროექტის, აშენების წინააღმდეგ არ ყოფილა მიმართული.

„მომხრე ვარ, ოლიმპიური სოფლის მშენებლობის პროცესმა ხარვეზებისა და დაბრკოლებების გარეშე ჩაიაროს და საქართველომ ბოლომდე შეასრულოს ამ მიმართულებით აღებული ვალდებულებები, მაგრამ არის საკითხები, რომელთა მოსახლეობასთან შეუთანხმებლად გადაწყვეტამ ჩინურ კომპანიასა და მოსახლეობას შორის კონფლიქტური სიტუაცია შექმნა. მე დავათვალიერე ნაკვეთები, რომლებსაც ადგილობრივები ათწლეულების განმავლობაში უვლიდნენ და ახლა ჩინელები განადგურებით ემუქრებიან. ჩემი ინფორმაციით, რასაც ადგილობრივებიც ადასტურებენ, ჩინური კომპანია ამ ნაკვეთებზე, უახლოეს დღეებში, ბულდოზერებითა და სხვა ტექნიკით შესვლას აპირებს, რათა სამშენებლო სამუშაოებისთვის ადგილი გაასუფთაოს. სხვათა შორის, მიმდებარე ტერიტორიაზე ეს უკვე გააკეთეს და არა მარტო ბაღები და ნაკვეთები, სკოლაც კი სხვა შენობაში გადაიყვანეს, ჩინური სასტუმროსთვის ადგილი რომ გამოეთავისუფლებინათ", — აცხადებს ზაზა გაბუნია და განმარტავს, რომ არსებობს პრაქტიკა, რომელიც ითვალისწინებს, მოსახლეობის მრავალწლიან სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემას. ამის მიუხედავად, მერია წლების განმავლობაში, ყოველგვარი არგუმენტების გარეშე, კატეგორიულ უარს ამბობდა ადგილობრივი მოსახლეობისთვის ნაკვეთების დაკანონებაზე.

„მერია რომ ამ ადამიანების მიმართ არაობიექტური იყო, უგულავას უწყებიდან გამოგზავნილ პასუხებშიც ჩანს და მეტყველებს იმაზე, რომ ვიღაცას ამ მიწების ინტერესი ჰქონდა. შესაძლოა, 5 და 7 წლის ჩინურ კომპანიას ისინი არ აინტერესებდა, მაგრამ უგულავა და მისი გუნდი ასეთი ტიპის ადგილებს კომერციული ინტერესების ფორმატში განიხილავენ და ამიტომ ჩნდება ვერსია, რომ ადგილობრივ მოსახლეობას ეს მიწები შორსმიმავალი გეგმების გამო არ დაუკანონეს", — ამბობს გაბუნია და კითხვაზე, რა იმალება ოლიმპიური სოფლის მშენებლობის საფარქვეშ, განმარტავს, რომ ჩინელები არ მალავენ, ოლიმპიური სოფლის გარდა, თავისუფალი ინდუსტრიული ზონისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობა რომ იგეგმება, განსაკუთრებულ ეჭვს კი ჩინელების აშენებული სახლების ღირებულება იწვევს.

„ჩინური მხარე აცხადებს, რომ მათ მიერ ვაზისუბანში აშენებულ სახლში კვმ 1000 დოლარი ეღირება. საბურთალოზე კვადრატული 600 დოლარი ღირს და იოლი მისახვედრია, ჩინურ სახლში ქართველები ბინას ვერ და არ იყიდიან ანუ შეთავაზება ჩინელისთვის კეთდება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ დასახლებას ყველაფერი, თეატრიდან დაწყებული, ბაზრით დამთავრებული, ავტონომიური ექნება, გამორიცხული არაა, რომ შუა თბილისში ჩინელებით დასახლებული ავტონომიური წარმონაქმნი მივიღოთ", — ვარაუდობს საკრებულოს დეპუტატი და მაშინ, როცა ნებისმიერ თბილისელს საცხოვრებელ სახლში ფანჯრის გამოჭრასა თუ აივნის მიშენებაზე ზედამხედველობის სამსახურების ნებართვა სჭირდება, ჩინური სამშენებლო კომპანიისთვის შექმნილი სასათბურე პირობები საეჭვოდ ეჩვენება.

განსაკუთრებით, დიდ გაუგებრობას იწვევს უგულავას მიერ თებერვალში გამოცემული ბრძანება №1, რომლის თანახმადაც, ჩინურ სამშენებლო კომპანიას განსაკუთრებული ლეგიტიმაცია ენიჭება, მშენებლობა დაიწყოს ყოველგვარი დოკუმენტური დასაბუთების გარეშე, ამიტომაც ზაზა გაბუნია, საკრებულოს დეპუტატებთან ერთად, აპირებს, წერილობით მიმართოს სამშენებლო კომპანიას და სამუშაოების დაუყოვნებლად შეჩერება მოითხოვოს. სავარაუდოდ, სწორედ ამის შემდეგ უნდა დაიწყოს მოლაპარაკება, რაც ოლიმპიური სოფლის მშენებლობას კი არა, თავისუფალ ინდუსტრიულ ზონასა და საცხოვრებელ სახლებთან დაკავშირებულ რისკებს ეხება.

ზაზა გაბუნიას თქმით, ჩინური კომპანიის მხრიდან უნდა მივიღოთ დასაბუთებული პასუხი, რასთან გვაქვს, რეალურად, საქმე და თუ საზოგადოების შიში გამართლდა, უნდა გადაიხედოს პროექტის მნიშვნელოვანი ნაწილი, რადგან თავისუფალი ინდუსტრიული ზონა და საცხოვრებელი სახლები ცდება ოლიმპიური საქმიანობის ფარგლებს და ამ ფაქტორით აუცილებლად უნდა დაინტერესდეს არა მხოლოდ თბილისის თვითმმართველი ერთეული, არამედ სხვა ორგანოებიც.

ჩინური კომპანიის მიერ დაწყებული სამშენებლო სამუშაოების შეჩერების მოთხოვნით, საკრებულოს დეპუტატები ხელმოწერების შეგროვებას იწყებენ.

„ცოტა ხანში გამოვა სააკაშვილი და იტყვის, რომ სამცხე-ჯავახეთის დედაქალაქი ახალქალაქი იყოს!"

მე-5 გვერდიდან

ცხადია, უკმაყოფილო ხალხი თბილისშიც არსებობს, ქვემო ქართლშიც და ჯავახეთშიც. რა მიმართულებას მისცემ ამ უკმაყოფილებას, იქეთ წავა, მაგრამ მერაბიშვილი რომ ბაქიბუქობს, ამას ვიზამ, იმას ვიზამო, ეს გამორიცხულია. არც სხვა ლიდერია ვინმე ჯავახეთში, რომელმაც შეიძლება, დღეს დაიძახოს და გაჰყვეს ხალხი.

— თავის დროზე, იქ სერიოზული ორგანიზაციები არსებობდა.

— ძალიან ძლიერი მოძრაობა იყო „ჯავახკი". იყვნენ ძლიერი ადამიანებიც, პირადად ვიცნობდი, მაგრამ არ მინდა, დავასახელო, ჩახალიანივით რეკლამა რომ არ გავუკეთო. ეს ხალხი წიხლისკვრით შედიოდა შევარდნაძის კაბინეტში და მართლაც, აკონტროლებდნენ იქ ბევრ რამეს, მაგრამ იმათი სახელი და გვარი არავის ახსოვს იმიტომ, რომ ჩვენ ვიმუშავეთ. რა მეთოდებით, როგორი გზებით, ეს სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საიდუმლოდ დავტოვოთ. დამთავრდა ის საქმე, სამაგიეროდ, დღეს სააკაშვილი ქმნის ახალ სახეებს. დღეს ჩახალიანი ჩადის ერევანში, ტაშით ხვდებიან, მოსკოვის დიასპორაში ამბობენ, ასეთი ძლიერი კაცი თუ გვყავდა, აქამდე რატომ არ ვიცოდითო. საიდან ეცოდინებოდათ, როცა სააკაშვილმა შექმნა ხელოვნურად და თან გვეუბნება, ახლა ეს უბედურებებს დაატრიალებსო. ნუთუ, ვეღარ უნდა გავიგოთ, ვინ არის ამ ყველაფრის წამომწყები და აღარ უნდა დამთავრდეს ამ ტაკიმასხარას ბოგინი?

— არადა, წინა კვირას, სკანდალი ატყდა, ჯავახეთში არეულობა იწყებაო.

— ქარტიასთან დაკავშირებით, ენის სტატუსის თაობაზე, ყველა ლაპარაკობდა, იცოდა თუ არა საკითხი. პირადად, ჩემთვის არავის დაურეკავს და არაფერი უკითხავს, სიტუაცია რომ გამეშიფრა და სააკაშვილ-მერაბიშვილის ტყუილებს ასეთი მღელვარება არ გამოეწვია.

არ არის ქარტიის საკითხი სასწრაფო რატიფიცირების თემა, ეს პერსპექტივაში განსახილველია. რატომ ააგორეს? ნაციონალების ინტერესებია და იმიტომ. ცოტა ხანში, გამოვა სააკაშვილი და იტყვის, რომ სამცხე-ჯავახეთის დედაქალაქი ახალქალაქი იყოსო. ადრე რომ აყენებდნენ ამ საკითხს, ხალხს დაავიწყდა, მაგრამ მე მახსოვს. უშიშროების საბჭოზე პირდაპირ მოსთხოვეს ეს შევარდნაძეს. ჩანაწერიც არსებობს: „რატომ უნდა იყოს ახალციხეში ადმინისტრაციული ცენტრი, როდესაც შეიძლება ახალქალაქში გადავიტანოთო". უფრო ღრმად უნდოდათ შეღწევა, თან მეტი უფლებები მივცეთო.

როცა საქართველოს ტერიტორიები გვაქვს დაკარგული, რა დროს ამ თემებზე საუბარია. არადა, თუკი რომელიმე ენას სჭირდება გადარჩენა ჯავახეთში, ეს, პირველ რიგში, ქართული ენაა. ჯავახეთში 97% სომხური მოსახლეობაა და ყველაფერი ისედაც სომხურ ენაზე მიმდინარეობს, სასამართლო პროცესებიც კი. რაღა საჭიროა დამატებითი უფლებები. ევროსაბჭომ ქარტია იმიტომ შეიმუშავა, რომ ეთნიკური უმცირესობები გადაშენების საფრთხის წინაშე არ დადგნენ და ენა არ დაკარგონ. ასეთი საშიშროება კი საქართველოში არ არსებობს. ორ სომეხზე ერთი ქართველი იბადება, ექვს აზერბაიჯანელზე — ერთი ქართველი. ვის ემუქრება გადაშენება? ჩვენ ვართ უმცირესობაში.

— ანუ ამბობთ, რომ რეგიონულ პრობლემებს არ უნდა ველოდეთ?

— უწმინდესმა და უნეტარესმა 2013 წმინდა თამარ მეფის წლად გამოაცხადა. თამარის ძეგლი, რომელიც ჩემს დროს დაიდგა ახალციხეში, ერთადერთია, რომლის შექმნაში ერთი თეთრიც არ დახარჯულა ბიუჯეტიდან, მხოლოდ ქართველების, სომხებისა და აზერბაიჯანელების შემოწირულობებით გაკეთდა. თამარი საქართველოს მთლიანობის სიმბოლოა და მომავალშიც ყველამ ერთად უნდა ვიბრძოლოთ ამ მთლიანობისთვის.

თავისთავად, ბიძინა ივანიშვილის მადლიერი რომ არ ვიყო, ნაციონალური მოძრაობის დამარცხება რომ მოახერხა და სამშობლოში დაბრუნება შეგვაძლებინა, არ ვიქნები მართალი, თუმცა სამართლიანობის ბოლომდე აღდგენას ქმედება უნდა. როდესაც ამდენი მკვლელი, მწამებელი და კორუმპირებული თავისუფლად დადის, ეს ძალიან აღიზიანებს საზოგადოებას. შურისძიებაზე არ არის საუბარი, სამართლიანობის აღდგენაა საჭირო. რომელ დემოკრატიას ვაშენებთ, თუკი კაცისმკვლელი გარეთ იქნება და აქეთ დაგარიგებს ჭკუას?! ეს არ მომწონს, მაგრამ იმედი მაქვს, გამოსწორდება.

კოჰაბიტაციის პრინციპიც დარღვეულია: ვფიქრობ, მმართველი გუნდი არ უნდა იყოს დამარცხებული, სახელგატეხილი, სისხლიანი ბანდის მოპასუხე.

რა ხდება აგრარული უნივერსიტეტისა და ყოფილი ზოოვეტის ბაზებზე?!

მაია მიშელაძე
593-51-90-12



ორ კვირაზე მეტია, განათლების სამინისტრომ აგრარულ უნივერსიტეტს ავტორიზაცია შეუჩერა. ორ კვირაზე მეტია, სტუდენტები გიორგი მარგველაშვილისგან ავტორიზაციის აღდგენას ითხოვენ. ზოგი ფიქრობს, რომ ხელისუფლებას პოლიტიკური მოტივაცია ამოძრავებს და ავტორიზაციის შეჩერებით, კახა ბენდუქიძეს უსწორდება, ზოგს მიაჩნია, რომ კახა ბენდუქიძე, რომელმაც აგრარული უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორია სიმბოლურ ფასად — 1 ლარად შეიძინა და რომელმაც სინამდვილეში, სოფლის მეურნეობა დააქცია, ბედის ირონიით, აგრარულ უნივერსიტეტს ჩაუდგა სათავეში; კახა ბენდუქიძის მომხრეები, აგრარული უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შენობის ძველ და ახალ ფოტოებს ანთავსებენ სოციალურ ქსელებში, რათა საზოგადოება დარწმუნდეს, რა იყო ძველად და რა არის ახლა... ასეთ სიტუაციაში, მტყუან-მართლის გარკვევა ძალიან ძნელია, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც მხარეები ტელე-დებატებს გაურბიან, ძველი ქართული ანდაზის მიხედვით კი „ცალ-ცალკე მომჩივანი, მეფეს მართალი ეგონა“. ორივე მხარეს თავისი სიმართლე აქვს, რასაც ალბათ, კომპეტენტური უწყებები დაადგენენ, მაგრამ „ვერსია“ შეეცდება, სულ სხვა რეალობა დაგანახოთ. ამ რეალობაზე მხარეები არ საუბრობენ, არადა, ფონიჭალის მიმდებარე, უზარმაზარ ტერიტორიაზე, ერთ დროს ზოოვეტერინარული ინსტიტუტი იყო განთავსებული. აქვე იყო სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიები, საცდელი ფერმები და საველე მინდვრები, რათა ზოოვეტისა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტებს თეორიულ ცოდნასთან ერთად, პრაქტიკული უნარ-ჩვევებიც შეეძინათ. დღეს ეს ტერიტორია აგრარულ უნივერსიტეტს ეკუთვნის, ნაწილი გასხვისებულია, მაგრამ ის, რაც ჯერ კიდევ უნივერსიტეტის საკუთრებად ითვლება, ჩამონგრეული და გაპარტახებულია. აი, ეს არის რეალობა, რომელიც ბოლო 10-15 წლის განმავლობაში, საქართველოს სახელმწიფომ შექმნა, ეს არის მიზეზი, რის გამოც, სოფლის მეურნეობა დაინგრა, კვალიფიციური ვეტექიმები და აგრონომები სანთლით საძებრები გახდნენ და რის გამოც, საქართველოს ბაზარი უხარისხო უცხოურმა პროდუქციამ წალეკა!



ზოოვეტის განადგურებული ლაბორატორიები

თბილისსა და რუსთავს შორის, ფონიჭალის მიმდებარე ტერიტორიაზე, უზარმაზარი ფართობი მთლიანად ზოოვეტირინარული ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიებსა და საცდელ მეურნეობებს უჭირავს. აქვეა ყოფილი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სასწავლო-სამეცნიერო ბაზებიც. უზარმაზარ ტერიტორიაზე ახლა მხოლოდ „წარსული დიდების“ ნაკვალევია შემორჩენილი — ჩამონგრეული, გაპარტახებული და გამურული შენობების, ბალახით აბიბინებული, მაგრამ შიგადაშიგ, ტალახიანი მინდვრების, ჭუჭყიან ტანსაცმელში გამოწყობილი დარაჯების, ძაღლებისა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სახით. თუ დარწმუნებული არ ხარ, რომ ნამდვილად ზოოვეტისა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევით ბაზაზე იმყოფები, ვერაფრით მიხვდები, სად ხარ ან ვინ დაანგრია და გაანადგურა ფერმები, საველე მეურნეობები, უამრავი სამეცნიერო ლაბორატორია...

ზოოვეტერინარული ინსტიტუტის ადმინისტრაციის შენობა ახლა უკვე თავდაცვის სამინისტროს ეკუთვნის, ეზოში ჯავშანტექნიკა და რამდენიმე სამხედრო პირიც შევნიშნე. ცხადია, აქაც და სხვაგანაც, სურათებს შეუმჩნევლად ვიღებ, რადგან მართალია, ეს ტერიტორია ჯერ კიდევ აგრარული უნივერსიტეტის საკუთრებაა, მაგრამ ტერიტორიის გარკვეული ნაწილი გასხვისებულია. მათ ახლა კერძო მფლობელები ჰყავთ, რომლებსაც პატარა ფერმერული მეურნეობები მოუწყვიათ, საქონელიც შეუძენიათ, ამიტომ კერძო საკუთრებაში შეჭრა და მით უმეტეს, ფოტოების გადაღება, კანონდარღვევად ითვლება.

სულ ცოტა ხნით ვცადე წარმომედგინა, როგორ მუშაობდნენ ამ უზარმაზარ, თვალუწვდენელ ტერიტორიაზე 10-15 წლის წინ, მომავალი აგრონომები, როგორ სწავლობდნენ სხვადასხვა ენდემური ჯიშების დარაიონებას, როგორ გამოჰყავდათ ან ცდილობდნენ, გამოეყვანათ სელექციური ჯიშები. იმის წარმოდგენაც ვცადე, რომ ეს საცოდავად ჩამონგრეული შენობები, ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, საუკეთესო სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიებად ითვლებოდა, სადაც საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი, პოლონური აპარატურა იყო დამონტაჟებული. თურმე, მომავალი ვეტექიმები აი, აქ, ამ შენობებში მუშაობდნენ და პრაქტიკულ მეცადინეობებსაც ატარებდნენ...

აგრარული უნივერსიტეტი აგრარიკოსების გარეშე?!

წლების წინ, აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი იყო, 2006 წლიდან კი საკუთარი სურვილით დატოვა ინსტიტუტი და მთის სოფლის განვითარების საერთაშორისო პროექტების მენეჯერი გახდა ბალყარეთის ქვეყნებსა და თურქეთში. ახლა არასამთავრობო ორგანიზაცია „კავკასიის მთიანი რეგიონების ასოციაციას“ ხელმძღვანელობს და ინსტიტუტში დაბრუნების არანაირი სურვილი არ აქვს. შესაბამისად, არავითარი პირადი წყენა არ ამოძრავებს, მაგრამ ამ დარგის გამორჩეული სპეციალისტია და, ბუნებრივია, მას ზე უკეთ ვერავინ ამიხსნის, ვინ დაანგრია სამეცნიერო-სასწავლო ბაზები და ვინ გააპარტახა უზარმაზარი ტერიტორია. „ვერსიას“ ნოე ხოზრევანიძე ესაუბრება.

— ის, რაც აგრარულ უნივერსიტეტში რეალურად ხდება, საერთო კონტექსტიდანაა ამოვარდნილი, რადგან როგორ შეიძლება, აგრარული უნივერსიტეტი, აგრარიკოსების გარეშე არსებობდეს? სტუდენტს, რომელიც აგრარულ უნივერსიტეტში სწავლობს, სასწავლო-პრაქტიკული, პრაქტიკული და საწარმოო ლაბორატორიები უნდა ჰქონდეს. ეს არის სამი, ძირითადი ატრიბუტი, რომელიც ფართო პროფილის აგრონომსა და ვეტერინარს აყალიბებს. რა თქმა უნდა, საველე და კლინიკური ობიექტებია საჭირო, რაც დღეს უკვე განადგურებულია. ჩემი ინფორმაციით, დიპლომის აღების შემდეგ, აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტების უმრავლესობა ამ პროფილის სპეციალისტი კი არა, მომიჯნავე ან სულ სხვა დარგის წარმომადგენელი იქნება. გარკვეული პერიოდის განმავლობაში, სტუდენტებს ლექციებს ვუკითხავდი, მაგრამ ახლა, ბალყარეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ვმუშაობ, რა თქმა უნდა, უშუალო შეხება მაქვს, ვგრძნობ და კარგად მესმის, როგორ უნდა განვითარდეს აგრარული დარგი. ამავდროულად, ჩართული ვარ ფერმერული მეურნეობის საქმიანობაში კონსულტანტად და ვიცი, რა პრობლემები არსებობს რეალურად სოფლებში. იცით თუ არა, რომ დღეს ძალიან ძნელია, კვალიფიციური აგრონომი ან ვეტერინარი ექიმი იპოვოთ, რადგან ეს ხალხი ფიზიკურად აღარ არსებობს?! ბოლო 10-15 წლის განმავლობაში, ეს დარგები მიტოვებული, მარგინალიზებულია და ამან თავისი შედეგი გამოიღო კიდეც — ეროვნული გამოცდების დროს, აბიტურიენტები ამ სპეციალობებს საერთოდ არ ირჩევენ!

— ბატონო ნოე, რა არის ამის მიზეზი ან რატომ გგონიათ, რომ აგრარულ უნივერსიტეტში მაპროფილებელ დარგებს სათანადო ყურადღებას არ აქცევენ?

— აგრარული უნივერსიტეტი, ყოფილი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა და ზოოვეტერინარული ინსტიტუტების ბაზაზე ჩამოყალიბდა. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ეს იყო მიზანმიმართული პროცესი, რამაც უარყოფითი შედეგი დღეს მოგვცა. კერძოდ, აგრარულ უნივერსიტეტს ჰქონდა ორი, მსხვილი სამეცნიერო-ექსპერიმენტული მეურნეობა დიღომსა და მუხრანში, მის ბაზაზე ირიცხებოდა საწარმოო პრაქტიკის ობიექტები. მეტიც, ყოფილ საბჭოთა კავშირში, მხოლოდ ორი ზოოვეტერინარული სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი იყო — ერთი ბელგოროდში, მეორე — თბილისში. შუა აზიის, ამიერკავკასიისა და ჩრდილოკავკასიის ასპირანტები, კანდიდატები, თუ დოქტორები თბილისში ჩამოდიოდნენ, რომ დისერტაციები დაეცვათ და კვალიფიკაციაც აემაღლებინათ. საერთოდ, ვეტერინარი ექიმი ყოველდღიურად, იმ გარემოში უნდა ყალიბდებოდეს, სადაც ვეტერინარული სამყაროა, ასევეა აგრონომიც. დღეს ორივე სფეროს შიგნეულობა აქვს გამოცლილი, არ არსებობს ბაზები და მხოლოდ აგრარული უნივერსიტეტი დაგვრჩა. ეს მცდარი შეხედულებაა, საბოლოო ჯამში, აგრარული უნივერსიტეტი კარგად გარემონტებული ადმინისტრაციული შენობაა, რომელიც დარგის სპეციალისტებს ვერ ამზადებს!

დასასრული მე-8 გვერდზე

„გვიშველეთ რამე, ციხის უფროსი ცირეკიძე და რეჟიმის უფროსი, პატიმრებს გვაწამებენ!“

თორნიკე ხურციძე
„ვერსიისთვის“ ქუთაისიდან

ქუთაისის №2 სასჯელაღსრულების დაწესებულება, სახალხო დამცველისა და საზოგადოების ყურადღების ცენტრში ხშირად ექცევა, რადგან ირკვევა, რომ ხელისუფლების ცვლილების მიუხედავად, აქ მაინც ფიქსირდება პატიმრების წამების ფაქტები.

რამდენიმე დღის წინ, ჟურნალისტებს ერთ-ერთი პატიმრის, დავით ქუთათელაძის დედა დაუკავშირდა, რომელიც ამტკიცებს, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორი დავით ცირეკიძე მის შვილს სცემდა: **„21 მარტს ციხიდან დამიკავშირდნენ და მითხრეს, რომ ჩემი შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა რთული იყო და ამის გამო, საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა არ უთქვამთ, რომ ნაცემი იყო. შემდეგ, ჩემი შვილი დამიკავშირდა და მთხოვა, იქნებ, ჟურნალისტებს ჩემი ამბავი გააგებინოო. ჩემი მეორე შვილიც ციხეშია. არ ვიცი, იმას რას დამართებენ“.**

პატიმარს ინტერვენციული მედიცინის ცენტრში რამდენიმე ბადრაგი იცავს. მიუხედავად ამისა, მედიამ მაინც მოახერხა დავით ქუთათელაძესთან დაკავშირება.



„ჟურნალისტები ხართ? გვიშველეთ რამე. ციხის უფროსი ცირეკიძე და რეჟიმის უფროსი პატიმრებს გვაწამებენ. წამლები არ გვაქვს, საკვები უვარგისია. არაადამიანურ პირობებში ვართ. დაგვეხმარეთ. გთხოვთ. გააგებინეთ ყველას, რა მდგომარეობაში ვართ. შველა და დახმარება გვჭირდება!“ — მოგვაძახა პატიმარმა, რომელმაც ჟურნალისტების ხმა მაშინ გაიგონა, როდესაც ციხის ბადრაგისგან თავის დაღწევასა და პალატაში შესვლას ვცდილობდით. მან სხვა დეტალების თქმა ვეღარ შეძლო, რადგან ბადრაგმა ძალის გამოყენებით, პალატაში შეიყვანა.

დავით ქუთათელაძის მდგომარეობისა და ქუთაისის №2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ვითარების გასარკვევად, „ვერსია“ სახალხო დამცველის ქუთაისის აპარატის უფროსს, **მადონა ბასილაძეს** დაუკავშირდა, რომელმაც განაცხადა: **„ქუთაისის მეორე საპყრობილეში წლების განმავლობაში, მართლაც, უმძიმესი მდგომარეობა იყო, რაც ბოლო 6 თვის განმავლობაში საგრძნობლად შეიცვალა. პატიმარი ქუთათელაძე კი გადაყვანილია ინტერვენციული მედიცინის ცენტრში, სადაც მას შეხვდნენ ჩვენი წარმომადგენლები და თუ უფლების დარღვევის რაიმე კონკრეტული ფაქტი დაფიქსირდა, აუცილებლად მივიღებთ შესაბამის ზომებს“.**

პატიმრის დედა კი ამბობს, რომ მის შვილებზე ზეწოლას, უშუალოდ, ციხის უფროსი დავით ცირეკიძე ახორციელებს: **„ჩემი ორივე შვილი ციხეშია და ორივეს დაჭერაში წვლილი ცირეკიძეს მიუძღვის. ერთი საავადმყოფოშია და სიკვდილს ებრძვის, მეორე — ციხეში და მისი მდგომარეობა არ ვიცი. დღევანდელი ციხის დირექტორი უშუალოდ იყო ჩართული იმაში, რომ ჩემი შვილი დაეჭირა. მაშინ ის სამმართველოს უფროსი იყო და თავად ჩაუდო ჩემს შვილს ნარკოტიკული საშუალებები. ეს იყო მიზანმიმართული დაჭერა“.**

რაც შეეხება ქუთაისის ნომერ მეორე სასჯელაღსრულების დაწესებულების დორექტორ დავით ცირეკიძეს — მეტსახელად „ცირე“ ჯერ კიდევ ნაციონალურ ხელისუფლებაში გამოირჩეოდა „საგმირო“ საქმეებით. ის იყო ტყიბულის პოლიციის უფროსი და სწორედ მაშინ შეარქვეს სისასტიკის გამო „მეორე ბაჩო“. შემდეგ ზესტაფონის რაიონის პოლიციის უფროსი გახდა და შეუბრალებლობით თავი მათაც დაამახსოვრა. გურიაში, მისი პოლიციის უფროსობის პერიოდში, განსაკუთრებით აღნიშნავენ ბრძოლას შავ სამყაროსთან და ამბობენ, რომ მისი მხარის პოლიციის უფროსობისას, 3 თვეში 10-მდე ყაჩაღობის ფაქტი გაიხსნა. ბოლო ხანებში, ქუთაისის №2 სასჯელაღსრულების დაწესებულება არაერთხელ აღმოჩნდა მედიის ყურადღების ცენტრში — ერთი თვის წინ, ამავე ციხის ერთ-ერთმა პატიმარმა დავით ცუცქირიძემ, არაადამიანური მოპყრობის გამო, პირი ამოიკერა და სხეულის საწოლზე მიკერება სცადა. დავით ცუცქირიძე დირექტორს ადანაშაულებდა. გასულ თვეს 10-მა პატიმარმა თავი ერთმანეთზე გადაიბეს და ასე შეეცადნენ, ხმა საზოგადოებისთვის მიეწვდინათ.

ქუთაისის ციხეში პატიმრები წამების ფაქტებზე საუბრობენ და შველას ითხოვენ

„ვერსია“ შეეცადა, დავით ცირეკიძეს ტელეფონით დაკავშირებოდა, მაგრამ მიუწვდომელი აღმოჩნდა, ამიტომ კომენტარი სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილეს, **არჩილ თალაკვაძეს** ვთხოვეთ, რომელმაც განაცხადა: **„რაც შეეხება ქუთათელაძის საქმეს, როგორც ვიცი, მასზე გამოძიება მიმდინარეობს. თუკი გამოიკვეთა ცირეკიძის ბრალეულობა, ჩვენ საკადრო წმენდას არ მოვერიდებით. რაც შეეხება იმას, თუ რატომ დაინიშნა დავით ცირეკიძე ციხის უფროსად, მინდა გითხრათ, რომ ის ამ სფეროში ძალიან გამოცდილი კადრია და რეკომენდაცია უამრავმა ადამიანმა გაუწია. აქვე შეგახსენებთ, რომ ხშირად, პატიმრების პრეტენზიები მედიკამენტებთან დაკავშირებით, უადგილოა. ადრე ფსიქოტროპულ პრეპარატებზე ხელი ყველას მოუწვდებოდა, დღეს ეს ვითარება შეცვლილია და მედიკამენტებს მხოლოდ ისინი იღებენ, ვისაც სჭირდება. ხშირად, პატიმრებს სწორედ ეს აღიზიანებთ. ჩვენ ყველანაირად ვცდილობთ, ციხეებში ვითარება მაქსიმალურად გავაუმჯობესოთ. განვიხილავთ ყველა საჩივარსა და მომხდარ ფაქტს“.**

ქურნალისტური მოკვლევა

რა ხდება აგრარული უნივერსიტეტისა და ყოფილი ზოოვეტის ბაზებზე?!

მე-7 გვერდიდან

— გამოდის, ყველაფერში დამნაშავე კახა ბენდუქიძე ყოფილა, მაგრამ კონკრეტულად, რა გააფუჭა ბენდუქიძემ?

— არა მარტო კახა ბენდუქიძე, მთლიანად სისტემა იყო დამნაშავე. დავიწყოთ იმით, რომ დღემდე, სოფლის მეურნეობის მინისტრები არააგრარიკოსები იყვნენ. კიდევ კარგი, ახლა ამ სამინისტროს პროფესიონალები დაუბრუნდნენ, თორემ წინამორბედთაგან რომელი იყო დარგის სპეციალისტი? შესაბამისად, შედეგიც თვალშისაცემია, აღარ არსებობს ენდემური ჯიშების გენოფონდი, სანაშენე საქმიანობა, სასელექციო მეურნეობები. კარგი იქნება, თუ წამოვწევთ ყოფილი მინისტრების ბიოგრაფიულ მონაცემებს და გავიგებთ, რა აგრარული გამოცდილება ჰქონდათ სამინისტროში მოსვლის მომენტამდე.

— მიხო სვიმონიშვილს, პეტრე ცისკარიშვილს, ბაკურ კვეზერელსა და ზაზა გოროზიას გულისხმობთ?

— ამ ადამიანების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მხოლოდ მათ პროფესიულ გამოცდილებას ვგულისხმობ. იმის გამო, რომ არაპროფესიონალები იყვნენ, შეეცადნენ, სოფლის მეურნეობის სამინისტრო დაეკნინებინათ. პარალელურად, კონტინგენტი მცირდებოდა როგორც ზოოვეტერინარულ, ასევე სოფლის მეურნეობის ინსტიტუტშიც. როგორც გითხარით, აგრარული უნივერსიტეტი ზოოვეტისა და სასოფლოს გაერთიანებით ჩამოყალიბდა, მაგრამ თუკი ეს ორი ინსტიტუტი უნდა გაერთიანებულიყო, გაცილებით უკეთესი იქნებოდა, ზოოვეტის ბაზაზე გაერთიანებულიყო და ინსტიტუტიც ფონიჭალის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულიყო. კახა ლომაიას მინისტრობის დროს, შეუერთეს ზოოვეტი აგრარულს, ამ ინსტიტუტების უნიკალური ლაბორატორიები კი მოშალეს და დაანგრიეს, რაც ნახეთ, სწორედ ამ პროცესის შედეგია. ამას ვეწინააღმდეგებოდი თავიდანვე და მართალია, აგრარულშიც ვკითხულობდი ლექციებს, მაგრამ საბოლოოდ, მაინც წამოვედი ინსტიტუტიდან. თქვენს კითხვას რომ დავუბრუნდეთ, ერთი კონკრეტული კახა ბენდუქიძის ან ყოფილი მინისტრების ბრალი კი არ არის, რაც დღეს ხდება, ეს სისტემური კრიზისის შედეგია, იმის ბრალია, რომ სოფლის მეურნეობა, როგორც დარგი, სახელმწიფომ კახა ბენდუქიძის ხელით, მიზანმიმართულად დაანგრია და გააპარტახა! ასე გაგრძელება არ შეიძლება, რადგან უფრო დიდი კოლაფსია მოსალოდნელი, თუკი ამ სფეროებში კვალიფიციურ კადრებს არ მოვამზადებთ. დღეს სოფელს ვერ ნახავთ, სადაც გამოცდილი აგრონომი ან ვეტექიმი მუშაობს, მათ გარეშე, სოფლის მეურნეობა როგორ უნდა განვითარდეს, წარმოდგენა არ მაქვს! სულ ცოტა ხნის წინ, ერთ-ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა მითხრა, რომ ბორჯომში, ბოსტნისთვის დახურული გრუნტის სათბურს აკეთებდა და ადგილზე ვერც ძველი და, მით უმეტეს, ვერც ახალგაზრდა კადრი ნახა, რომელსაც გადაამზადებდა, რათა სათბურში ტექნოლოგიურ პროცესს გაძღოლოდა. თუ სპეციალისტი არ გყავს, არც უნივერსიტეტი გაქვს, არც პროდუქციის წარმოებაა შენს ქვეყანაში და არც მისი გადამუშავება.

— გამოსავალი სად არის ან რა უნდა გაკეთდეს ამ პრობლემის მოსაგვარებლად?

— ჩემი აზრით, საქართველოს სოფლის მეურნეობაში, დღემდე არსებული სტაგნაცია უნდა დასრულდეს, დროა, ახლებური აზროვნება დავიწყოთ. დღევანდელ ხელისუფლებას, კონკრეტულად, პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს ვთხოვ, ქვეყანაში სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი შექმნას. დღევანდელი ხელისუფლების პირველი და გადაუდებელი ამოცანაა, ეს უნივერსიტეტი სახელმწიფო დაქვემდებარებაში იყოს, რომელიც ზოოვეტერინარულ ინსტიტუტსაც გააერთიანებს და ორივე დარგის ფართო პროფილის სპეციალისტებსაც მოამზადებს. კერძო ბიზნესის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ აგრარული უნივერსიტეტი სახელმწიფოს დაქვემდებარებაში უნდა იყოს, რათა სახელმწიფოს უსაფრთხოება, კერძოდ, სასურსათო უსაფრთხოება — გამოცდილმა სპეციალისტებმა განსაზღვრონ. სრულიად შესაძლებელია, რომ ეს უნივერსიტეტი ჩამოყალიბდეს, თუკი ფონიჭალის მიმდებარე ტერიტორიაზე შემორჩენილ ბაზებს აღვადგენთ. ჩემი ინფორმაციით, ტერიტორია აგრარულ უნივერსიტეტს ეკუთვნის და თავისუფლად შეიძლება მისი გამოყენება.

ნოე ხოზრევანიძე: „ახლა გეკითხებით, შეიძლება, აგრონომი ისე გაზარდო, რომ ერთხელ მაინც არ გაიყვანო მინდორში, ან ვეტექიმს ისე მისცე დიპლომი, პირუტყვი ერთხელ მაინც არ აცრას?!“

— გასაგებია, მაგრამ ეს ბაზები, რომლებზეც ახლა საუბრობთ, განადგურებული და გაპარტახებულია, ამ ტერიტორიაზე აგრარული უნივერსიტეტის განთავსება როგორ წარმოგიდგენიათ?

— დიახ, ზოოვეტერინარული ინსტიტუტის სასწავლო-ექსპერიმენტული და პრაქტიკული ბაზების ნაწილი დანგრეულია, ნაწილი ინგრევა, ნაწილი გასხვისებულია, მაგრამ მათი სწრაფად აღდგენა შესაძლებელია, რადგან თავის დროზე, ეს შენობა-ნაგებობები სტანდარტების მიხედვით ააშენეს. გასაგებია, რომ ადმინისტრაციული შენობა თავდაცვის სამინისტროს გადაეცა, მაგრამ მისი 70% აუთვისებელია. ჩემი აზრით, კარგი იქნებოდა, თავდაცვის სამინისტრო მთლიანად იმ ტერიტორიაზე გადასულიყო.

— მაგრამ იქ ხომ აგრარული და ზოოვეტი უნდა განთავსდეს?

— არანაირი პრობლემა არ იქნება, თუკი თავდაცვის სამინისტროსაც იქ გადაიტანენ, გარწმუნებთ, ერთმანეთს ხელს ნამდვილად არ შეუშლის. რაც შეეხება აგრარულ უნივერსიტეტს, თანავუგრძნობ სტუდენტებს და, ამავდროულად, ვწუხვარ, მათ სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის ობიექტები რომ არ აქვთ. ჩემმა ერთმა სტუდენტმა დამიწერა, მართალია, უმაღლეს სასწავლებელს წარჩინებით ვამთავრებ, მაგრამ მინდორში არ გავსულვარ, არ მინახავს ხორბალი, ქერი, სიმინდი, მეორე სტუდენტმა დამიწერა — ვამთავრებ ზოოვეტს და არც პირუტყვი მინახავს და არც ნემსი გამიკეთებიაო. ახლა გეკითხებით, შეიძლება, აგრონომი ისე გაზარდო, რომ ერთხელ მაინც არ გაიყვანო მინდორში, ან ვეტექიმს ისე მისცე დიპლომი, პირუტყვი ერთხელ მაინც არ აცრას?!

„არც ერთი ქვეყანა მსოფლიოში, ისე უზნეოდ არ მოქცევია ომის ვეტერანებს, როგორც საქართველოს სახელმწიფო!“

მარი შათირიშვილი

რა შედეგი მოჰყვა „ვერსიის“ პუბლიკაციას თავდაცვის სამინისტროსგან და რას სთავაზობენ პარლამენტსა და პრემიერ-მინისტრს ომის ვეტერანები

„ჩვენ ვაპირებდით, გვებრძოლა ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც წარსულმა გვიანდერძა – სიცრუისა და ეგოიზმის, ანგარებისა და უსულგულობის წინააღმდეგ. ჩვენ გაუხეშებულნი ვიყავით და არავის ვენდობოდით, გარდა უახლოესი მეგობრისა და არც არაფერი გვწამდა, გარდა ისეთი ძალისა, რომელსაც არასოდეს მოუტყუებივართ – ეს იყო ცა, თამბაქო, ხე, პური და მიწა, მაგრამ რა გამოვიდა აქედან? ყველაფერი დაინგრა, გაყალბდა, დავიწყებას მიეცა, ხოლო ვისაც დავიწყება არ შეეძლო, წილად ხვდა უძლურება, განწირულება, გულგრილობა და არაყი. წარსულს ჩაბარდა დიდ ადამიანთა და მამაცთა ოცნების დრო. გამარჯვებას ზეიმობდნენ საქმოსნები, გახრწნა, სიღატაკე“/ერიხ მარია რემარკი/. ჩვენი თაობის ომის ვეტერანები საქართველოში 90-იანმა წლებმა შექმნა – აფხაზეთმა და სამაჩაბლომ, წართმეული ტერიტორიების გარდა, უამრავი გარდაცვლილი, დაინვალიდებული და მარჩენალდაკარგული დაგვიტოვა. მათი ნაწილი სიღარიბემ, სასმელმა და ნარკოტიკმა შეიწირა, ნაწილმა ყველა ხელისუფლების დროს გამოიარა ციხეები, უფრო მცირენი გადარჩნენ ფიზიკურადაც და სულიერადაც და ხელის ჩაქნევას არ აპირებენ. „ვერსიის“ გასული კვირის ნომერში ომის ვეტერანებმა საზოგადოებას უკვე კონკრეტული მიზნები და იდეები გააცნეს. როგორც აღმოჩნდა, სტატიის შემდეგ, მათ თავდაცვის სამინისტროდან დაუკავშირდნენ და მინისტრის მოწვევაც გადასცეს. რა მოხდა შემდგომ, როგორ ჩაიარა შეხვედრამ თავდაცვის სამინისტროში, ვინ ბლოკავს მათ საქმიანობას, როგორ გადადიან საკანონმდებლო მუშაობის რეჟიმში და როგორ ქმნიან ორგანიზაციას საპენსიო კრედიტებით, „ვერსიას“ ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ვიცე-პოლკოვნიკი დავით მარტიაშვილი ესაუბრა.

— სამწუხაროდ, საქართველოში კანონმდებლობით ცხოველები და მცენარეები უფრო დაცულები არიან, ვიდრე ომის ვეტერანები და ინვალიდები. ყოველდღე იმდენ უსამართლობას ვაწყდებით, იმდენ ტკივილს, რომ ვიდრე ქვეყანაში სამართლიანობა აღდგება, ხალხი იმასაც კარგავს, რაც აბადია. თქვენი გაზეთის ფურცლებიდან მივმართეთ თავდაცვის მინისტრს და ვთხოვეთ შეხვედრა, რადგან გაგვაჩნია კონკრეტული მიზნები, წინადადებები და ამის გაზიარება გვინდოდა. სამინისტროდან დაგვიკავშირდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, მინისტრთან შეხვედრა ვერ შედგა – შეგვხვდა სამინისტროს საქვეუწყებო ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის წარმომადგენელი, მოგვისმინეს და ამით დამთავრდა!

— არაფერი დაგეგმილა სამომავლოდ, ჩვენში კონკურენტები დაინახეს და ყველაფერი აქ გაჩერდა!

— ეჭვი გაქვთ, რომ ვიღაც გბლოკავთ?

— ეს ეჭვი არ არის, კონკრეტული ქმედებაა. ჩვენ ხმამაღლა და სრული სერიოზულობით ვაცხადებთ, რომ გადამწყვეტი ეტაპი დგება. 20 წელი ვიცხოვრეთ უსამართლობაში ჩვენ და ჩვენი გარდაცვლილი მეგობრების ოჯახებმა, აღარ გვაქვს კიდევ 20 წელი ლოდინისთვის! ბევრი მეგობარი დაგვეღუპა მხოლოდ იმიტომ, რომ ელემენტარული სახსრები არ არსებობდა და ბევრი დღესაც იღუპება, ამიტომ კონკრეტულ ქმედებებზე გადავდივართ, მაგრამ, სამწუხაროდ, პირდაპირ ვიტყვი – ჩვენ ვერ გამოვედით ერთმანეთის ჭამისა და ერთმანეთზე ჭორაობის მდგომარეობიდან! უკვე დაიწყო მითქმა-მოთქმა, რომ ნაციონალების მხარდამჭერები ვართ და თითქოს ვიღაცებს დიდი ოდენობით თანხებს ვურიგებთ. ამის საპასუხოდ, მხოლოდ ერთი სიტყვა მაქვს – ვაი, თქვენს პატრონს! მინდა, ყველას გითხრათ – თქვენგან განსხვავებით, ჩვენ არასოდეს არც „ამისტები“ ვყოფილვართ და არც „იმისტები“ – მხოლოდ ჩვენი ქვეყნის პატრიოტები ვიყავით. ეგება, კაცებო, კიდევ ერთხელ დაფიქრდეთ და გონზე მოხვიდეთ და ეს სათნო საქმე, ერთხელ და სამუდამოდ, ბოლომდე მივიყვანოთ!

— ბატონო დათო, ვინ გყავთ მხედველობაში, ასე, ზოგადად შეიძლება, ბევრი უბრალოდ გაანაწყენოთ...

— კონკრეტულად, მხედველობაში მაქვს ის ვეტერანთა ორგანიზაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს ყოფილი პროკურორი, ყოფილი პოლიციელი და არა — ომის ვეტერანი. მათ მინდა ვუთხრა – თუ პრობლემების მოგვარების კონკრეტული გზები არ იცით, შეგვეძლო, ერთმანეთისთვის აზრი გაგვეზიარებინა და არა ზურგსუკან დაგვეწყო ლაპარაკი! იქ შეკრებილ ვეტერანებს მინდა მივმართო – ყველა ვეტერანი დასაფასებელია, მაგრამ ყველასა და ყველაფერს თავისი სახელი უნდა ერქვას. ძალოვანი უწყების ვეტერანებისა და ომის ვეტერანების გაერთიანება ერთ თემაში არაფრამდე მიგვიყვანს. მიგვაჩნია, რომ ომის ვეტერანებმა უპენსიოდ, უმკურნალოდ ვიცხოვრეთ, რეპრესიები და ციხეები გამოვიარეთ და ამ უკანონობას, სწორედ ედუარდ შევარდნაძის მითითებით, ის პროკურატურა და სამინისტროები აკეთებდა, ვისაც დღეს ამ თემით სპეკულირება სურს, ჩვენ არა ვართ წინააღმდეგნი – თუ არიან პროკურატურისა და ძალოვანი უწყებების ვეტერანები, კი ბატონო, მიხედონ საკუთარ პრობლემებს, ომის ვეტერანებს კი, გვაცალონ ჩვენი პრობლემების მოგვარება, ნუ შეგვიშლიან ხელს!

— ბრძანეთ, რომ თავდაცვის მინისტრისთვის კონკრეტული წინადადებების გაცნობა გსურდათ. რა კონკრეტული წინადადება გაქვთ შემუშავებული?

— ჩვენმა კავშირმა, იურისტებთან ერთად, შევიმუშავეთ საკანონმდებლო წინადადება, რომელსაც ოთხშაბათს — 27 მარტს გადავუგზავნით პარლამენტსა და პრემიერ-მინისტრს.

„70 000 ვეტერანიდან რამოდენიმე ათასს ყალბი რეგისტრაცია აქვს და სახელმწიფო დახმარებას იღებს!“

არც ერთი ქვეყანა მსოფლიოში, ისტორიაში ასე უზნეოდ არ მოქცევია თავის ომის ვეტერანებს, როგორც საქართველოს სახელმწიფო. ჩვენ ვერ ვიქნებით მუდმივად დამოკიდებულნი კეთილი და ბოროტი პოლიტიკოსების, კეთილი ბიძიებისა და დეიდების ნებაზე, ან ვინმე გულმოწყალე თუ ბოროტი ბიზნესმენების განწყობაზე — აუცილებელია, საქართველოში შეიქმნას ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტი ან თუნდაც სამინისტრო, მოვიდეს შესაბამისობაში საქართველოს კანონი ვეტერანებისა და ინვალიდების შესახებ და, ერთხელ და სამუდამოდ, სახელმწიფომ აიღოს პასუხისმგებლობა იმ ხალხზე, ვინც ყველაზე ძვირფასი გაიღო სახელმწიფოსთვის – სიცოცხლე და ჯანმრთელობა, ამით უნდა დასრულდეს ყველანაირი სპეკულირება ამ თემაზე!

მეორე საკანონმდებლო შეთავაზება შეეხება არანაკლებ სამწუხარო თემას – 70 000 ვეტერანიდან რამოდენიმე ათასს, შეიძლება რამოდენიმე ათეულ ათასსაც გავლილი აქვს ყალბი რეგისტრაცია და ყალბად და უზნეოდ სარგებლობენ იმ მწირი დახმარებით, რასაც სახელმწიფო იმეტებს ვეტერანებისთვის. ნამდვილი ვეტერანები კი, ვინც ბიუროკრატიის გამო, ვერ სარგებლობენ ამ შეღავათებით, განზე რჩებიან. ჩვენ ვთავაზობთ, პარლამენტმა მიიღოს კანონი, მიეცეს ამ ხალხს რაღაც პერიოდი, რომ თუ ნებაყოფლობით გამოცხადდებიან და უარს იტყვიან გაყალბებული ვეტერანის სტატუსზე, მოეხსნათ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

— ბატონო დათო, ოპონენტები გეტყვიან, რომ უკვე არსებობს ასეთი დეპარტამენტიცა და მისი ქვეუწყებებიც, რომლებიც ვეტერანთა საქმეებზე მუშაობენ...

— ასეთი დეპარტამენტი არსებობს გენერალური შტაბის საქვეუწყებო სტრუქტურად, რომელიც თავიდანვე, მკვდრადშობილი და უმოქმედოა. არავინ ჩათვალოს, რომ იქ მომუშავეებიდან ვინმეს შეურაცხყოფას ვაყენებ, მაგრამ სიმართლე სიმართლეა. სახელმწიფომ უნდა აიღოს თავის თავზე პასუხისმგებლობა და ჩვენ მზად ვართ, ბოლომდე ვიბრძოლოთ ამისთვის. ჩვენს ქვეყანაში ცხოველები უფრო დაცულები არიან, ვიდრე ვეტერანები. გუშინაც წავაწყდით ასეთ ფაქტს, რომ ერთი ვეტერანი სახელმწიფომ დააჯარიმა, თვითონ რომ არაფერი ჰქონდა გადასახდელი, ძმას დაუყადაღეს ქონება და ართმევენ! ეს ყაჩაღობაა!

ჩვენმა ორგანიზაციამ იურიდიულ სამსახურთან ჩამოაყალიბა ჯგუფი, რომელიც ამ პრობლემებზე იმუშავებს, ამიტომ ყველას მოგმართავთ — მოიტანეთ ჩვენამდე ყველა მსგავსი ფაქტი. ჩვენი მისამართია: დიდუბე, სტანისლავსკის ქუჩა 5, გამოფენისა და „დიდუბე პლაზას“ გვერდით. სამწუხაროდ, გამომდინარე იქიდან, რომ ვეტერანთა ორგანიზაციები მოკლებულნი ვართ რაიმე ფინანსურ შესაძლებლობებს, ვისაც პენსიები აქვთ, საპენსიო კრედიტებს იღებენ და ისე ვქმნით ოფისს.

ვცადეთ, ბიზნესმენების ყურადღება მიგვექცია, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი სამშობლო სიძულვილში იხრჩობა, აღარ არსებობს სიყვარული და თანადგომა, გაციებული და გაბოროტებულია ხალხი. ახლა ზოგიერთები გვეუბნებიან, იქნებ მოიცადოთო! მათი და სხვების გასაგონად, უნდა ვთქვა: საკმარისად ვიცადეთ, 20 წელი არ არის ცოტა და მეტს ვეღარ მოვიცდით! ჩვენ შეიძლება კიდევ მოვიცადოთ და საერთოდაც, ყველაფერზე უარი ვთქვათ, მაგრამ მინდა, გკითხოთ – ჩვენი დაღუპული მეგობრების ოჯახებს, უსამართლობასა და სიღატაკეში რომ გამოიარეს 20 წელიწადი, შეუძლიათ, მოცდა?! მათ წინაშე ვალდებულება გვაქვს აღებული და ამ დროის განმავლობაში შედეგამდე ვერ მივედით, ამიტომ

ყველას მოგიწოდებთ – დავდგეთ ერთად, თუ საჭირო იქნება, მსოფლიოს გავაგებინოთ, როგორ მოექცა საქართველოს სახელმწიფო სამშობლოს დამცველებს. დაახლოებით, 2 500 გვარდიელია დაღუპული, 800-მდე მხედრიონელი და არ გვაქვს სტატისტიკა სხვა სტრუქტურების წარმომადგენელთა დაღუპულებზე, 3 იმდენი ომის შემდეგ გარდაიცვალა უწამლობითა და უყურადღებობით! ასევე მოგიწოდებთ, მოხვიდეთ და მონაწილეობა მიიღოთ სამშობლოსთვის დაღუპული ბიჭების სულების მოსახსენებლად და სადიდებლად წმინდა გიორგის ტაძრის მშენებლობაში, რომელსაც ვიწყებთ დიდუბეში, გამოფენასთან, სადაც ჯვარი დასმულია, ნაკურთხია და ტაძრის მშენებლობის მოლოდინშია, ყველამ თითო აგური დავდოთ და მიზანი მიღწევადია!

ვერსიანიუსი

ქართველი მძღოლებისთვის რუსეთის ვიზების გაცემის საკითხი, ჯერჯერობით, არ განიხილება

მიიღებენ თუ არა ქართველი მძღოლები ვიზებს რუსეთში პროდუქციის შესატანად, იმ შემთხვევაში თუ ქართული სატრანსპორტო კომპანიები ვიზებს არ მიიღებენ, გადაზიდვებს სხვა ქვეყნების კომპანიები განახორციელებენ და ქართული კომპანიები უმუშევრობის პრობლემის წინაშე აღმოჩნდებიან.

გადამზიდავი კომპანია „ცე ტრანსის“ მენეჯერის, პაატა ცაგარეიშვილის განცხადებით, კი ქართულმა კომპანიებმა აუცილებლად უნდა მიიღონ ერთჯერადი ნებართვა რუსეთის ტერიტორიაზე შესასვლელად და საამისოდ ქართული სატრანსპორტო სააგენტოსა და რუსეთის ფედერაციის შესაბამის სამსახურს შორის შეთანხმება უნდა შედგეს. ცაგარეიშვილის განმარტებით, ერთჯერადი ნებართვის გაცემის დროს, როგორც წესი, საქართველომ რუსეთს 1000 მსგავსი ნებართვა უნდა გაუგზავნოს ისევე, როგორც რუსეთმა საქართველოს. **„არ მაქვს ინფორმაცია, მიიღებენ თუ არა ქართველი მძღოლები ვიზებს, თუმცა ერთ-ერთმა მძღოლმა მომაწოდა ინფორმაცია, რომ საამისოდ საბუთების მიღება უკვე დაწყებულია“,** – აცხადებს ცაგარეიშვილი.

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარის, ზურაბ ტყემალაძის განცხადებით კი, ქართველი მძღოლებისთვის ვიზების გაცემის საკითხი, ამ დროისთვის, არ დგას, თუმცა თუ ადგილობრივი კომპანიები პროდუქციის გადაზიდვის სურვილს გამოთქვამენ, ეს საკითხი დღის წესრიგში აუცილებლად დადგება.

commersant.ge

დემურ გიორხელიძე: „არამკითხე მოამბენი რაიონებსა და ქალაქებს არ უნდა განაგებდნენ!“

მერაბ ბერიძე

ანალიტიკოსი დემურ გიორხელიძე მიიჩნევს, რომ „არამკითხე მოამბენი რაიონებსა და ქალაქებს არ უნდა განაგებდნენ“. აღნიშნულ მოსაზრებას გიორხელიძე „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე აქვეყნებს. „მაჟორიტარული წესით არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრების საქმე არჩევის ადგილების (რაიონები/ქალაქები) „მიხედვა“ არ არის! ეს რა სიბნელეა?! მათი უშუალო მოვალეობაა, პარლამენტსა და მთავრობაში ამ რაიონებისა და ქალაქების, იქ მცხოვრები ჩვენი მოქალაქეების ინტერესების დაცვა! რა უნდათ და რა ესაქმებათ ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციების განხორციელებაში?! თუმცა თვითმმართველობები განადგურებულია და ამიტომ გვაქვს ეს სუროგატული მმართველობა, როცა არამკითხე მოამბენი განაგებენ რაიონებსა და ქალაქებს. ეს ამ მაჟორიტარებს კლანური მმართველობისაკენ უბიძგებთ და ასეც არის საქმე“, — წერს გიორხელიძე. „ვერსიამ“ ამ პრობლემატიკაზე დემურ გიორხელიძეს რამდენიმე კითხვა დაუსვა.

— ბატონო დემურ, რამ გიბიძგათ ამ განცხადების გასაკეთებლად?

— ჩვენში შექმნილია ვითარება, როცა რაიონებსა თუ ქალაქებში მაჟორიტარი დეპუტატები ცდილობენ გააკეთონ ის საქმე, რომელიც აბსოლუტურად არ ევალებათ. რეალურად, ეს არის ადგილობრივი თვითმმართველობის, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და არა დეპუტატების უფლებამოსილება. პარლამენტის წევრი სულ სხვა ფუნქციის მატარებელია. მან საკანონმდებლო ორგანოში ტრადიციულ საქმიანობაში, კანონების მიღებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს; ამას პლუს, წარმომადგენლობითი ორგანო იმიტომ იქმნება, რომ ადამიანების თითოეულ ჯგუფს, რომელიც სხვადასხვა ადგილასაა განსახლებული, საკუთარი ინტერესების დაცვის შესაძლებლობა ჰქონდეს. საუბარია მონაწილეობაზე იმ საერთო პოლიტიკაში, რომელსაც სახელმწიფო ეწევა. მაჟორიტარები ამაში უნდა იყვნენ აქტიურები, რომ ბიუჯეტი იქნება ეს თუ სახელმწიფო პროგრამები, სამთავრობო გადაწყვეტილებები, რაიონებისა და ქალაქების ინტერესები საერთო კონტექსტში იყოს ასახული და არა ის, რომ საკადრო პოლიტიკაში მონაწილეობდნენ, თანამდებობებზე ახლობელ-ნათესავებს, მათ მხარდამჭერებს ნიშნავდნენ და ა.შ. საერთოდ, ეს ისევ ბოლშევიზმის მარაზმია, რადგან პროგრესულ წინაპირობას არ ქმნის იმისთვის, რომ ჩვენ ამ გზით ქვეყანას დავალაგებთ და სამშვიდობოს გავიყვანთ.

— შეგიძლიათ, დაასახელოთ კონკრეტული გვარები, ვის არადამაკმაყოფილებელ საქმიანობაზეც ამახვილებთ ყურადღებას?

— ამასთან დაკავშირებით, რაც მესმის და ვიცი, მედიასაშუალებებითაა ცნობილი და ამიტომ, ახალს ვერ მოგახსენებთ. თან ეს არაფერს ცვლის თუ მაინცდამაინც გვარებს გეტყვით. პრაქტიკულად, ყველგან ასეა და მაჟორიტარების 95 პროცენტი ამ არასწორ გზას ადგას. დეპუტატს მიაჩნია, რომ ეს მისი სამფლობელოა და როგორც მოესურვება, ისე მოიქცევა. ასე გაგრძელება კი არ შეიძლება. ბოლოს და ბოლოს, რაღაც სისტემური ცვლილებები ხომ უნდა განხორციელდეს. თუ მახინჯი სისტემა არ შეიცვალა, მაშინ საყრდენად რა შეიძლება გვქონდეს? მართვის მეთოდები და სისტემა, აი, ჩვენი ყველაზე დიდი რესურსი, რომელთაგან ჯერ არც ერთია გამოყენებული და არც მეორე.

— რასაც დეპუტატები აკეთებენ, ეს მათი ინიციატივით ხდება თუ ზემოდან მიცემული დავალებით?

— რაკი ასეთი პრაქტიკა დანერგილია, როგორც ჩანს, უხმო თანხმობაა მათი პოლიტიკური ლიდერებისა და ზემდგომი ინსტანციების მხრიდან. ამას უნდა მივაწეროთ, თორემ მთლად თავისი ნებით რომ მოქმედებდნენ, ვფიქრობ, ეს ელემენტარულად, აღსაკვეთი ქმედება იქნებოდა.

— რა არის გამოსავალი, რა ეშველება ამ მდგომარეობას?

— დასავლური ორიენტაცია ეს არის, რომ ამ ტიპის სახელმწიფო შევქმნათ. ალტერნატივა ამ ორიენტაციისა არ არსებობს. ჩვენ ეს მარტო სიტყვით გვინდა. პოლიტიკურ ხელმძღვანელობას დასავლეთი მხოლოდ იმიტომ უნდოდა, ვიღაცებს მხარი დაეჭირათ აქ მათი თარეშისთვის და იქიდან ფული მიეღოთ. დასავლეთი არის კონსტიტუცია, უფლებების გამიჯვნა, თვითმმართველობა, საზოგადოებრივი, სახელმწიფო ინსტიტუტები და ა.შ. ჩვენ კი არაფერი გვაქვს. ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა ვერ გადაგვიწყვეტია 22 წელია. რაზე შეიძლება პრეტენზია ჰქონდეს პოლიტიკურ ჯგუფებს, როდესაც პოლიტიკური ფუნდამენტის საკითხი დღემდე გადაუწყვეტელია.

არასამთავრობოები კახეთში გამგებლების უკანონო დანიშვნის ფაქტზე სასამართლოს მიმართავენ

ილია მარტყოფლიშვილი
„ვერსიისთვის“ კახეთიდან

არასამთავრობო სექტორი გურჯაანისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტების საკრებულოებს გამგებლების უკანონოდ არჩევაში ადანაშაულებს და მათ არაკომპეტენტურობაზე საუბრობს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ კახეთის ორი მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოუწოდებს, გააუქმოს გამგებლის დანიშვნის შესახებ გამოცემული აქტი, რადგან ისინი ამ პოსტზე საკრებულომ კონკურსის გარეშე დანიშნა. სპეციალურ განცხადებას რამდენიმე ავტორიტეტული არასამთავრობო ორგანიზაცია ავრცელებს.

გაზეთ „ვერსიის“ ინფორმაციით, არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო აქტივობების ცენტრი“, რომელიც კახეთის რეგიონში მუშაობს, გამგებლების დანიშვნის ბრძანებებს სასამართლოში ასაჩივრებს და საკრებულოების გადაწყვეტილებების ბათილად ცნობას ითხოვს. ენჯეოები მიიჩნევენ, რომ გურჯაანისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტების გამგებლები აკაკი ოსიაშვილი და ირაკლი შიოლაშვილი თანამდებობებზე უკანონოდ დაინიშნენ. იურისტების შეფასებით, გამგებელი ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეა, რომელსაც, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საკრებულოს თანხმობით, თანამდებობაზე ნიშნავს საკრებულოს თავმჯდომარე. ამავე კანონის თანახმად, პირი თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ კონკურსის შედეგად, გარდა კანონის 30-ე მუხლში ჩამოთვლილი შემთხვევებისა. აღნიშნული მუხლი კი გამგებლისთვის გამონაკლისს არ ადგენს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ განმარტებით, სახეზე გვაქვს საკრებულოების მხრიდან კანონმდებლობის მნიშვნელოვანი დარღვევა და „შედეგად, ეჭვქვეშ დგება როგორც გამგებლების უფლებამოსილება, ასევე — მათ მიერ გამოცემული ყველა სამართლებრივი აქტის კანონიერება. აქედან გამომდინარე, მოვუწოდებთ გურჯაანისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოებს, გააუქმონ გამგებლების დანიშვნის შესახებ გამოცემული უკანონო აქტები. ასევე უნდა გადაიხედოს უკანონოდ დანიშნული გამგებლების მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტები“. „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თელავის ოფისის ხელმძღვანელის, მარეხ მგალობლიშვილის მტკიცებით, კანონში გარკვევითაა მითითებული, რომ კონკურსი უნდა ჩატარდეს, თუმცა კანონი სხვაგვარი განმარტების საშუალებასაც იძლევა. თავის მხრივ, საია მიიჩნევს, რომ მოვალეობის შემსრულებლის პირდაპირი წესით გამგებლად დანიშვნა არ არის კანონთან შესაბამისი.

მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელი პირები საწინააღმდეგო მოსაზრებას აფიქსირებენ და მიიჩნევენ, რომ გამგებლის ასარჩევად კონკურსის გამოცხადება სავალდებულო არ არის. გურჯაანის ახლადარჩეული გამგებლის თანამდებობიდან გადაყენებას არ აპირებს გურჯაანის საკრებულოს თავმჯდომარე ავთანდილ ზარდიაშვილი და აცხადებს, **„ორგანულ კანონში, არ არის მითითებული, როგორ ინიშნება გამგებელი, ზოგადად, წერია საჯარო სამსახურის შესახებ კანონის შესაბამისად, თუმცა ამავე კანონის მე-20 მუხლში მითითებულია, რომ პირდაპირი წესითაც შეიძლება დაინიშნოს. სასურველია, გამოცხადდეს კონკურსი, თუმცა არა სავალდებულო. ამ შემთხვევაში, საქმე ეხება მაღალი თანამდებობის პირს და ჩვენ შეიძლება დავნიშნოთ გამგებელი“.**

გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ სამსახურში კი განმარტავენ, რომ საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მიხედვით, კონკურსის წესის სავალდებულო მოთხოვნა გამგებელზე არ ვრცელდება. თუ საკრებულოს თავმჯდომარე, მუნიციპალიტეტში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, ვერ აკეთებს არჩევანს, მას შეუძლია, გამოაცხადოს კონკურსი და ამას კანონი არ კრძალავს, თუმცა სავალდებულო არ არის. აქტის გაუქმებას არ გეგმავს არც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ნატროშვილი. დედოფლისწყაროს გამგებელი ირაკლი შიოლაშვილი კი „ვერსიასთან“ საუბრისას ამბობს, რომ გამგებელიცა და მუნიციპალიტეტის ყველა სოფლის რწმუნებულიც მოვალეობის შემსრულებლად იწოდება. მათი ეს სტატუსი კი მანამ შენარჩუნდება, სანამ თვითმმართველობის ორგანოში კონკურსი არ ჩატარდება. დედოფლისწყაროს თვითმმართველობის ორგანო კონკურსის ჩატარებას უახლოეს თვეებში ვარაუდობს.

ირაკლი შიოლაშვილი დედოფლისწყაროს გამგებლად შარშან, 28 ნოემბერს, კონკურსის გარეშე დაინიშნა. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ნატროშვილი ამტკიცებს, რომ გამგებლის დასანიშნად კონკურსის გამოცხადება აუცილებელი არ იყო. მისი დანიშვნა მოხდა საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით: **„ირაკლი შიოლაშვილმა საკრებულოს მომართა განცხადებით, მე წარვუდგინე ის საკრებულოს და მივიღე მათგან თანხმობა. ირაკლი შიოლაშვილის კანდიდატურა სრულიად შეესაბამებოდა საქართველოს კანონმდებლობას და აკმაყოფილებდა კანონით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას“.**

მმართველი გუნდის საპარლამენტო არჩევნებში დამარცხების შემდეგ, კახეთის რეგიონში მუნიციპალიტეტის გამგებლები და საკრებულოების თავმჯდომარეები გადადგნენ. ნაციონალი დეპუტატებით სრულად დაკომპლექტებულმა საკრებულოებმა გამგებლის პოსტზე „ქართული ოცნების“ კადრების დანიშვნას მხარი ერთხმად დაუჭირეს. ამასთან, ნაციონალური მოძრაობა მუნიციპალიტეტების საკრებულოებში დაყენებულ სხვადასხვა საკითხს გამუდმებით მხარს უჭერს და საწინააღმდეგო მოსაზრებებიც არასოდეს ისმის. კოალიცია „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, დედოფლისწყაროს საკრებულოს თავმჯდომარედ ლევან ნატროშვილი აირჩიეს, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდში ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო კამპანიაში აქტიურად იყო ჩართული და ზაზა კედელაშვილს შტაბის ერთ-ერთ აქტიურ წევრად მოიაზრებდა. ახლახან, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრაქცია „ნაციონალები და მაჟორიტარები“ ექვსმა წევრმა დატოვა, რასაც საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ნატროშვილიც ადასტურებს. ექვსივემ საკრებულოს მიმართა ახალი ფრაქციის შექმნის თაობაზე, ხოლო ახლადშექმნილ ფრაქცია „ხორნაბუჯის“ თავმჯდომარედ ლევან ჯამალაშვილი აირჩიეს, რომელიც არჩევნებამდე დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი გახლდათ. დედოფლისწყაროს საკრებულოს აპარატის უფროსის, ხათუნა გონაშვილის განმარტებით, ახალი ფრაქცია საკუთარ მიზნებს არ აკონკრეტებს. უცნობია, მთლიანად გაემიჯნა თუ არა ის ნაციონალურ მოძრაობას და მოსალოდნელია თუ არა, „ქართულ ოცნებასთან“ მათი თანამშრომლობა. ფრაქციაგამოცვლილი დეპუტატები „ვერსიასთან“ კომენტარს არ აკეთებენ.

აკაკი ბობოხიძე: „შეგვეძლო, გაგვესტუმრებინა საბჭოთა ანაბრები, მაგრამ ველარ მოვაწყობდით ინფრასტრუქტურას!“

თამარ ლეფსვერიძე

გურია NEWS

დაუბრუნდება თუ არა როდესმე მოქალაქეებს გამქრალი საბჭოთა ანაბრები და რომელი ხელისუფლება ითავებს, გაისტუმროს აღიარებული შიდა ვალი? ეს კითხვები კვლავ უპასუხოდ რჩება. მეტიც, 1990-იან წლებში ეროვნული ბანკის მიერ კერძო ორგანიზაციებზე გაცემული კრედიტების შესახებ ინფორმაცია გასაიდუმლოებულია. საუბარია 1992-93 წლებში ეროვნული ბანკის მიერ 500-ზე მეტ კომპანიაზე გაცემულ 854 მილიარდ მანეთსა და კუპონზე, რამაც ჰიპერინფლაციური პროცესები გამოიწვია, მოსახლეობა დანაზოგების გარეშე დატოვა და გააღატაკა.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ ოფიციალურ მიმართვას ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ, ეროვნულმა ბანკმა უარით უპასუხა და მიზეზად, ინფორმაციის კონფიდენციალობა დაასახელა. ბანკის მიერ მიწერილ წერილში წერია, რომ აღნიშნული ინფორმაციის გაცემა მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზეა შესაძლებელი. თავის დროზე, ხელისუფლებაში მოსვლამდე, ამ ციფრებსა და საბჭოთა ანაბრებს ხშირად ახსენებდნენ ნაციონალური მოძრაობის ლიდერები. ანაბრების დაბრუნების თემა კი ხელისუფლებაში მოსვლის პერიოდში, მათი ერთ-ერთი მთავარი დაპირება იყო. რატომ არ შეასრულა ნაციონალურმა მოძრაობამ თავისი დაპირება? საპარლამენტო უმცირესობის წევრი აკაკი ბობოხიძე იმ მიზეზებზე საუბრობს, რომელთა გამოც, ნაცმოძრაობამ ანაბრების დაბრუნება პრიორიტეტულ საკითხად არ ჩათვალა.

— ბატონო აკაკი, მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი დაპირება ხელისუფლებაში მოსვლის პერიოდში საბჭოთა ანაბრების დაბრუნება იყო, პირობა ვერ ან არ შესრულდა. ხომ ვერ გვეტყვით, რა იყო ამის მიზეზი და ამ მოწვევის პარლამენტის პირობებში, თუ აქვთ საბჭოთა მეანაბრეებს დაკარგული ანაბრების უკან დაბრუნების შანსი — ფაქტია, ეს შიდა ვალია და სახელმწიფოს დასაბრუნებელი აქვს?

— ანაბრების დაბრუნება, ამ ეტაპზე, არის ილუზიური. იმისთვის რომ ანაბრები დაბრუნდეს, საქართველო, როგორც სახელმწიფო, უნდა შედგეს. შემდეგ, შემდგარ სახელმწიფოს უკვე ექნება იმის საშუალება, რომ არა მხოლოდ იმის ანაბრები დააბრუნოს, რომლებიც დაიკარგა თავის დროზე, არამედ ზოგადად, მიხედოს ნებისმიერ მოქალაქეს.

პირდაპირი მნიშვნელობით, ეს შედარება ძალიან უხეში იქნება, მაგრამ მარტივ მაგალითს მოვიყვან: ქუვეითის მოსახლეობის ვალი ქუვეითის სახელმწიფოს არ აქვს, მაგრამ მას აქვს შესაძლებლობა, როგორც კი დაიბადება ქუვეითელი, მის ანგარიშზე დებს გარკვეულ თანხას და როდესაც ბავშვი ხდება ზრდასრული, მის ანგარიშზე, ვინმეს ჩარევის გარეშე, გარკვეული სოლიდური თანხაა უკვე თავმოყრილი. ანუ რისი თქმა მინდა ამით, ჯერ სახელმწიფო უნდა ჩამოვაყალიბოთ.

ნაციონალურ მოძრაობას ანაბრების პროექტზე უარი არ უთქვამს, მაგრამ ჩვენ ამ პროექტის განხორციელებისთვის პირველი ნაბიჯი გადავდგით და შევქმენით სახელმწიფო. დღეს საჭიროა, ეს სახელმწიფო უფრო მდიდარი გახდეს. თუ მდიდარ სახელმწიფოს შევქმნით, მაშინ შეიძლება, ოდესმე დადგეს ანაბრების დაბრუნების თემა. თუ სახელმწიფო არ იქნება წელში გამართული, ანაბრებს დააბრუნებს კი არა, მიმდინარე დავალიანებები, ხელფასები და პენსიები შეიძლება ვერ გასცეს.

ნებისმიერი ხელისუფლება უნდა ცდილობდეს, გაუფრთხილდეს უკვე მოპოვებულს და განავითაროს უფრო მეტად, და არა ისე, როგორც დღეს ხდება, ცდილობენ დაანგრიონ წარსული მხოლოდ იმიტომ, რომ იქ ნაციონალური მოძრაობის გაკეთებულია საქმეები.

— პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით ონოფრიშვილი „გურია ნიუსთან“ აცხადებს, რომ: „ნაციონალური მოძრაობის მიერ განიავებული ქონებით თავისუფლად შეიძლებოდა მეანაბრეების ნაწილობრივ დაკმაყოფილება“, თქვენ როგორ ფიქრობთ?

— ეგ ტყუილია! ან არ იცის მაგის მთქმელმა, ან შეგნებულად ცრუობს იმიტომ, რომ ჩვენ დღევანდელი პრობლემები გვაქვს იმდენი...

კი ბატონო, ჩვენ შეგვეძლო გაგვესტუმრებინა ანაბრები, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, ვერ მოვაწყობდით ინფრასტრუქტურას, ვერ გავაკეთებდით იმ საქმეს, რომლითაც კვლავწარმოების სახით, სახელმწიფომ კვლავ მოგება უნდა მიიღოს. ასე რომ, დღეს სახელმწიფოს აქვს იმის შესაძლებლობა, ანაბრების ერთი ნაწილი გაისტუმროს. დღეს სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა, პენსია 500 ლარი გახადოს, მაგრამ საკმარისია, ანაბრები გავისტუმროთ და პენსია ამდენი გავხადოთ, რომ ხვალ სახელმწიფო აღარ გვექნება, ამიტომ ტყუილია, მატყუარობაა ამ პოზიციის დაფიქსირება.

რა თქმა უნდა, ყველაფერი შეიძლებოდა, გავისტუმრებდით ანაბრებს და ველარ დავფარავდით მიმდინარე დავალიანებებსაც კი, ამიტომ სახელმწიფო მუდმივად უნდა ცდილობდეს, შემოსავლები და ვალების გასტუმრება იყოს თანაბარ პროპორციებში, თორემ თუ მარტო ვალს გაისტუმრებ, შემდეგ არ გექნება კვლავწარმოებისთვის ფული, ხოლო თუ მარტო დაგროვებაზე იზრუნებ, ბუნებრივია, ვალი დაგრჩება გაუსტუმრებელი.

— იმის თქმა გინდათ, რომ პირველი ეტაპი შეასრულეთ, ააშენეთ სახელმწიფო და მეორე ეტაპი აღარ დაგცალდათ?

— ჩვენ ახლა ცას ვერ გამოვეკერებოდით და ვერ ვიქნებოდით მუდმივად. როდესაც გვეუბნებიან, აცალეთ ამ ხელისუფლებას, თქვენ გაცდიდით 9 წელიწადიო, კარგად გაითვალისწინოს ყველამ, რომ ჩვენ 600-მილიონიანი ბიუჯეტი ჩავიბარეთ და წლები დაგვჭირდა იმისთვის, რომ 8-მილიარდიან ბიუჯეტზე ავსულიყავით. ამ ხელისუფლებას 8-მილიარდიანი ბიუჯეტი აქვს და ამის ფარგლებში მას დრო არ სჭირდება. მას შეიძლება ვაცადოთ იმისთვის, რომ ბიუჯეტი გახადოს 15-მილიარდიანი, 20-მილიარდიანი და, შესაბამისად, ახალ ამოცანებს შეეჭიდოს. ჩვენ მას დავუტოვეთ სახელმწიფო, სადაც ნებისმიერი პრობლემა გადაწყვეტადია. მარტივად, გლეხის ენაზე რომ გითხრათ, რა: თუ მე ოჯახში მიმყავს სტუმრები, მაგრამ არ მიმიტანია პურ-მარილი და მეუღლეს წავეჩხუბები, რატომ არ გააწყვე სუფრა-თქო, მე ვიქნები დამნაშავე, მაგრამ თუ მივიტანე პურ-მარილი და მეუღლეს იმაზე წავეჩხუბები, რატომ არ დამახვედრა გაწყობილი, მაშინ, რა თქმა უნდა, მართალი ვიქნები.

ანუ, ჩვენ ვიყავით მდგომარეობაში, როდესაც არ შეიძლებოდა, გვეჩხუბა სუფრის გამწყობ ხელისუფლებასთან. ბიუჯეტს არ ჰქონდა შესაძლებლობა, ხელისუფლებაში ჩვენი მოსვლის დროს, მაგრამ უკვე მივიტანეთ ბიუჯეტში, უკვე შევქმენით და იმ გამოწვევების წინაშე, რაც დღეს სახელმწიფოს აქვს, კეთილი უნდა ინებოს დღევანდელმა ხელისუფლებამ და, ოპერატიულად მიიღოს გადაწყვეტილება, თუმცა ვიმეორებ, ჯერ კიდევ შორს ვართ იმ პერიოდისგან, როდესაც სახელმწიფო შეძლებს ანაბრების დაბრუნებას, მაგრამ ეს დრო აუცილებლად მოვა. უბედურება ისაა, რომ ძველი თაობიდან მიდიან ადამიანები და ისინი ფიზიკურად შეიძლება ველარ მოესწრონ ანაბრების დაბრუნებას, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, ქონებას მარტო იმიტომ არ ვაგროვებთ, რომ ჩვენ მოვიხმაროთ, ვაგროვებთ იმიტომ, რომ ჩვენ შვილებსა და შვილიშვილებს დახვდეს...

ნელი თორდია
593-61-07-72

წყლის შეწყვეტით გამოწვეული დისკომფორტი ნებისმიერი თბილისელისთვის ცნობილია, მაგრამ ამინდის გაუარესებასთან ერთად, ამ ბოლო ხანებში, წყალმომარაგებაში არსებული პრობლემები რომ განსაკუთრებით თვალშისაცემი ხდება, ესეც ფაქტია. როგორც ჩანს, ყველაფერს უამინდობასა და სტიქიურ უბედურებას ვერ დავაბრალებთ. „ვერსია“ ცდილობდა გაერკვია, რა არის თბილისში წყალმომარაგების მასობრივად და სისტემატურად შეზღუდვის მიზეზი.

როდის მოგვარდება თბილისის წყალმომარაგების პრობლემები?



კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ განმარტებით, 24-25 მარტს ძლიერი ქარის შედეგად, ელექტროსისტემაში გამოწვეულმა შეფერხებებმა პრობლემები შეუქმნა კომპანიის რიგი ობიექტების ფუნქციონირებას არაგვის ხეობასა და თბილისში, რამაც შეუძლებელი გახადა წყალმომარაგების სისტემის ერთ-ერთი საკვანძო ობიექტის — ღრმაღელის სათავო ნაგებობის სრული დატვირთვით ამუშავება. ამასთან, ავარიულად დაზიანდა ხუდადოვის ტყეში გამავალი 1400 მმ-იანი მაგისტრალური წყალსადენი. „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ უწყლოდ დარჩენილ თბილისელებს გაგებისკენ მოუწოდა და ანუგეშა, რომ სტიქიით გამოწვეული დაზიანებები არც მომავალშია გამორიცხული. „ოპტიმისტური“ პროგნოზის შემდეგ, თბილისელების წყალმომარაგებაზე მზრუნველებმა პირობა დადეს, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოებს მაქსიმალურად მოკლე დროში დაასრულებდნენ.

როგორც გავარკვიეთ, წყალმომარაგების სისტემაში პრობლემები 24-25 მარტს ამინდის ჭირვეულობამდეც და მის შემდეგაც, მრავლად ფიქსირდება. იმის გათვალისწინებით, რომ წყალმომარაგების ავარიულად გათიშვებს ინდივიდუალურ გამრიცხველიანებასთან დაკავშირებული სამუშაოებიც ემატება, დედაქალაქის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის და განსაკუთრებით, გარეუბნებისთვის უწყლობა სერიოზულ პრობლემად იქცა. დავინტერესდით, როდემდე იქნება თბილისელების წყალმომარაგება კლიმატურ პირობებსა თუ სხვა გარემოებებზე დამოკიდებული და კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ დავუკავშირდით. კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის დეპარტამენტთან ეპისტოლარული ურთიერთობის შედეგად, 24-25 მარტის გათიშვებთან დაკავშირებით ის გავარკვიეთ, რაც უკვე ვიცოდით. რაც შეეხება სხვა შემთხვევებს, კომპანიის განმარტებაში ვკითხულობთ:

„გამრიცხველიანების სამუშაოები ამჟამად ინტენსიურად მიმდინარეობს თბილისის სხვადასხვა რაიონში მდებარე მრავალსართულიან საცხოვრებელ კორპუსებში და კომპანია, უმეტეს შემთხვევაში, მხოლოდ იმ კონკრეტულ კორპუსს უთიშავს წყალმომარაგებას, სადაც მრიცხველების მონტაჟი უნდა წარიმართოს. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოებიც, რომელიც თბილისის ქუჩების წყალსადენი ქსელების სრულ განახლებასა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას ითვალისწინებს. მათი განხორციელება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თბილისისთვის, რომელიც მზარდი ქალაქია. ეს სამუშაოებიც ასევე აუცილებლად მოითხოვს გარკვეული უბნებისთვის წყალმომარაგების შეწყვეტას — სხვაგვარად მათი წარმართვა შეუძლებელია. ამასთან, ვერ ვიტყვით, რომ ავარიული დაზიანებები არ ხდება, ქსელები ბევრ ადგილას ხანდაზმული ან ამორტიზებულია და შეცვლას მოითხოვს. ასევე, ძალიან ხშირია დაზიანებები მომხმარებელთა კუთვნილ ქსელებზეც, რომელთა შესაკეთებლად ცალკეული აბონენტები კომპანიას მიმართავენ წყალმომარაგების შეწყვეტის თხოვნით. სწორედ ეს სამუშაოებია, რასაც კომპანია ახორციელებს და რასაც წყალმომარაგების დროებით შეწყვეტა ან შეფერხება მოსდევს. ყველა ამ ტიპის სამუშაოს განხორციელების თაობაზე კომპანია რეგულარულად ავრცელებს ინფორმაციას მედიასაშუალებებში“.

მერაბ ბერიძე

„მოხევე შეეჩვია, რომ არასოდეს არავინ ყურადღებას არ აქცევდა“

რა პრობლემების წინაშე დგას ყაზბეგის რაიონის მოსახლეობა, როგორ გაჰყავს დრო ახალგაზრდობას, რა გავლენა მოახდინა მოხევეების ცხოვრებაზე საზღვრის ჩაკეტვამ, რა უნდა გაკეთდეს არასახარბიელო მდგომარეობის გამოსასწორებლად — ამ საკითხებზე „ვერსია“ სტეფანწმინდის მკვიდრს, ზვიად ვალიშვილს ესაუბრა.

— ყაზბეგში ყველაზე დიდი პრობლემა უმუშევრობაა. არანაირი საშუალება არ არსებობს, რომ ადამიანი დასაქმდეს. ადგილობრივი ხელისუფლება, ამ მხრივ, მოსახლეობას ვერაფრით ეხმარება. მოგეხსენებათ, სტეფანწმინდაში ახალი სასტუმრო აშენდა და იქ მიღებული თანამშრომლების ნახევარი ისევ სახლებში გაუშვეს.

— ასეთ სიტუაციაში ახალგაზრდობას დრო როგორ გაჰყავს, რითაა დაკავებული?

— ხევის ახალგაზრდობა ქუჩაშია დარჩენილი და არ იცის, რა გააკეთოს. გაზაფხულობით, დროებითი სამუშაოები გამოჩნდება ხოლმე, ისიც დასწრებაზეა. ხშირად, ნათესაობითა და ნაცნობობით უშვებენ შავ მუშებად ასეთ საქმეებზე. ახლა დარიალშიც არიან დაკავებულები, მაგრამ არა იმ რაოდენობით, როგორც ამას ტელევიზიით აცხადებენ, ამიტომ აქაური ახალგაზრდების დიდი ნაწილი სვამს და ამაში გაჰყავს დრო. ზამთარს ტელევიზორთან ატარებენ, ზაფხულში ზოგიერთს დროებითი სამუშაო გამოუჩნდება ხოლმე, ხანდახან დღიური სამუშაოც არის. კარგია, რომ რაიონში გზები გაკეთდა, მანდაც იყო დასაქმებული მოსახლეობის ნაწილი.

— სხვაგან თუ მიდიან მოხევეები სამუშაოს მოსაძებნად?

— არის ასეთი შემთხვევებიც, ვისაც ამის ეკონომიკური შესაძლებლობა აქვს. ძირითადად, ის მიდის, ვისაც სხვაგან ნაცნობი ან ნათესავი ჰყავს. ვინც თავის დროზე, რუსეთში, უკრაინაში, ევროპაში წავიდა, აღარ აპირებს აქ დაბრუნებას. ადგილზე დარჩენილი უმუშევრები კი, ჯერჯერობით, პერსპექტივას ვერ ხედავენ.

— თავის დროზე, რუსეთთან საზღვრის დაკეტვამ რა გავლენა მოახდინა თქვენს ცხოვრებაზე?

— რა თქმა უნდა, უარყოფითი. ჩემი ბავშვობიდან მოყოლებული, მოსახლეობა ყოფილ ორჯონიკიძეში, ვლადიკავკაზში ჩადიოდა; ოჯახისთვის თუ რაიმე საყიდელი ჰქონდა, პროდუქტი თუ სხვა, ყველაფერი ვლადიკავკაზიდან ამოდიოდა. ასევე, აქედან კიტრი, პომიდორი გაჰქონდათ. საზღვრის ჩაკეტვამ ის გამოიწვია, რომ აქ მოქმედი სათბურები დაიხურა. ადამიანებს კომპენსაცია კი გადაუხადეს, მაგრამ ისინი დღემდე ამით იკვებებიან და მათი პერსპექტივაც მუქ ფერებშია. მერე რა უნდა ქნას მოსახლეობამ, ეს კაციშვილმა არ იცის.

— უფრო კონკრეტულად, რა სათბურებზეა საუბარი?

— აქაურებს კიტრისა და პომიდვრის დიდი სათბურები ჰქონდათ. ხშირად მუშებს დასავლეთ საქართველოდან, კახეთიდან ქირაობდნენ. ვლადიკავკაზიდან ამოდიოდნენ გადამყიდველები და პროდუქტი მიჰქონდათ. ძირითადად, ამით ცხოვრობდა მოსახლეობა და დღეს ეს არტერიაც გადაჭრილია. მაშინ მოსახლეობის მატებაც შეინიშნებოდა, ახლა ყაზბეგში მოსახლეობის ზრდა საერთოდ აღარ არის. ჩემი ინფორმაციით, მოხევეების დემოგრაფიული მატება მხოლოდ ორ პროცენტს შეადგენს. აქვე, საბავშვო ბაღში რომ ჩახვიდეთ, ადგილზე ოთხიხუთი ბავშვი თუ დაგხვდებათ. მოსახლეობა აღარ მატულობს, რადგან ყველას უჭირს ეკონომიკურად. ვისაც შვილები ჰყავს, იმასაც სათანადოდ ვერ უვლიან.

სტიქიის გამო, თბილისში 220, რეგიონებში კი 120 გამოძახება დაფიქსირდა

ძლიერი ქარის გამო, თბილისში ღამის განმავლობაში 220 გამოძახება დაფიქსირდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ საგანგებო სიტუაციათა სააგენტოდან აცნობეს, თბილისში გამოძახების უმეტესობა ხეების წაქცევის ან სახურავის გადახდის ფაქტებს უკავშირდებოდა. სააგენტოში აცხადებენ, რომ ამ მხრივ, სერიოზულ პრობლემებს ადგილი არ ჰქონია და ვინმეს სიცოცხლეს საფრთხე არ შექმნია. ამასთან, სტიქიის გამო, რეგიონებში 120 შემთხვევა დაფიქსირდა.

112-ის მონაცემებით, აღნიშნული გამოძახებები, ძირითადად, იყო ქარისგან გადახდილ სახურავებთან, ელექტროგადამცემი ხაზების დაზიანებასთან, ხისა თუ სარეკლამო ბილბორდის წაქცევასთან დაკავშირებით.

მათივე ინფორმაციით, ქარისგან ჯანმრთელობის დაზიანების სამი შემთხვევა დაფიქსირდა. მათ შორის, გორში ავტომანქანას დაეცა ხე, რომელში მჯდომმა პიროვნებამაც მიიღო ფიზიკური დაზიანება; თბილისში ქარმა წააქცია ასაკოვანი ქალი, რომელსაც მიღებული აქვს ფეხის ტრავმა; თბილისში პიროვნებას წელის არეში დაეცა ხის ტოტი; არც ერთ შემთხვევაში მსხვერპლი არ არის. სიტუაცია განსაკუთრებით საგანგებოა აჭარაში, სანაპირო ზოლის მიმდებარე ტერიტორიებზე.

„ინტერპრესნიუსი“

— სკოლაში რა ხდება ამ თვალსაზრისით?

— სკოლაშიც მსგავსი სიტუაციაა. ჩემს დროს კლასში 40-50 მოწაფე იყო, ახლა 12-16 თუა დარჩენილი. მაქსიმუმ, ოცი მოწაფეა კლასში. ეს იმ დროს, როცა ყაზბეგში ერთი სკოლა ფუნქციონირებს.

— ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში თუ არის რაიმე პოზიტიური ცვლილებები?

— აქ არასოდეს, არაფერი იცვლება. თვითონ მოსახლეობა მაინცდამაინც ინიციატივას არ იჩენს, რომ მოითხოვოს პრობლემების გადაჭრა. ვერც სატელევიზიო ეთერში, ვერც სადმე, გაზეთში, ვერ ნახავთ ინფორმაციას, რომ ყაზბეგის, სტეფანწმინდის მოსახლეობა რამეს ითხოვდეს. ხომ შეიძლებოდა, ტრაქტორი მაინც მოეთხოვათ მიწის დასამუშავებლად, ესეც არ ხდება. ამასთან,

> **უკვე ამ მთავრობის დროს, ბევრ გაჭირვებულ ოჯახს მოუხსნეს სოციალური დახმარება. საუბარია უკიდურესად გაჭირვებულ ადამიანებზე. სამწუხაროდ, ადგილობრივი მმართველობა პრობლემების გადასაჭრელად საერთოდ არ აქტიურობს. ისინი თავიანთ ნომენკლატურულ საკითხებს აგვარებენ და მოსახლეობისთვის არ სცალიათ.**

— რას უკავშირებთ იმას, რომ ყაზბეგის მოსახლეობა ინიციატივას ნაკლებად იჩენს?

— მოხევეები ვართ ასეთები და არსებული პრობლემების საჯაროდ გახმოვანება არ გვინდა. ასევე, მოხევე იმასაც შეეჩვია, რომ არასოდეს არავინ ყურადღებას არ აქცევდა, მის გასაჭირს არ ითვალისწინებდა. ერთეული შემთხვევების გამოკლებით, დიდი საქმეები აქ არასოდეს კეთდებოდა. მაგალითად, მოსახლეობას ძალიან უნდა საზღვრის გახსნა. საუბარია სათბურების აღდგენაზეც, რომლის მზაობასაც ადგილობრივნი გამოხატავენ. მთავრობა კი ამის ნებას არ მოგვცემს, რადგან გაზი იხარჯება და მეტი გადასახადი იქნება გადასახდელი, ამიტომ ელოდებიან გრძელვადიან კრედიტებს, რომელიც, როგორც ვიცი, მხოლოდ მეცხოველეობაზე გამოიყოფა.

— რა ხდება მიწებთან დაკავშირებით, მეცხოველეობის დარგი ახსენეთ...

— მეცხოველეობა სიდუხჭირის გამო ვერ ვითარდება. საძოვრები არ არის და საქონლის კლება სახეზეა. ვისაც პატარა საძოვარი აქვს, ორი-სამი მსხვილფეხა პირუტყვი ჰყავს, მეტს ვერ ინახავენ. ზოგმა უკანონოდ, ბევრი მიწა ჩაიგდო ხელში, ზოგს საერთოდ, არაფერი აქვს. სათიბებს აღარ ვამბობ, ხალხს სახნავ-სათესი მიწა არ აქვს. მათ სიაში ვარ მეც.

— ბოლო არჩევნების შემდეგ არაფერი შეიცვალა?

— არა, აქ ყველაფერი სტატიკურად დგას და არაფერი იცვლება. პოლიტიკაში აქაურები ნაკლებად ერევიან და საერთოდ არ აინტერესებთ, ვინ მოვა ხელისუფლებაში. ხალხს ელემენტარული სამუშაო უნდა, რომ რამით დაკავებული იყოს და შემოსავალი ჰქონდეს. საზღვარი გახსნილი იყოს, იმოძრაონ, მეტი არაფერი.

— ყაზბეგიდან დეპუტატად ექიმი წიკლაური აირჩიეს, არ აქტიურობს?

— რამდენჯერმე ჩამოსული ყოფილა და მოსახლეობას შეხვდა, მაგრამ ასეთი შეხვედრები მანამდეც ხდებოდა, რეალურად კი, არაფერი იცვლებოდა. თუ მოსახლეობას სამუშაო ადგილები არ მისცეს, არაფერი გამოვა. ერთადერთი გამოსავალი სათბურების ამოქმედება და საზღვრის გახსნაა. მოსახლეობა მხოლოდ ამ შემთხვევაში ამოისუნთქებს. სხვა თუ არა, მოხევეები საზღვარზე გადატვირთვებზე მუშაობდნენ და აქედან მაინც ჰქონდათ მცირე შემოსავალი. ახლა, დახმარებისა და პენსიის იმედად არიან. ზაფხულობით კიდევ ტურიზმი; ესეც მათთვის, ვისაც რაიმე ინფრასტრუქტურა აქვს შექმნილი ტურისტების მისაღებად.

> **ტურიზმს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. კარგი იქნებოდა, ყაზბეგში მინიგუდაური გაკეთებულიყო, სათხილამურო ტრასები შექმნილიყო. იყო ამაზე საუბარი, მაგრამ ახალი სასტუმროს მიმდებარე ტერიტორიაზე ამის გაკეთებაზე უარი თქვეს. ხომ შეიძლება, ამისთვის სხვა ადგილი გამოიყოს, რათა ზამთარშიც ტურისტი შემოვიდეს და მოსახლეობა ამ გზით დასაქმდეს?!**

— ხელისუფლებას რისი გაკეთება შეუძლია, ამ თვალსაზრისით?

— ნამდვილად არის შესაძლებლობა, ზამთარში სათხილამურო ტრასები გაკეთდეს. ტურისტების მოზიდვა ამ გზითაც შეიძლება. ყველაფერი უნდა გაკეთდეს საზღვრის გახსნისთვის. ჯერ ისედაც ჩამოდიან რუსეთის მოქალაქეები, ასევე უკრაინიდან; საზღვრების გახსნა კიდევ უფრო გააქტიურებს მიმოსვლას. ჩვენი მოსახლეობაც იმოძრავებს, თავის მოყვანილს ჩაიტანს და გაყიდის.

— ამ ფონზე, რაიონში კულტურული ცხოვრება მაინც თუ არსებობს?

— კულტურული ცხოვრება, როგორც ასეთი, აქ საერთოდ აღარ არსებობს. არის კულტურის სახლი, სადაც ერთი და იმავე ფოლკლორულ სიმღერებს ატრიალებენ და ამ მხრივ, არაფერი იცვლება წლების განმავლობაში.

> **ისტორიული ძეგლები დაუცველია, მუზეუმი მთლიანად გაპარტახებული. ძველი ექსპონატები ადგილზე აღარ მოიპოვება. როგორც მუზეუმის ხელმძღვანელები აღნიშნავენ, ექსპონატები საცავშია გადატანილიო, მაგრამ მუზეუმი სამი წლის წინ გაიქურდა და, რეალურად, არავინ იცის, რა ექსპონატებზეა საუბარი. შენობაც უპატრონოდაა მიტოვებული და შესარემონტებელია. ეზოც გაპარტახებულია.**

ადრე, ჩემს ბავშვობაში, მუზეუმის ეზოში იასამნის ბუჩქნარი იყო, სხვადასხვა ყვავილი ხარობდა; დამლაგებელი, მცველი ჰყავდათ. ასე თუ ისე, სისუფთავესაც იცავდნენ და სხვა დანარჩენსაც. დღეს ყველაფერი მიტოვებულია. მუზეუმის ტერიტორიაზე სკამებიც კი აღარ არის. ხშირია შემთხვევები, როცა მუზეუმის ეზოში ახალგაზრდობა სვამს, პატივს არ სცემს მუზეუმის დანიშნულებას და ა.შ.

> **მსგავსი მდგომარეობაა ბიბლიოთეკშიც. თანამშრომლებისგან ვიცი, რომ მდიდარი საცავი ჰქონდათ, რომელიც ახლა სავალალო მდგომარეობაშია. თითქმის ყველა წიგნი დანესტიანებულია. კონდიცირება არ ხდება ოთახების, არ არსებობს კატალოგი. ახლად გამოსული ლიტერატურა ყაზბეგში არ ჩამოდის, ძირითადად, ძველი წიგნებია დაცული.**

ერთი სიტყვით, ბიბლიოთეკას პატრონი არ ჰყავს. რამდენიმე ადამიანი მუშაობს, მაგრამ დაგროვილ პრობლემებს ვერ აუდიან. ახალი შენობის აშენება ლაპარაკის დონეზეა. სასურველი იქნებოდა, ახალი წიგნები, ასევე პრესა მთავრობას ან კერძო პირებს შემოეტანათ. მოხევეებს კითხვა უყვართ, მაგრამ ამ შესაძლებლობასაც მოკლებულნი არიან.

„გაზპრომი“ დიდი პრობლემების წინაშე

ზურაბ გამრეკელი

ევროპულ მედიაში დიდი ხანია ვრცელდება ინფორმაცია იმაზე, რომ „გაზპრომის“ ხელმძღვანელი ალექსეი მილერი თანამდებობას დატოვებს. მიუხედავად ამისა, თავად „გაზპრომში“ არაფერს ამბობენ. აშკარაა, რომ მილერის შესაძლო გათავისუფლება იმ მწვავე პრობლემებს უკავშირდება, რაც რუსულ კომპანიას ბოლო პერიოდში აწუხებს.

„გაზპრომი“ წლების განმავლობაში, ერთ-ერთ უმსხვილეს კომპანიას წარმოადგენს, რომელიც ევროპის მთავარი გაზმომმარაგებელია. დასავლეთის ქვეყნების მთლიანი გაზმომარაგების 25% აღნიშნულ რუსულ კომპანიაზე მოდის. გარდა ამისა, „გაზპრომის“ წყალობით, მოსკოვი ყოფილი საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ვარშავის ბლოკის ქვეყნებზე თავის გავლენას ინარჩუნებს. თუმცა, ბოლო პერიოდში, რუსულ გიგანტს საკუთარი პოზიციებისა და შემოსავლების შენარჩუნება გაზრდილი კონკურენციის პირობებში, აშკარად უჭირს. კომპანია, ჯერჯერობით, ვერ ახერხებს საერთაშორისო მასშტაბით მნიშვნელოვნად ექსპანსიასაც.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ დღეისთვის კომპანიას იმაზე მეტი პრობლემა აქვს, ვიდრე მის მოსაგვარებლად საჭირო ფული. ინვესტორების აზრით, „გაზპრომის“ კაპიტალიზაცია ამჟამად სამჯერ იმაზე ნაკლები ღირს, ვიდრე იგი 2008 წელს ღირდა. „საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს“ შეფასებით, „გაზპრომს“ 2035 წლისთვის, დაახლოებით, 730 მილიარდი დოლარი დასჭირდება, რათა უზრუნველყოს ამჟამინდელი წარმოება – წელიწადში 655 მილიარდი კუბური მეტრი აირი. ეს კი, კომპანიის დღევანდელი შემოსავლების პირობებში, საკმაოდ ძნელი წარმოსადგენია.

ნეგატიური ფაქტორები

უნდა აღინიშნოს, რომ მილერის გათავისუფლება „გაზპრომის“ პრობლემებს ვერ მოაგვარებს. აშკარაა, კომპანიას ახალი სტრატეგია სჭირდება, რომელიც, პირველ რიგში, რუსული გაზის სექტორში არსებულ გამოწვევებს გაითვალისწინებს. ეს გამოწვევები კი, რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით, რუსულ კომპანიას, მომავალში უფრო დიდ პრობლემებს შეუქმნის. კერძოდ, „გაზპრომის“ კრიზისი უფრო გაღრმავდება, თუ, მაგალითად, აშშ-მ 2018 წელს ფიქლების გაზის ექსპორტი დაიწყო; თუ ჩინეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში ფიქლების გაზი სერიოზული ენერგიის წყაროდ იქცა; თუ პოლიტიკური ვითარების ცვლილების გამო, გაიხსნა ისეთი ქვეყნების გაზის წარმოება და ექსპორტი, როგორებიცაა ირანი, ერაყი და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნები. ამ უკანასკნელის რეალურად განხორციელება, უახლოეს მომავალში, ნაკლებად სავარაუდოა, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში, იგი სერიოზული პრობლემების შემქმნელ ფაქტორად შეიძლება მოვიაზროთ.

მოძველებული ბიზნეს-მოდელი

„გაზპრომი“ უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული საფრთხის წინაშეა. კომპანიის პრობლემები საკუთარ ბიზნეს–მოდელს უკავშირდება. კერძოდ, რუსული გიგანტის საქმიანობა, ძირითადად, გრძელვადიან კონტრაქტებს ეფუძნება, რომლებიც, როგორც გამოჩნდა, არაეფექტურია. არაერთი მყიდველი გამოთქვამს უკმაყოფილებას რუსულ გაზში არაბუნებრივად მაღალი ფასის გადახდის გამო. მათ შორისაა აზიის ქვეყნები – იაპონია და ჩინეთი, რომლებიც რუსულ კომპანიას თხევადი გაზის იმპორტისთვის მნიშვნელოვან თანხებს უხდიან. ევროპულ „სპოტ“ (ტანკერებით მცირე პარტიებად ვაჭრობა) ბაზარზეც, ხშირად გაზის შეძენა ბევრად იაფია, ვიდრე რუსული გრძელვადიანი კონტრაქტით აირის ყიდვა.

მოძველებული ბიზნეს-მოდელის გამო, „გაზპრომს“ ასევე უძნელდება კონკურენციის პირობებში, საკუთარი შემოსავლების ზრდა. მაგალითად, ბოლო პერიოდში, ნორვეგიის სახელმწიფო კომპანია „სტატოილმა“ გაზზე ფასები შეამცირა და ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილსაც დაეპატრონა. „გაზპრომმა“ აღნიშნულ კონკურენციას ასევე ფასების კლების ხანგრძლივი პროცესით უპასუხა, რაც კომპანიას, საბოლოო ჯამში, 4.7 მილიარდი დოლარის დაკარგვად დაუჯდება. ევროპელი ფინანსისტები ვარაუდობენ, რომ ევროპაში ყოველ მილიონ ბრიტანულ თერმულ ერთეულზე 1 დოლარით გაზის ფასის შემცირება, „გაზპრომის“ მოგების 4 მილიარდით შემცირებას იწვევს.

„გაზპრომის“ ბიზნეს-მოდელის კიდევ ერთი უარყოფითი შედეგია ევროკომისიის მიერ რუსული კომპანიის წინააღმდეგ, შარშან წამოწყებული საგამოძიებო პროცესი. კერძოდ, ევროკომისია მიიჩნევს, რომ იგი იყენებს საკუთარ დომინანტურ პოზიციას ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, რათა ხელი შეუშალოს ჯანსაღ კონკურენციასა და ფასების დაბალანსებას. პროცესის წაგების შემთხვევაში, „გაზპრომმა“ 14 მილიარდი დოლარის ჯარიმა უნდა გადაიხადოს.

გაზის კონტრაქტებში ფასის წინასწარ, ნავთობის ფასებზე „მიბმულად“ განსაზღვრის გამო, „გაზპრომი“ ვერ ახერხებს აღმოსავლეთის ბაზრებზე გასვლასაც, რაც კომპანიის სტრატეგიის ერთ-ერთი ნაწილია. „გაზპრომი“ ჩინეთთან თითქმის ათწლეულის მანძილზე აწარმოებს მოლაპარაკებებს რუსული გაზის „ალტაის“ მილსადენით ჩინეთში ექსპორტის შესახებ, თუმცა „გაზპრომი“ აზიურ ფასებზე უარს აცხადებს და სურს, ჩინეთი საკუთარი ფასით განსაზღვრული კონტრაქტებით მოამარაგოს. შედეგად, ჩინეთმა თხევადი გაზის შესყიდვაზე ხელშეკრულებები გააფორმა ცენტრალური აზიის, ავსტრალიის, ახლო აღმოსავლეთისა და დასავლეთ აფრიკის კომპანიებთან – ყველასთან, გარდა „გაზპრომისა“.

„გაზპრომი“ როგორც პოლიტიკური იარაღი

„გაზპრომის“ წარმატებულ საქმიანობას რუსულ მთავრობასთან მისი ახლო კავშირი უქმნის საფრთხეს. რუსული გიგანტი სხვა, ჩვეულებრივ კომპანიებს არ ჰგავს. იგი ორ მიზანს ემსახურება: ერთი მხრივ, ეკონომიკურ სარგებელს ესწრაფვის, ხოლო მეორე მხრივ, ასრულებს პოლიტიკური იარაღის ფუნქციას, რაც ხშირ შემთხვევაში, პირველი მიზნის აღსრულების ხელშემშლელი ფაქტორია.

მას შემდეგ, რაც 2000 წელს ვ. პუტინმა ქვეყანა ჩაიბარა, „გაზპრომი“ რუსეთის პრეზიდენტის ინტერესების გამტარებელია. კომპანია საჭირო დროს უზრუნველყოფს სხვადასხვა ქვეყნებში (უკრაინა, საქართველო, ბელორუსი, მოლდოვა) ენერგოკრიზისის გამოწვევას, რაც ამ ქვეყნებთან მიმართებაში რუსეთის მთავრობის პოლიტიკის ნაწილია. გარდა ამისა, „გაზპრომი“ პუტინის ძალაუფლებას ქვეყნის შიგნითაც ამყარებს. კომპანია არაერთ მედიასაშუალებას დაეპატრონა, რაც ენერგოკომპანიისთვის საკმაოდ უჩვეულოა და რაც კრემლის პოლიტიკის ხელშეწყობას ისახავს მიზნად, ამიტომ ექსპერტები მიიჩნევენ, რომ „გაზპრომს“ მხოლოდ ერთი მენეჯერი ჰყავს — ვლადიმერ პუტინი.

კრემლთან ასოცირების გამო, „გაზპრომი“ პოტენციური მყიდველების თვალში, ხშირ შემთხვევაში, არასაიმედო პარტნიორია. მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპაში არაერთი ქვეყანა ამჯობინებს, შედარებით დიდი თანხა დახარჯოს საკუთარი რესურსების განვითარებაზე ან მოძებნოს ალტერნატიული მიმწოდებელი, ვიდრე რუსული კომპანიის პარტნიორი გახდეს. ამის ნათელი მაგალითია უკრაინა, რომელიც კრემლთან, ე.ი. „გაზპრომთან“ დაპირისპირების გამო, სულ უფრო ამცირებს რუსული გაზის იმპორტს.

დასასრული მე-14 გვერდზე

მრავალათასიანი დემონსტრაცია ერთსქესიანთა ქორწინების ლეგალიზაციის წინააღმდეგ

პარიზში უამრავმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა გეი-ქორწინების ლეგალიზაციისა და ერთსქესიანი წყვილებისთვის შვილის აყვანის უფლების მინიჭების წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციაში. პოლიციის ინფორმაციით, დემონსტრაციაში 300 ათასი ადამიანი მონაწილეობდა.

დემონსტრანტები ტრიუმფალური თაღის მიმდებარე ტერიტორიაზე შეიკრიბნენ და ელისეის მინდვრების მიმართულებით სამართალდამცავების კორდონის გარღვევას ცდილობდნენ, რა დროსაც, პოლიციამ ცრემლსადენი გაზი გამოიყენა.

აქტივისტები ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების თემაზე რეფერენდუმის ჩატარებას მოითხოვენ. მსგავსი მოთხოვნით, აქცია მიმდინარე წლის იანვარშიც ჩატარდა.

მიუხედავად პროტესტისა, საფრანგეთის ნაციონალურმა პარტიამ თებერვალში დაამტკიცა კანონი ლეგალიზაციის შესახებ, ხოლო აპრილში იგი განსახილველად სენატს წარედგინება, სადაც უმრავლესობას აღნიშნული პარტიის დეპუტატები შეადგენენ.

„ბი-ბი-სი“

მაიკლ ჯეკსონის ოჯახი 40-მილიონიან კომპენსაციას მოითხოვს

პოპ-მუსიკის მამის, მაიკლ ჯეკსონის დედა, ქეთრინ ჯეკსონი სასამართლოს მეშვეობით, მოითხოვს 40 მილიონ დოლარს ვარსკვლავის ბოლო კონცერტების ორგანიზატორი კომპანია AEG Live-ისგან. აღნიშნული კომპანია გეგმავდა კონცერტების სერიას ბრიტანეთის დედაქალაქში, რომელიც 2009 წლის 13 ივლისს დაიწყებოდა და 2010 წლის მსოფლიო ტურნეს ფარგლებში უნდა დამთავრებულიყო.

ქეთრინ ჯეკსონი კომპანიას ადანაშაულებს კარდიოლოგ კონრად მიურეის დაქირავებაში, რომლის ფინანსური ინტერესი მაიკლ ჯეკსონთან ურთიერთობაში გამორიცხული არ იყო. შეუმდგარი კონცერტების გამო, ჯეკსონის ოჯახი 10 მილიონს, ხოლო დაკარგული სავარაუდო შემოსავლის კომპენსაციისთვის 30 მილიონ დოლარს მოითხოვს.

მაიკლ ჯეკსონი 2009 წლის 25 ივნისს გარდაიცვალა პრეპარატ „პროპოფოლისგან“ ინტოქსიკაციის გამო, რომელიც, სხვა სამკურნალო საშუალებებთან ერთად, ვარსკვლავს ექიმმა კონრად მიურეიმ დაუნიშნა. შედეგად, კარდიოლოგს 4-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

„ნიუს.რუ“

ამერიკის მოქალაქეობა შარშან მილიონამდე აღამიანმა მიიღო

შარშან ამერიკის მოქალაქე თითქმის მილიონი ადამიანი გახდა და მილიონზე მეტმა აიღო მწვანე ბარათი. ეს მონაცემები აშშ-ს შიდა უსაფრთხოების დეპარტამენტმა გამოაქვეყნა. მონაცემებში ასახულია „მწვანე ბარათისა“ და მოქალაქეობის მიმღებთა რაოდენობა, რომელიც რამდენიმე წელია, თითქმის უცვლელია, მხოლოდ მცირედი ზრდა აღინიშნება მიღებული მოქალაქეობის რაოდენობაში. კერძოდ კი, 2012 ნატურალიზაციის პროცესი გაიარა 757 434-მა ადამიანმა, 2011-ში ეს რიცხვი 694 193 იყო. გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, მოქალაქეობა მიიღეს ძირითადად მექსიკელებმა, ფილიპინელებმა, ინდოელებმა, დომენიკელებმა და ჩინელებმა.

„ამერიკის ხმა“

მანდატურებს პირველად მედიცინასა და ფსიქოლოგიას ერთ დღეში ასწავლიან?!

რაზომ უფართოვდებათ ფუნქციები „სკოლის პოლიციელებს“ და ვის მოემსახურება მანდატურის სამსახურის ბაზაზე შექმნილი ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრი

ნელი თორდია
593-61-07-72

საჯარო სკოლებიდან სამედიცინო კაბინეტებისა და ფსიქოლოგიური დახმარების სამსახურის ამოძირკვის შემდეგ, მოსალოდნელ შედეგებზე შეფიქრიანებულ საზოგადოებას ნაციონალები პირველადი სამედიცინო დახმარების უნარ-ჩვევებით აღჭურვილი მანდატურებით აიმედებდნენ. მიუხედავად ამისა, 59-ე სკოლაში მომხდარმა უბედურმა შემთხვევამ, რომელსაც პირველკლასელი მოსწავლის სიცოცხლე შეეწირა, მანდატურთა სამედიცინო განსწავლულობა ეჭვქვეშ დააყენა. „როცა ურემი გადაბრუნდა“, ცნობილი გახდა, რომ 1200 მანდატურიდან პირველადი სამედიცინო დახმარების ტრენინგი მხოლოდ 100 მანდატურს ჰქონდა გავლილი. როგორც საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსთან, ლევან აბაშიძესთან საუბარში გავარკვიეთ, ამჟამად მანდატურთა მთლიანი შემადგენლობისთვის ერთდღიანი სამედიცინო ტრენინგი მიმდინარეობს. პირველ ეტაპზე, გადამზადებას თბილისის საჯარო სკოლების მანდატურები გაივლიან, სამომავლოდ კი, პროექტში საქართველოს მასშტაბით, ყველა სკოლის მანდატური ჩაერთვება. საჯარო სკოლების „მანდატურთუხუცესის“ განმარტებით, გადამზადების კურსი როგორი გრძელვადიანიც უნდა იყოს, მანდატურს ბავშვის მკურნალობისა და მედიკამენტის მიცემის უფლება მაინც არ ექნება, რადგან ეს სულ მცირე, ექთნის კვალიფიკაციას საჭიროებს.

„სკოლებში ექიმის შტატი აღარ არსებობს, რამაც სერიოზული პრობლემა შექმნა. რამდენიმე თვის წინ, 59-ე სკოლაში პირველკლასელ ბავშვს კალმის თავსაფარი გადაეყლაპა და დაილუპა. სკოლაში მანდატურები იყვნენ, მაგრამ სამწუხაროდ, ვერაფრით დაეხმარნენ, ხელოვნური სუნთქვა კი ჩაუტარეს, მაგრამ არ იცოდნენ, სასუნთქი გზების ჩაკეტვისა და ორგანიზმში უცხო სხეულის მოხვედრის შემთხვევაში, როგორ ემოქმედათ. არადა, ეს რომ სცოდნოდათ, ბავშვი შეიძლება გადარჩენილიყო. ამის შემდეგ, განათლებისა და ჯანდაცვის მინისტრების დონეზე გადაწყდა, რომ სანამ ყველა სკოლაში ექიმის შტატი იქნება და სახელმწიფოს პოლიტიკა ამისკენაა მიმართული, მანდატური იმ დონეზე გადაამზადონ, სასწრაფოს მოსვლამდე, პირველადი დახმარების გაწევა შეძლოს. დაახლოებით, ერთი თვის წინ დავიწყეთ ერთდღიანი პირველადი დახმარების ტრენინგები, სადაც 9 საათის განმავლობაში, თეორიას ასწავლიან, შემდეგ კი, მანეკენების დახმარებით, პრაქტიკული სამუშაო მიმდინარეობს. მეკითხებიან, რატომ გახდა პირველადი სამედიცინო დახმარების საკითხებში უკვე გადამზადებული მანდატურების თავიდან გადამზადება საჭირო და ალბათ, არ იციან, რომ გადამზადებული მანდატურების რაოდენობა მცირეა — 2010 წელს გადამზადდა მხოლოდ 100 მანდატური, რაც 1200 მანდატურის პირობებში, უმნიშვნელო რაოდენობაა. ამჯერად, საქართველოს მასშტაბით, ყველა მანდატური გადამზადდება. გასაგებია, რომ ერთი დღე ძალიან ცოტაა, მაგრამ პირველადი დახმარებისთვის აუცილებელი მინიმალური უნარ-ჩვევების შესაძენად და იმისთვის, რომ სასწრაფო დახმარების მოსვლამდე ბავშვის მდგომარეობა არ დამძიმდეს, საკმარისი იქნება.

მკურნალობაში შეცდომის დაშვება და მედიკამენტის არასწორად მიცემა კანონით დასჯადია და რადგან მანდატურს სამედიცინო ბეგრაუნდი არ აქვს, ვერანაირ მკურნალობას ვერ დანიშნავს“.

როგორც გავარკვიეთ, პირველადი სამედიცინო დახმარების გარდა, მანდატურები ხუთდღიან ფსიქოლოგიურ ტრენინგებსაც გაივლიან, სადაც ფსიქოლოგიური პრობლემების მქონე ბავშვებთან კომუნიკაციას, ოჯახური ძალადობის მსხვერპლის გამოვლენასა და სტრესული სიტუაციებიდან გამოსავლის ძიების გზებს შეისწავლიან. ლევან აბაშიძის თქმით, მიუხედავად გადამზადებისა, სკოლაში მანდატურები ექიმებსა თუ ფსიქოლოგებს ვერ ჩაანაცვლებენ და ეს დროებითი ღონისძიება იქნება. **„ფსიქოლოგიური ტრენინგის ფარგლებში, ისწავლება სხვადასხვა ასაკის ბავშვებთან კომუნიკაცია, რთულ და სტრესულ სიტუაციებში მოქმედება, დაკვირვება, აქვს თუ არა ბავშვს პრობლემა თანაკლასელებთან ურთიერთობაში და იმის გარკვევა, ოჯახში ხომ არ აქვს რაიმე პრობლემა, ხომ არ განიცდის ძალადობას ოჯახის წევრის მხრიდან... ჩვენ ვთანამშრომლობთ ფსიქოლოგების ჯგუფთან, რომელსაც ხელმძღვანელობს ჩეხეთში მოღვაწე ფსიქოლოგი ლევან ზარდალიშვილი. ახალ წლამდე 240-მა მანდატურმა გაიარა ეს გადამზადება და, საბოლოო ჯამში, მთელ საქართველოს მოიცავს“.**

ლევან აბაშიძის განმარტებით, მანდატურის სამსახურში მიმდინარე რეფორმა მხოლოდ გადამზადებითა და ტრენინგებით არ შემოიფარგლება — დასრულების ეტაპზეა მანდატურის სამსახურის ბაზაზე შექმნილი ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრი, სადაც ე.წ. რთულ მოზარდებთან იმუშავებენ ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები. ცენტრში მოსწავლის მისვლა ნებაყოფლობითი იქნება და სასწავლო პროცესში ხელს არ შეუშლის. კვალიფიციური თანამშრომლები იზრუნებენ, რომ ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრში მოსული რთულად დასამორჩილებელი მოსწავლე სამტრედიის სპეც-სკოლაში მოხვედრას აცდეს.

„აპრილის შუა რიცხვებში, ჩვენი სამსახურის ბაზაზე შეიქმნება ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრი, სადაც ბავშვებთან გამოცდილი სპეციალისტები იმუშავებენ და შეეცდებიან, რთული ყოფაქცევისა და ძნელად დასამორჩილებლი ბავშვები სწორ გზაზე დააყენონ. ცენტრი მოემსახურება სხვა ბავშვებსაც, თუკი მშობელი ჩათვლის, რომ მის შვილს ფსიქოლოგის დახმარება ესაჭიროება. ცენტრში მოსვლა ნებაყოფლობითი იქნება და სწავლაში ხელს არ შეუშლის. ჩვენცა და ფსიქოლოგებიც ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ბავშვი არასოდეს მოხვდეს ისეთ დაწესებულებაში, როგორიცაა სამტრედიის სპეც-სკოლა“.

კითხვაზე, რატომ მაინცდამაინც მანდატური, როცა ქვეყანაში ათასობით დაუსაქმებელი ფსიქოლოგია, ბატონი ლევანი განმარტავს, რომ 2100 საჯარო სკოლის არსებობის პირობებში, ამ რაოდენობის კვალიფიციური ფსიქოლოგის მოძებნა გაჭირდება, ამავდროულად, მანდატური ბავშვის შესახებ ყველაზე დიდი ინფორმაციის მატარებელია და მასთან კომუნიკაციას ადვილად შეძლებს.

„მანდატური ფლობს ინფორმაციას სკოლაში არსებულ სიტუაციასა და თვითონ ბავშვებთან დაკავშირებით. მას შეუძლია დამატებითი ინფორმაცია მიაწოდოს ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრს, რა ყოფაქცევისაა ეს ბავშვი, რა დისციპლინურ გადაცდომებზეა საუბარი მის შემთხვევაში... მანდატურის მხრიდან მიღებული ინფორმაცია ძალიან სასარგებლო იქნება“.

ლევან აბაშიძის თქმით, მიუხედავად მანდატურის ფუნქციების გაფართოებისა, მათი რაოდენობის მატება არ იგეგმება, რადგან ბოლოდროინდელი პოლიტიკური პროცესების შემდეგ, კერძო სკოლებმა მანდატურის სამსახურთან ხელშეკრულებები გააუქმეს და, დაახლოებით, 120 მანდატური რეზერვში გადავიდა. შესაბამისად, სანამ რეზერვი არ ამოიწურება, ახალი კადრების მიღებას არ აპირებენ.

ექსპერტი

„გაზპრომი“ დიდი პრობლემების წინაშე

მე-13 გვერდიდან

მაგალითად, 2012 წელს უკრაინაში იმპორტირებული რუსული გაზის რაოდენობა 27%-ით შემცირდა. კიევი არ მალავს, რომ ის ალტერნატიულ დონორს ეძებს. უკრაინულმა „ნაფტოგაზმა“ ხელშეკრულება გააფორმა გერმანულ RWE-სთან, რომლითაც კიევი გაზს პოლონეთის გავლით გერმანული კომპანიისგან უფრო შეღავათიან პირობებში მიიღებს, ვიდრე „გაზპრომისგან“. უკრაინა გეგმავს, ასევე თხევადი გაზის ტერმინალის მშენებლობასა და ფიქლების გაზის წარმოების დაწყებას. აღსანიშნავია, რომ ქვეყანა ევროპაში, ფიქლების გაზის რეზერვების მხრივ, (რომელიც 1.2 ტრილიონ კუბურ მეტრს უტოლდება) მესამე ადგილზეა. გარდა ამისა, გასულ თვეში უკრაინისა და თურქმენეთის პრეზიდენტების შეხვედრის შემდეგ, ვ. იანუკოვიჩმა გაზის მიღების ერთ-ერთ ალტერნატიულ წყაროდ თურქმენეთი დაასახელა.

უსაზღვრო დანახარჯი

მართალია, კრემლთან ახლო კავშირების გამო, „გაზპრომი“ შეღავათიანი გადასახადებითა და საბადოებზე პრივილეგირებული წვდომით სარგებლობს, მაგრამ კომპანიის დანახარჯი მაინც ძალიან დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. მაგალითად, პეტერსონის საერთაშორისო ეკონომიკის ინსტიტუტის შეფასებით, მიუხედავად „გაზპრომის“ მიერ 2011 წელს კომპანიის ნომინალურ მოგებად 46 მილიარდი დოლარის დასახელებისა, რუსულმა ენერგოგიგანტმა, დაახლოებით, 40 მილიარდი დაკარგა კორუფციისა და არაეფექტური ხარჯვის გამო.

კომპანიის დიდი დანახარჯი გრანდიოზულ პროექტებსაც უკავშირდება. ამის მაგალითია პროექტი „სამხრეთის ნაკადი“, რომლის ეკონომიკური მომგებიანობის საკითხი, ექსპერტთა აზრით, კითხვის ნიშნის ქვეშაა. აღნიშნული პროექტი, პოლიტიკური თვალსაზრისით, რუსეთისთვის სრულიად გამართლებულია, ვინაიდან იგი უკრაინის, როგორც სატრანზიტო ქვეყნის, გზის ავლასა და კიევის თამაშგარე სიტუაციაში დატოვებას გულისხმობს. თუმცა „სამხრეთის ნაკადის“ მშენებლობის ხარჯი უფრო და უფრო იზრდება. თავდაპირველად, პროექტის ღირებულება, „გაზპრომის“ შეფასებით, 15.5 მილიარდი ევრო იყო, შემდეგ ეს მაჩვენებელი 17 მილიარდამდე გაიზარდა, ბოლო პერიოდში კი, პროექტის ღირებულებად 21 მილიარდამდე ევრო დასახელდა. გავრცელებული პროგნოზებით, „სამხრეთ ნაკადის“ ღირებულებამ შეიძლება 27 მილიარდ ევროსაც მიაღწიოს.

კიდევ ერთი პროექტი, რომლის განხორციელებაშიც კომპანიამ 8 მილიარდ ევრომდე დახარჯა, გერმანიასა და რუსეთს შორის პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე გაზსადენი „ჩრდილოეთის ნაკადია“. მიუხედავად გაწეული ხარჯისა, დღეისთვის, ეს გაზსადენი წინასწარ დაგეგმილზე, ბევრად ნაკლებ გაზს ატარებს.

შესაძლო გამოსავალი

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ „გაზპრომის“ პრობლემების მოგვარება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მოხდება კომპანიის პრივატიზება და სახელმწიფო მასში მხოლოდ 25%-იან წილს დაიტოვებს. მხოლოდ ამ შემთხვევაში გახდება „გაზპრომი“ საერთაშორისო დონის კომპანია. ეს პერსპექტივა უფრო რეალურად გამოჩნდება, თუ გავითვალისწინებთ პუტინის მთავრობის მიერ ბოლო პერიოდში გაკეთებულ განცხადებებს ქვეყნის ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის შემცირების შესახებ.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ თავად პუტინისთვისაც უკეთესი უნდა იყოს, მსოფლიოს ყველაზე წარმატებული კომპანიის 25%-ის ფლობა, ვიდრე დაღმავალ გზაზე მდგომი „გაზპრომის“ სრული მესაკუთრეობა. პუტინს ისიც კარგად უნდა ესმოდეს, რომ მსოფლიო ბაზარზე ვერც ერთი კომპანია ვერ გახდება წარმატებული, თუ ის მოძველებულ ბიზნეს-მოდელს გამოიყენებს და დროს ფეხს ვერ აუწყობს. მთავარი მომხმარებელი – ევროპა, თანდათან, მომარაგების ალტერნატიულ წყაროს გაიჩენს, რაც, თავის მხრივ, „გაზპრომის“ მიერ გაზზე ფასის დაკლებას გამოიწვევს. ფასების შემცირება კი, თავის მხრივ, კომპანიას საბოლოო გაკოტრებამდე მიიყვანს.

გარდა ამისა, ექსპერტთა აზრით, აუცილებელია, მსოფლიო გაზის რეზერვების 18%-ის მქონე კომპანიამ, გარდა გაზის მომარაგებისა, აქცენტი ელექტროენერგიის სექტორზეც გააკეთოს. ასეთი კომბინაცია რუსულ გიგანტს მეტ მნიშვნელობას შესძენს, მით უფრო, რომ ელექტროენერგიის ბაზარი მსოფლიო მასშტაბით, უფრო და უფრო იზრდება. „საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს“ მონაცემებით, მომდევნო 25 წლის განმავლობაში, ელექტროენერგიაზე მოთხოვნა ყოველწლიურად 2.5%-ით გაიზრდება, რაც შესაბამისად, უფრო მეტ ინვესტიციასთან იქნება დაკავშირებული. ასეთ პირობებში კი, „გაზპრომი“ უდავოდ, მსოფლიოს წარმატებული ენერგოკომპანია იქნება.

საქველმოქმედო ფონდის „ბავშვები – ჩვენი მომავალი“ საქმიანობის ანგარიში 2012 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 1 იანვრამდე

საქველმოქმედო ფონდი „ბავშვები – ჩვენი მომავალი“ დაფუძნდა და დარეგისტრირდა 2005 წლის 12 ნოემბერს. რეგისტრირებულია ცვლილებებით 2006 წლის 31 აგვისტოს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს №925 გადაწყვეტილებით. საქველმოქმედო სტატუსი მინიჭებულია 2007 წლის 18 სექტემბერს. საქველმოქმედო ფონდი „ბავშვები – ჩვენი მომავალი” თავის საქმიანობას წარმართავს გამგეობის მეშვეობით.

საანგარიშო პერიოდში ფონდმა ჩაატარა გარკვეული მუშაობა. იხილავდა კერძო და იურიდიულ პირთაგან შემოსულ განცხადებებს და რეაგირებას ახდენდა მათზე. ფონდი “ბავშვები - ჩვენი მომავალი” თავის საქმიანობის ძირითად მიზნად ისახავდა, სოციალურად დაუცველ, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებსა და მოზარდებზე ზრუნვას. დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობას.

მიუხედავად იმისა, რომ საანგარიშო პერიოდში უშუალოდ ფონდში არ ყოფილა ფინანსური ბრუნვები, ფონდმა უკანასკნელი წლის განმავლობაში განახორციელა რიგი საქველმოქმედო ღონისძიება, კერძოდ, საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით და მათივე მხარდაჭერით, საკვებით, მედიკამენტებით. სხვადასხვა სახის დახმარებები გაეწიათ სამგორის რაიონის მცხოვრებ ინვალიდ და უკიდურესად გაჭირვებული, სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვებს.

მთელი წლის განმავლობაში, რეგულარულად ხორციელდებოდა სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერა.



საქველმოქმედო ფონდი "ბავშვები ჩვენი მომავალია"

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2012 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	0.00
საწევროს სახით მიღებული ფულადი სახსრები	
შემოწირულობის სახით მიღებული ფულადი სახსრები	0.00
გრანტის სახით მიღებული ფულადი სახსრები	
მოგზაურობებზე და თანამშრომლებზე გაცემული ფული	
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები	
გადახდილი პროცენტები	
გადახდილი გადასახადები	0.00
ფულადი ნაკადები განსაკუთრებულ მუხლამდე	
განსაკუთრებული მუხლით შემოსული ფულადი სახსრები	
განსაკუთრებული მუხლით გასული ფულადი სახსრები	
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	0.00
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
ძირითადი საშუალებების შეძენა	
ძირითადი საშუალებების გაყიდვის მიღებული ნამეტი	
მიღებული პროცენტები	
მიღებული დივიდენტები	
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
თამასუქის გაცემით მიღებული ფულადი სახსრები	
სესხის დასაფარავად გადახდილი ფულადი სახსრები	
ფინანსური იჯარის ვალდებულებების დასაფარავად გადახ-დილი ფულადი სახსრები	
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	



საქველმოქმედო ფონდის "ბავშვები - ჩვენი მომავალია"

ბალანსი 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2011	2011	2012	2012
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4619.44		4619.44	
ინვესტიციები				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
		4619.44		4619.44
მიმდინარე აქტივები				
მატერიალური მარაგი				
დებიტორები	0.53		0.53	
ავანსები				
ფულადი სახსრები და მათი	0.39		0.39	
		0.92		0.92
სულ აქტივები		4620.36		4620.36
ფონდები და ვალდებულებები				
ფონდები				
შეუზღუდავი ფონდი	4617.82		4617.82	
დროებით შეზღუდული ფონდი				
მუდმივად შეზღუდული ფონდი				
		4617.82		4617.82
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები				
საპენსიო ანარიცხები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
კრედიტორები	2.54		2.54	
მოკლევადიანი სესხები				
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე				
		2.54		2.54
სულ ფონდები და ვალდებულებები		4620.36		4620.36

პაულ ანკას მემუარების თანახმად, ფრენკ სინატრას კაზინოს ბოსის მკვლელობის დაკვეთა სურდა

წლების განმავლობაში ცნობილი იყო, რომ ფრენკ სინატრას მაფიასთან ჰქონდა კავშირი. დღეს ირკვევა, რომ მან მკვლელობის დავალება გასცა. მომღერალი პაულ ანკა მემუარებში — „ჩემი გზა“ წერს, რომ მისმა მეგობარმა და კოლეგამ მაფიის წრეში ქილერი დაიქირავა.

ვიდრე ლეგენდარული მილიარდერი ჰოვარდ ჰიუზი 60-იან წლებში ლას-ვეგასში კაზინოებს შეისყიდდა, სინატრას, სურვილისამებრ, შეეძლო აზარტული თამაშებით დაკავება და სათამაშო ჟეტონებს უფასოდ იღებდა. ჰაგისმა კი, ამ შეღავათებს ბოლო მოუღო, რამაც მათ შორის დიდი დაპირისპირება გამოიწვია. ანკას მტკიცებით, ფრენკ სინატრას, რომელიც ამ დაპირისპირებაში აშკარად დამარცხდა, ქილერების საშუალებით, მენეჯერის მოკვლა სურდა.

პაულ ანკა კიდევ ერთ პიკანტურ ინფორმაციას აქვეყნებს — ფრენკ სინატრას ასაკში ქალებზე თავისი მომხიბვლელი ძალის დაკარგვის ეშინოდა, ამიტომ მომღერალმა თმა გადაინერგა, მაგრამ უშედეგოდ. შემდეგ მან სხვა პლასტიკური ოპერაციებიც გაიკეთა.

„ინფო-9“

გერმანიიდან ირანში სულ უფრო მეტი იარაღის კონტრაბანდა ხორციელდება

ჟურნალ Focus-ის სტატიის მიხედვით, გერმანიიდან კრიზისულ ქვეყნებში იარაღის კონტრაბანდა იზრდება. ჟურნალი საბაჟო საგამოძიებო უწყების 2012 წლის ოფიციალურ ინფორმაციას ეყრდნობა, რომელშიც 136 სამართალდარღვევითი საქმეა ჩამოთვლილი. საქმეები იარაღის კონტროლსა და საგარეო ვაჭრობას ეხება. ეს მაჩვენებელი 35-ით აღემატება 2011 წლის მონაცემებს. საბაჟო საგამოძიებო უწყების პრეზიდენტი ნორბერტ დრუდე განსაკუთრებულ შეშფოთებას ირანის მიერ იარაღის შესყიდვის ძალისხმევაზე გამოთქვამს. 136 შემთხვევიდან უმრავლესობა თეირანის ხელმძღვანელობასთან არის დაკავშირებული. გერმანული ტექნიკა განსაკუთრებით პოპულარულია ირანის ბირთვული პროგრამის განხორციელებაში. ოფიციალური ინფორმაციით, იარაღის კონტრაბანდაში სხვა ქვეყნებიც არიან გარეულნი. საერთო ჯამში, 2012 წელს 1,55 მილიონ საბრძოლო მასალას ჩაუტარდა კონფისკაცია, რაც თითქმის 2-ჯერ მეტია წინა წელთან შედარებით.

შარშან, აპრილში, საბაჟო სამსახურმა ჰამბურგის პორტში ვაზნებით სავსე კონტეინერი აღმოაჩინა, რომელიც პარაგვაიში გადაჰქონდათ. გარდა ამისა, ფრანკფურტისა და ლაიფციგის აეროპორტებში რუსული ფირმის საბრძოლო იარაღები აღმოაჩინეს, რომლებიც ინდოეთისა და ალჟირისთვის იყო განკუთვნილი.

„ინფო-9“

ვერსიანიუსი



„სექსუალური სარეკლამო გარიგებისთვის“ რობერტ პატინსონი 8 მილიონ ფუნტს იღებს

სერიალმა „ბინდი“ მთავარი როლის შემსრულებელი რობერტ პატინსონი მსოფლიოს ყველაზე ცხელ ვამპირად აქცია, რომელმაც გოგონების გულები დაიპყრო. Dailymail-ის ინფორმაციით, მან „დიორთან“ 7,5 მილიონი ფუნტის გარიგებას მოაწერა ხელი და გასული წლის ბოლოს, ფრანგული მოდის სახლის სუნამოს ხაზის ახალი სახე გახდა. მსახიობმა ახლახან 8 მილიონი ფუნტი „დიორის“ მამაკაცის ტანსაცმლის ახალი ხაზის სარეკლამო ვიდეოს გადაღებისთვის მიიღო. რეკლამაში რობერტი წელსზემოთ შიშველია და ერთ-ერთ მოდელს კოცნის. გადასაღებ მოედანზე მყოფთა აზრით, მას ამ როლის მორგება არ გაჭირვებია. „დიორში“ აცხადებენ, რომ ეს რეკლამა სექსუალური ხასიათისაა და „საზღვრებს არღვევს“.

„ინფო-9“

ვარძიაში ახალი სასტუმრო 60 სტუმარს მიიღებს

ვარძიის სიახლოვეს ახალი სასტუმრო შენდება, 5-ვარსკვლავიანი ოტელის მშენებლობა კი, რომელსაც კომპანია „რაკიინ დეველოპმენტი“ გეგმავდა, ამ დრომდე არ დაწყებულა. „რაკიინ დეველოპმენტი“ ვარძიაში, ისტორიული ძეგლის მახლობლად, 35 ათას კვადრატულ მეტრ ფართობზე საერთაშორისო კლასის ტურისტული კომპლექსის მოწყობას გეგმავდა. ცენტრის პროექტი გასართობ კომპლექსს, მათ შორის სპა და სპორტულ ცენტრს, ასევე კერძო ვილებს აერთიანებდა, ხოლო პროექტის ღირებულება 25 მილიონი დოლარი იყო.

რაც შეეხება ახალ სასტუმროს, მას ადგილობრივი ვლადიმერ ზაზაძე აშენებს. როგორც მან განაცხადა, მშენებლობა მიმდინარე წლის მაისში დასრულდება, ამ დროისთვის კი 10 ნომერი უკვე კეთილმოწყობილია, მშენებლობის დასრულების შემდეგ სასტუმრო, ერთდროულად, 60 ადამიანის მიღებას შეძლებს. როგორც ზაზაძე აცხადებს, სასტუმროსთვის საჭირო თანხები მან საქართველოს ბანკში, კრედიტის სახით მოიძია. სასტუმროს ნომრის ღირებულება, ერთ ადამიანზე, კვების გარეშე 30 ლარი იქნება, ხოლო 3-ჯერადი კვებით, ფასი 60 ლარით განისაზღვრება.

„ადრე ტურიზმის მიმართულებით ვმუშაობდი და ახლა გადავწყვიტე სასტუმროს გახსნა, აქ სეზონი მაისიდან იწყება და ჩვენი სასტუმროც სწორედ ამ დროს დაიწყებს მუშაობას“, – აცხადებს სასტუმროს მეპატრონე.

მისივე თქმით, უცხოელი ტურისტები როგორც ისრაელიდან, ასევე გერმანიიდან, რუსეთიდან, საფრანგეთიდან და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოდიან და სამომავლოდ, ბიზნესმენის გეგმებში სასტუმროს გაფართოებაც შედის.

commersant.ge

ჰოროსკოპი
27 მარტი

ვერძი — მოუწევეთ სიურპრიზი საყვარელ ადამიანს, გაატარეთ ერთად დაუვიწყარი საღამო. ურთიერთობის გართულება ადვილია, პარმონიაში მოყვანა კი — ძალიან ძნელი. სწორედ დღეს გაძლევთ ბედი შანსს, გაამყაროთ ოჯახური და სასიყვარულო კავშირები.

კურო — დღე ბევრ საინტერესო და გასართობ მოვლენას გპირდებათ. გაოცებული დარჩებით, იმდენად ბევრი შეხვედრა, ახალი ნაცნობობა და სხვადასხვა თემაზე საუბარი გელით. შეეცადეთ, არ ჩაერთოთ ხანგრძლივ დისკუსიებში და ზედმეტად ნუ ჩაუღრმავდებით როძელიმე თემას.

ტყუპები — ტეუპებს დღეს უამრავი საინტერესო იდეა ეწვევათ. დადგა დრო, გამოიჩინოთ ინიციატივა და ხელმძღვანელობას აჩვენოთ საკუთარი პროფესიონალიზმი. არ არის გამორიცხული, ასეთი ქმედებები კარიერული წინსვლისთვის სასტარტო ადმოჩნდეს.

კირჩხიბი — დღეს ცდუნება საკმაოდ ბევრი იქნება. მეგობრები და ნაცნობები საეჭვო ღონისძიებებზე დაგპატიჟებენ. შეეცადეთ, თავი ხელში აიყვანოთ, მოიფიქროთ და გაანალიზოთ საკუთარი ქმედებები. მოძებნეთ საინტერესო საქმე, რომელიც პროგოკაციულ აზრებს დაგავიწყებთ.

ლომი — ლომები დღეს მაცარად უნდა მიეყენენ საკუთარ გეგმებს, მხოლოდ ამ შემთხვევაში გელით დიდი წარმატება. თუ გულმოდგინედ შეეცდება ვინმე, სასურველ მიზანზე უარი გათქმევინოთ, არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდეთ. შედეგი დამოკიდებული იქნება მხოლოდ თქვენს ნებისყოფასა და საქციელზე.

ქალწული — ქალწულებისთვის დღეს მთავარი საპირისპირო სქესთან ურთიერთობა იქნება. ვარსკვლავები გირჩევენ, ოფიციალურ ფაციფუცსა და რუტინას შეეშვათ და გრძნობებს მიეცეთ.

სასწორი — სასწორებმა შესანიშნავად იმუშავეს, ახლა დადგა დრო, ინტენსიური მუშაობა პროდუქტიული დასვენებით შეცვალოთ. ვარსკვლავებიც გპირდებიან ვითარების შეცვლას. კარგი იქნება, თუ წახვალთ თეატრში, ეწვევით გამოფენებს, კლერეებს, შეიძენთ ლამაზ ნივთებს, მოხდენილ სამოსსა და სამკაულს.

ღრიანკალი — პროფესიული საქმეებისა და პირადი ფინანსების მდგომარეობა იმდენად გაგახარებთ, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება. მთავარია, გაგრძელოთ საქმიანობა იმავე მიმართულებითა და ტემპით. არ არის გამორიცხული, სადამოს საყვარელმა ადამიანმა უჩვეულო სიურპრიზით გაგაოცოთ.

მშვილდოსანი — ვარსკვლავები დღეს თავბრუდამხვევ რომანტიკულ შეხვედრას წინასწარმეტყველებენ ადამიანთან, რომელიც ცოტა ხნის წინ გაიცანით. წინასწარ მოემზადეთ ამ მნიშვნელოვანი მოვლენისთვის, შეეცადეთ, მოწოდების სიმაღლეზე იყოთ, მაგრამ ქედმაღლობას ნუ გამოიჩენთ.

თხის რქა — დაძაბულობა, რაც ბოლო დღეებში ამ ნიშნის წარმომადგენლებმა გადაიტანეს, დასასრულს უახლოვდება. თავს გაცილებით მსუბუქად და მშვიდად იგრძნობთ. მოგინდებათ ხელოვნების სამყაროს გაეცნოთ, მეგობრებთან დრო გაატაროთ. ამ საამოვნებაზე საკუთარ თავს უარს ნუ ეტყვით.

მერწყული — მერწყულებს ვარსკვლავები ურჩევენ, დღეს აუცილებლად გამონახონ დრო საყვარელ ადამიანთან შესახვედრად. სიყვარულის ენერგია, რომელიც ახლა ჭარბობს თქვენში, ურთიერთობას ახალ სიცოცხლეს შთაბერავს. შესაძლოა, ამან საპასუხისმგებლო ნაბიჯის გადადგმისკენაც გიბიძგოთ.

თევზები — კარგი იქნება, თუ თევზები დღეს იმიჯს შეიცვლიან. გარშემომყოფები თქვენგან ასეთ გადაწყვეტილებას ელიან და უკვე გაკრნახობენ, როგორი თვალისმომჭრელი იქნებით ახალი იმიჯით. შეიცვალეთ ვარცხნილობა ან განაახლეთ გარდერობი — გაახარეთ საკუთარი თავიცა და ახლობლებიც.

ქალებს მეტი ძილი სჭირდებათ

მშვენიერი სქესის წარმომადგენლების ძილი, 60-90 წუთით მეტხანს უნდა გაგრძელდეს, ვიდრე მამაკაცის — ასეთ დასკვნამდე ამერიკელი მეცნიერები მივიდნენ კაროლინის დიუკის უნივერსიტეტიდან. როგორც სწავლულები აცხადებენ, ქალის ტვინი მრავალფუნქციურ რეჟიმში მუშაობს და სწორედ ამიტომ, სუსტი სქესის წარმომადგენლებს, ძალების აღსადგენად, მეტი დრო სჭირდებათ. არასაკმარისი ძილი მანდილოსანს უფრო ნერვიულს, აგრესიულს ხდის და შესაძლოა, მასში დეპრესიაც კი გამოიწვიოს.

სს „კავკასიის ბირჟა“ გაცნობებთ, რომ 2013 წლის 5 აპრილს დღის 13 სთ-ზე გაიმართება აქციონერთა რიგგარეშე კრება.

დღის წესრიგი:

1. წესდებას დაემატოს შემდეგი პუნქტი.

სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერი წევრი (სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე), შეიძლება იყოს სააქციო საზოგადოების დირექტორი (დირექტორები).

გთხოვთ, გამოცხადდეთ და მიიღოთ მონაწილეობა აღნიშნული საკითხების განხილვაში.

მის: ქ. თბილისი. ა. წერეთლის გამზირი №118. გამოფენის ტერიტორია.

სს „კავკასიის ბირჟის“ დირექტორატი.

შენდემა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის საკანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ნახატებს გარდაცვლილთა ფერფლით ქმნის

ასეთი 75x100 სანტიმეტრის ზომის პორტრეტის ღირებულება სულ 3500 დოლარია. ამერიკელი მხატვარი სერჯო პოტრილიო საკუთარ ნამუშევრებს ორ კოვზ ფერფლს უმატებს და ამით არა მხოლოდ განსაკუთრებულ ტექსტურას ქმნის, არამედ ნახატს დამატებით ფასეულობასაც სძენს. შეიძლება უცნაურიც იყოს, მაგრამ მხატვარს შეკვეთით უკვე ორმა ათეულმა ადამიანმა მიმართა და ასეთ ნახატებზე მოთხოვნა სულ უფრო იზრდება. სურათის ფასი ზომაზეა დამოკიდებული. გარდაცვალების შემდეგ პორტილიო თავს მხატვრული ტილოს ნაწილად ხედავს, რომლის ავტორიც ალბათ, მხატვრის ერთ-ერთი მეგობარი იქნება.

ტრანსპორტში ჭამისთვის დააჯარიმებენ

შვეიცარიის ქალაქ ბაზელის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, გაამკაცროს კანონები და საკვების მიღება აკრძალოს საზოგადოებრივ ტრანსპორტში. ჭამა და დალევა ამ ქალაქის ავტობუსებსა და ტრამვაიში ჯერ კიდევ 2003 წელს აკრძალეს, თუმცა დღემდე, კანონი არ ითვალისწინებდა მკაცრ სასჯელს მისი დამრღვევებისთვის, რის გამოც, ბევრი მგზავრი აკრძალვას ყურადღებას არ აქცევდა. ახლა, ხელისუფლების გადაწყვეტილებით, გზაში წახემსების მოყვარულებს 26,5 ევროთი დააჯარიმებენ. შვეიცარელი ჩინოვნიკები კანონის გამკაცრებას იმით ხსნიან, რომ პროდუქტები ანაგვიანებს და აფუჭებს სატრანსპორტო საშუალებების სალონს და საჭმელი იქაურობას სპეციფიკური სუნით ჟღენთავს. შვეიცარია, ტრადიციულად, ევროპაში „ყველაზე სუფთა ქვეყნად“ მიიჩნევა, მაგრამ ბაზელის ხელისუფლების მიერ მიღებული კანონი ამ ქვეყნისთვისაც კი საკმაოდ მკაცრია.

არწივმა პენსიონერი გაძარცვა

უჩვეულო ძარცვის მსხვერპლი გახდა ავსტრიის, ტიროლის მხარის მცხოვრები, 69 წლის ქალი. მას ხელიდან ჩანთა თეთრთავიანმა არწივმა გამოსტაცა. როგორც ადგილობრივი რადიო იუწყებოდა, თურმე სამი წლის მოთვინიერებული ფრინველი პატრონს „გაექცა“ და დამოუკიდებლად დაიწყო „ნადირობა“. გატაცებული ჩანთა არწივმა მომხდარით შოკირებული პენსიონერი ქალისგან ათიოდე მეტრში „გაჩხრიკა“ და „ღირებული“ რომ ვერაფერი აღმოაჩინა, ნადავლი იქვე მიატოვა. პოლიციამ მოგვიანებით, ორნიტოლოგის დახმარებით, მოახერხა „გაქცეული“ არწივის დაჭერა და ის პატრონს ჩააბარეს.

ბავშვს თავიდან გასაღები ამოუღეს



ამერიკელმა ექიმებმა წლინახევრის ბავშვს თავიდან გასაღები ამოუღეს. პატარა ნიკოლას ჰოლდერმანი სახლში, ძმების თანდასწრებით, ავტომანქანის გასაღებით თამაშობდა, შედეგად კი, ეს ნივთი მის სხეულში მოხვდა. ნიკოლასი გასაღებზე ისე დაეცა, რომ საგანმა საფეთქლიდან ტვინში შეაღწია, რაც რენტგენზეც მშვენივრად გამოჩნდა. ექიმებმა სასწაულებრივად მოახერხეს ბავშვის გადარჩენა. როგორც ნიკოლასის ოჯახის წევრები აცხადებენ, ოპერაციის შემდეგ ბიჭის ჯანმრთელობა ნორმალურია და არც მხედველობა დაზიანებია. ეს უფლის სასწაული იყო, — ამბობს ბავშვის მამა.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



ადვილი

6	4	3	5	7	2	1	9	8
9	2	1	6	4	8	7	3	5
8	5	7	1	3	9	4	6	2
7	1	5	3	9	4	2	8	6
4	6	2	8	1	5	3	7	9
3	8	9	2	6	7	5	4	1
1	3	8	7	5	6	9	2	4
5	9	6	4	2	3	8	1	7
2	7	4	9	8	1	6	5	3

საშუალო

6	5	4	2	3	7	1	9	8
9	3	2	6	1	8	7	5	4
1	7	8	9	5	4	3	6	2
4	2	1	8	9	6	5	7	3
7	9	3	1	4	5	8	2	6
5	8	6	7	2	3	9	4	1
3	4	9	5	8	2	6	1	7
2	1	7	3	6	9	4	8	5
8	6	5	4	7	1	2	3	9

რთული

6	5	7	4	1	9	3	2	8
4	3	2	6	8	5	9	1	7
8	1	9	3	7	2	4	5	6
2	7	3	1	5	8	6	4	9
5	9	4	7	6	3	1	8	2
1	8	6	9	2	4	7	3	5
9	2	1	5	3	7	8	6	4
7	6	8	2	4	1	5	9	3
3	4	5	8	9	6	2	7	1

ეჭვიანობა

1	7	5	4	3	6	2	9	8
8	9	3	5	2	1	7	6	4
2	6	4	9	8	7	5	3	1
9	8	1	6	7	5	4	2	3
3	5	7	2	9	4	1	8	6
6	4	2	3	1	8	9	5	7
7	3	9	1	6	2	8	4	5
5	2	8	7	4	3	6	1	9
4	1	6	8	5	9	3	7	2

ჰოროსკოპი

28 მარტი

ვერძი — დღევანდელი საღამო ოჯახურ კავშირს უფრო ჰარმონიულს გახდის. გადაჭარბებულმა ამპარტავნობამ და იმპულსურობამ, შეიძლება, ნაჩქარევი ნაბიჯები გადაგადგმევინოთ. დიდია საკვებით მოწამვლის, საყოფაცხოვრებო ტრავმებისა და საგზაო შემთხვევების საფრთხე, თუმცა დღე მაინც შესანიშნავი იქნება და ყველა საქმეში წარმატება გელით.

კურო — დღეს საქმიან შეხვედრებს ნუ დაგეგმავთ და მივლინებაც გადადეთ. თუ არ აჩქარდებით, საქმის ბოლომდე მიყვანის საშუალება მოგეცემათ. დღეს ფორტუნა არქიტექტორებისა და კონსტრუქტორების მხარესაა.

ტყუპები — კარგი დღეა ტყუპებისთვის. არ არის გამორიცხული, მოულოდნელი წინადადება მიიღოთ ან ძველ ბიზნესპარტნიორს შეხვდეთ. დღეს იმ ადამიანების მხარდაჭერასაც იგრძნობთ, ვინც აქამდე არ იყო თქვენი მოკავშირე.

კირჩხიბი — დღეს ემოციურ აღმავლობას იგრძნობთ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ დაკარგოთ სიმშვიდე. შეეცადეთ, თავი აარიდოთ კამათს საყვარელ ადამიანთან, როგორი რთულიც უნდა მოგეჩვენოთ ამის შესრულება. დღეს საქმიან მოლაპარაკებასაც ნუ დანიშნავთ, რადგან ის უშედეგოდ დასრულდება.

ლომი — არახელსაყრელი დღეა ხელისუფლების წარმომადგენლებთან შესახვედრად. ყოველთვის გახსოვდეთ, რომ გადაწყვეტილების მიღებამდე აუცილებელია, სიტუაციის ყურადღებით გაანალიზება. დაგეგმეთ დასვენება, შვებულება ან მოგზაურობა. საყვარელ ადამიანთან ერთად დროის გატარება მეტ სიმშვიდეს მოგგვრით.

ქალწული — შესაძლოა, დღეს ქალწულები საკუთარი ილუზიებისა და ოცნებების ტყვეობაში აღმოჩნდნენ, თუმცა ეს ხელს არ შეგიშლით, თქვენი აზრები თანმიმდევრული იყოს. ვარსკვლავები გაფრთხილებენ, რომ გარშემომყოფებთან ურთიერთობაში ბევრ პრობლემას წააწყდებით, ხოლო თუ კომპრომისზე არ წახვალთ, სიტუაცია უკიდურესობამდე შეიძლება გამწვავდეს.

სასწორი — სასწორებს დღეს უფროსობასთან კამათი ელით. მოერიდეთ მემკვიდრეობის საკითხების განხილვას, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაღიზიანებისა და წყენის გარდა, არაფერს მიიღებთ. დღეს არც სასიყვარულო ურთიერთობებში გელით წარმატება. პარტნიორებს შორის ურთიერთობა დაიძაბება და ძველი წყენაც იჩენს თავს.

ღრიანკალი — უკვე მოძველებული პრობლემების გადაჭრისთვის რამე საინტერესო ხერხი მოიფიქრეთ. დღეს არ ღირს მოდუნება, რადგან გონებამახვილობა მთელი დღის განმავლობაში გესაჭიროებათ. ქრონიკული დაავადებების მქონეებს, შესაძლოა, მდგომარეობა გაურთულდეთ. მხოლოდ სიცოცხლის წყურვილი და ძალების კონცენტრაცია შეცვლის სიტუაციას უკეთესობისკენ.

მშვილდოსანი — მშვილდოსნებს დღეს სამსახურში მეტი სიფრთხილე და ყურადღება მართებთ. გახსოვდეთ — ოცნებები რეალობას უნდა შეესაბამებოდეს. საპირისპირო სქესთან ურთიერთობაში წარმატება გელით. დღეს მოსალოდნელია ძველი სასიყვარულო ურთიერთობების განახლება.

თხის რქა — ამ ნიშნის წარმომადგენლებს დღე სულიერ წონასწორობასა და ჯანმრთელობის გაუმჯობესებას ჰპირდება. საქმეებიც დღეს დიდ ძალისხმევას არ მოითხოვს, პრობლემების უმრავლესობა მარტივად მოგვარდება. სასიცოცხლო პოტენციალი მაღალ დონეზეა, საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიულია და თქვენც მშვიდი, ბედნიერი და კმაყოფილი იქნებით.

მერწყული — უსიამოვნო დღეა, რომელიც თქვენგან სიმტკიცესა და გამძლეობას მოითხოვს. დაწყებულ საქმეს დიდი ძალისხმევა, გადაწყვეტილების სწრაფად მიღება და საკუთარი გეგმების დაფარვა სჭირდება. ემოციური გადატვირთულობის მიუხედავად, მაინც შეძლებთ ყველა წინააღმდეგობის გადალახვას, რაშიც საქმისადმი არასტანდარტული მიდგომა დაგეხმარებათ.

თევზები — კარგი დღეა ურთიერთობებისთვის, ცვლილებებისთვის პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ბევრი ისეთი ადამიანისგან იგრძნობთ მხარდაჭერას, ვინც ადრე თქვენგან შორს იდგა. არ არის გამორიცხული, სამუშაოდ დღეს ჩვეულებრივზე მეტი ყურადღება და ძალისხმევა მოითხოვოს, თუმცა შედეგები დახარჯულ ენერგიას „გამოისყიდის“. ქცევებში ორიგინალურობისა და ექსტრავაგანტურობისკენ სწრაფვა, პირად ცხოვრებაში დღესასწაულს გპირდებათ.

ჭიქა ღვინო კუჭის წყლულისგან დაგიცავთ



ბრიტანელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ დღეში ერთი ჭიქა ღვინო ან ნახევარი კათხა ლუდი ადამიანს კუჭის წყლულის განვითარებისგან იცავს, თუმცა თუ დაავადება უკვე არსებობს, ამ შემთხვევაში ალკოჰოლი ორგანიზმისთვის მხოლოდ ზიანისმომტანია. კუჭის წყლული, მკვლევართა მტკიცებით, ინფექციას უკავშირდება, რომელსაც ბაქტერია Helicobacter pylori იწვევს. ადამიანის ორგანიზმში ის, ჩვეულებრივ, ბავშვობაში ჩნდება, თუმცა სპეციალისტები ვერ ხსნიან მიზეზს. ბრიტანელი სწავლულების გამოკვლევაში 5 ათასამდე ადამიანი მონაწილეობდა, რომლის შედეგადაც დადგინდა: ვინც კვირაში 3-დან 6-მდე ჭიქა ღვინოს სვამს, მათში დაავადების რისკი 11%-ით იკლებს, ხოლო ვინც დღეში ერთ ჭიქაზე მეტს მიირთმევს — 17%-ით. გაირკვა ისიც, რომ ღვინო და ლუდი კუჭის წყლულის წინააღმდეგ მხოლოდ პროფილაქტიკური საშუალებაა.

მწვანე ყავა ახდუნებს

ჰოლივუდის ვარსკვლავთა მოხდენილი სხეულის საიდუმლო მწვანე ყავაა, რომელიც თურმე საგრძნობლად აქვეითებს მადას. აბებს მწვანე ყავის ექსტრაქტით ისეთი ცნობილი ვარსკვლავები ილებენ, როგორიცაა ჯენიფერ ლოპესი, კეტი პერი, დემი მური, ენ ჰეტუეი... მწვანე ყავის ექსტრაქტის შემცველი აბების მწარმოებელთა განცხადებით, დაბალკალორიულ დიეტასა და ფიზიკურ ვარჯიშთან ერთად, მწვანე ყავა განსაკუთრებით ეფექტური, აბსოლუტურად უსაფრთხოა და წონაში დაკლების პროცესს აჩქარებს. მისი ერთადერთი გვერდითი მოვლენა არტერიული წნევის მატებაა, ამიტომ სპეციალისტები ჰიპერტონიით დაავადებულებს ურჩევენ, მწვანე ყავისა და მისგან დამზადებული ექსტრაქტების გამოყენებისას სიფრთხილე გამოიჩინონ.

კლუბში მკერდის მოშიშვლების შემდეგ უშვებენ



ბრიტანეთის ერთ-ერთ საგრაფოში, კენტში ღამის კლუბი National Cleavage Weekender მდებარეობს, რომელიც უჩვეულო აქციას აწყობს — ყოველგვარი ფეის-კონტროლის გარეშე, კლუბში ის ქალბატონები შეძლებენ შესვლას, ვინც მკერდს მოიშიშვლებენ. ზომას მნიშვნელობა არ აქვს. ახალგაზრდა ქალებს ეს იდეა ძალიან მოსწონთ და სულაც არ მიაჩნიათ პრობლემად, თუ ძვირადღირებულ კლუბში უფასოდ დროსტარებისთვის, ერთი წამით მკერდს გამოაჩენენ. უფროსი ასაკის ხალხი კი მიიჩნევს, რომ ეს შეურაცხმყოფელია. წარმოუდგენელია, როცა ახალგაზრდა გოგონები, უფასოდ ცეკვის გამო, მზად არიან, სახალხოდ მოიშიშვლონ მკერდი და ასე დაზოგონ ფული, — აღშფოთებას ვერ მალავენ ასაკოვანი მამაკაცები.

სიგარეტი ზურგის ტკივილს იწვევს

ამერიკის ქირურგიისა და ორთოპედიის აკადემიის მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ მწეველებს ხშირად აწუხებთ ქრონიკული ტკივილი ხერხემლის არეში — ეს ფაქტი 7 ათასზე მეტი პაციენტის გამოკვლევის შედეგმა დაადასტურა. ზურგის არეში ტკივილის შეგრძნების ძირითად მიზეზად, მედიკოსები ოსტეოქონდროზსა და ართროზს ასახელებენ. მწეველები აღნიშნავდნენ, რომ ზურგის არეში ტკივილს უჩიოდნენ, ხოლო ვინც ამ კვლევისას სიგარეტს თავი დაანება, ამ მხრივ თავს გაცილებით უკეთ გრძნობდა, თუმცა მკვლევარები ამ მოვლენა ვერ ხსნიან. აქედან გამომდინარე, ექიმები მოწევისთვის თავის დანებებას, პირველ რიგში, იმ ადამიანებს ურჩევენ, ვისაც ზურგის არეში ტრავმა ან ხერხემლის დაავადებები აწუხებს.

გულის დაავადებებს მკერდით კურნავენ

ამერიკის შეერთებულ შტატებში გულის დაავადებების მქონე მამაკაცებს ორიგინალური მეთოდით მკურნალობენ. თავისებური ბოდი-თერაპია, მაგალითად, ტაქიკარდიისგან განკურნებაში ეხმარება. მკურნალობისთვის კი... ქალის მკერდს იყენებენ, რა დროსაც მთავარი ფაქტორი მკერდის ზომაა — ამ დაავადების სამკურნალოდ მხოლოდ პატარა ბიუსტის მქონე ქალბატონებია საჭირო. ექსპერტების განცხადებით, ქალს ხშირი გულისცემა აქვს, ამიტომ როცა მამაკაცის მკერდს მჭიდროდ ეკვრის ჯანმრთელი ქალი, გულის რიტმი ნელდება, სისხლში გამომუშავდება ჰორმონები, წნევა ნორმალიზდება, განწყობაც უკეთესი ხდება და იმუნიტეტიც იზრდება. ასეთი ბოდი-მკურნალობის ერთადერთი პირობა ისაა, რომ მკურნალიცა და პაციენტიც წელსზემოთ შიშველი უნდა იყოს. დიდი ბიუსტის მქონე ქალბატონები ამ მკურნალობისთვის არ გამოდგებიან, რადგან დიდი მკერდი კაცს არ მისცემს საშუალებას, ქალის გულისცემა შეიგრძნოს.

სუდოკუ

ადვილი

1			7	2		5	3	
			1					
				3	9		1	8
						4		5
	6	9		4		3	2	
5		1						
6	1		5	9				
					3			
	9	7		8	1			4

სტანდარტი

3	9							
		2		3				5
6	5	4						
		6	8	5	2			7
		8	7		1	6		
7			9	6	3	1		
						5	1	8
8				2		7		
							3	6

რთული

4	3							
		1	5	4		2		
	5	8	2					
6			4				7	
		7		2		8		
	4				5			9
					4	9	1	
		4		1	7	3		
							4	7

ექსპერტი

					7	2	1	
		2	9					
6							7	8
	9	7	2					3
	8		7		9		4	
1					6	9	2	
9	3							6
					5	7		
	6	1	8					

ვოგონას სამი დედა ჰყავს

დიდ ბრიტანეთში ცოტა ხნის წინ გოგონა გაჩნდა, რომელსაც სამი დედა ჰყავს. ინგლისის ქალაქ რომფორდში დაბადებული პატარა ქვეყანას არა მხოლოდ ექიმების ერთობლივი ძალისხმევით, არამედ ახალგაზრდა დედის ნათესავების წყალობითაც მოევლინა. გოგონას დედას, 31 წლის კეტი სლეიდს იშვიათი თანდაყოლილი პათოლოგია აქვს — მას რეპროდუქციული ორგანოები არ გააჩნია. ჯერ კიდევ ბავშვობაში, უმცროსი და ლუსი დაპირდა, რომ საკუთარ კვერცხუჯრედს აჩუქებდა.

როცა კეტი გათხოვდა, და კვერცხუჯრედის დონორობას დათანხმდა, მულმა კი თანხმობა განაცხადა სუროგატ დედობაზე. ყველაზე გასაოცარი კი ისაა, რომ ამ გეგმამ ექიმებშიც სრული მხარდაჭერა მოიპოვა და დადგენილ დროს, ქვეყანას სრულიად ჯანმრთელი გოგონა მოევლინა, რომელსაც ბეატრისი დაარქვეს.

ქვეყანაში სექსუალური ბარგის გამო არ შეუშვეს

ბრაზილიელი ტურისტი, რომელიც დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე მოხვედრას ცდილობდა, ბარგის გამო არ შეუშვეს ქვეყანაში. საბაჟოს თანამშრომლებმა მის ჩემოდანში მხოლოდ სექსუალური საცვლები, გამომწვევი კაბები, მაისურები და უბის წიგნაკი აღმოაჩინეს. 32 წლის ქალბატონი ნიუკასლის აეროპორტში ჟენევიდან ჩავიდა. ვიზიტის მიზნად კი, ქალაქის ღირსშესანიშნაობების დათვალიერება დაასახელა. საბაჟოზე ისიც გაარკვიეს, რომ სამი თვის წინ, ეს ქალი უკვე გააბრუნეს ბელფასტის აეროპორტიდან.

ზედმეტი მარილი ჯანმრთელობას ვნებს

ამერიკელი სწავლულების მიერ ჩატარებული გამოკვლევებით დადგინდა, რომ ადამიანის ჯანმრთელობისთვის მარილი უფრო საშიშია, ვიდრე შაქარი. ჰარვარდის უნივერსიტეტის სწავლულთა კვლევამ აჩვენა, რომ აშშ-ში ყოველი მეათე ადამიანი მარილის ჭარბი მოხმარების გამო იღუპება, არადა, ევროპელები უფრო მეტ მარილს მოიხმარენ, ვიდრე ამერიკელები, რადგან „ბებერ კონტინენტზე“ დამზადებული თეთრი პური მარილიანია. გამოკვლევა სწავლულებმა ნიუ-ორლეანის ყოველწლიურ კონფერენციაზე წარადგინეს. მათი განცხადებით, ორგანიზმზე „თეთრი სიკვდილის“ უარყოფითი გავლენა ტკბილ, გაზიან სასმელთან შედარებით, გაცილებით დიდია. მეცნიერებმა 247 ექსპერიმენტისა და 107 კლინიკური გამოკვლევის საფუძველზე დაადგინეს, რომ არტერიულ წნევასა და გულსისხლძარღვთა დაავადებებზე მარილი უარყოფით გავლენას ახდენს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, ზრდასრულმა ადამიანმა ყოველდღიურად, მაქსიმუმ, 5 გრამი მარილი უნდა მიიღოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჰიპერტონიის, ინსულტისა და ინფარქტის საშიშროება იქმნება.

მამაკაცებს მუქთმიანი ქალები იზიდავს

გავრცელებული მოსაზრების მიუხედავად, აღმოჩნდა, რომ ძლიერი სქესის სიმპათიას მუქთმიანი მანდილოსნები იმსახურებენ, — აცხადებენ ბრიტანელი სწავლულები. მამაკაცები მიიჩნევენ, რომ მშვენიერი სქესის მუქთმიანი წარმომადგენლები უკეთ ზრუნავენ საკუთარ გარეგნობაზე და უკეთესი მზარეულები თუ დიასახლისები არიან. 1000 გამოკითხული მამაკაციდან 54% სწორედ ასეთ მანდილოსნებს ანიჭებს უპირატესობას, 16% ქერები მოსწონს, 30%-ისთვის კი თმის ფერს მნიშვნელობა არ აქვს. გარდა ამისა, კაცები მიიჩნევენ, რომ მუქი ფერის თქმის მქონე ქალბატონები უფრო საინტერესოები არიან, არც სექსუალურ ექსპერიმენტებზე ამბობენ უარს და უკეთ უძღვებიან ფინანსურ საკითხებს.



გაზეთი „ვერსია“ სამუშაოდ იწვევს გამოცდილ ჟურნალისტებს.
საკონტაქტო პირი მაია ფურცელაძე. ტელ: 599 62 88 77

გაზეთი „ვერსია“ ერთჯერადად შეისყიდის სკანვორდებს
(ელექტრონულ ვერსიას). ფასი შეთანხმებით.
საკონტაქტო პირი მაია ფურცელაძე 599 62 88 77

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია, ნელი თორდია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული
მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა
და ინფორმაციის სიზუსტეზე
პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის
შემთხვევაში დაგვიკავშირდით
14 დღის განმავლობაში.